

მსა



ლიტერატურული ჟურნალი

№ 6 (53)

მსა მსა მსა მსა მსა მსა მსა მსა

2021



ფარნა
რინა - 85

სიტყვა ქართული!..

ამ მიწას
ყორნის გუნდად
ეხვია –
მტერი, – ასპიტი, –
ხმალშემართული, –
ჩეხდნენ ვაზიანს,
ჭრიდნენ ვერხვიანს,
მაგრამ
ვერ მოჭრეს
სიტყვა ქართული!..
ივსებდნენ
ჩვენი სისხლით
მათარას,
იდგა გვაშების
ასი სართული,
თოკზე ჰკიდებდნენ –
დიდს და
პატარას,
ვერ ჩამოახრჩეს
სიტყვა ქართული!..
ჰკითხეთ ვარძიას,
ახსოვს ტაოსაც
ომი ქაჯებთან, –
ქაჯურ ჩართული, –
ცეცხლში ისროდნენ

„ვეფხისტყაოსანს“,
მაგრამ...
ვერ დანვეს
სიტყვა ქართული!..
ლამე მოსდევდა
დღეებს ჩრდილიანს,
ჩვენი ნამებით
იყვნენ გართული, –
შანთეს მეფენი,
მოკლეს ილიაც,
მაგრამ...
ვერ მოკლეს
სიტყვა ქართული!..
არ გვეხსნებოდნენ
რისხვით,
ჯანჯლები,
გვანვიმდნენ ისარს, –
ელვის ფათურით,
ამაოდ დაფშვნეს –
ხმლებიც,
ხანჯლებიც,
ცას –
მზედ ეკიდა
სიტყვა ქართული!

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახომი საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედეგრი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი
სოფიო ქელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე [www. nplg. gov. ge](http://www.nplg.gov.ge) —
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუ-
ნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **ლევან
ანდრიაშვილი**), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი **თენგიზ
მთვარელიშვილი**) მხარდაჭერით.



№16,(53), 2021

დეკემბერი



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

მილოცვა

2. **საპარტიველოს მწერალთა კავშირი,**
ირაკლი შიოშვილი, ლევან ანდრიაშვილი,
თენგიზ მთვარელიშვილი, მწერალთა
ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“

კოეზია

9. **ზარნა რაინა.** ლექსები

მილოცვა

30. **რევაზ მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი,**
თემურ ჩალაგაშვილი, ზაალ გოტკოველი,
თიომურაზ ლანჩავა, დავით თაღორაძე,
ავთანდილ ბერიძე, დავით ახლოური,
მაყვალა მიქელაძე, ბელა ქაჭურია, გიორგი
ნატროშვილი

კოეზია

36. **ზარნა რაინა.** კატრენები

ზარნა რაინასადმი მიძღვნილი ლექსები

54. **თინათინ თელაველი, ნუნუ ქაგუკაშვილი,**
მურთაზ ნაკუდაშვილი, აკაკი ბიძინაშვილი,
გიული ჩინიაშვილი, გიორგი ბარძინაშვილი,
ზურაბ მარკოზაშვილი, ანა მანოშვილი

კოეზია

57. **ზარნა რაინა.** კატრენები

დაიბეჭდა

გამომცემლობა „მერილიანში“



ფარნა რაინა – 85

85 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ფარნა რაინა (ფარნაოზ იროდიონის ძე რაინაშვილი). ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ფარნა!

ჩვენო საყვარელო და ძვირფასო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები უღრმესი პატივისცემით მოგესალმებიან შესანიშნავ შემოქმედს, თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი პოეტური დებიუტი ან უკვე შორეულ 1954 წელს შედგა, როდესაც რუსთავის საქალაქო გაზეთ „მეტალურგი“ პირველი ლექსი დაბეჭდეთ. მას შემდეგ თითქმის შვიდი ათეული წლის განმავლობაში ერთ-ერთად, მუხლჩაუხრელად ემსახურებით თქვენს საესავე მამულს, მშობლიურ მწერლობას, ქართულ ლექსს...

საქართველოა თქვენი ყველაზე დიდი ტკივილიცა და სიხარულიც. თუმი კაცის სიმტკიცით და შეუვალობით დარაჯობთ სათაყვანებელი მამულის სამანებს და მის სადიდებლად გულის სისხლში განბანოლ სტრიქონებს აღავლენთ არსთავამრიგის წინაშე.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი სტორის – თუშეთის ულამაზესი მდინარის პირას დგას და იქიდან ულამაზეს ფარდაგად გადაშლილ საქართველოს ლოცავს და ეს ლოცვა რაღაც მაგიური ძალით დიდგორამდეც აღწევს, ბასიანამდეც, შამქორამდეც, ასპინძამდეც და კრწანისის სისხლისფერ სანახებამდეც. სტორი კი – ეს დამფრთხალი ულაცი ჭიხვინით გარბის ხევ-ხევ.

თქვენმა საუკეთესო ლექსებმა ერთ სიფრიფანა კრებულში დაიდო ბინა, „თუშური მოზაიკა“ რომ ჰქვია სახელად. ამ კრებულს ძალუმად ამჩნევია ნიჭიერების კვალიც და ერთგულებასთან შეზრდილი დიდი სიყვარულის ათინათიც. ნაღდი, ჩაკირული პოეტი ხართ და მკითხველს ხიბლავთ საოცარი, მხოლოდ თქვენული ხილვებით და ზმანებებით; როგორ შეგიძლიათ იმის დანახვა, თუ რა გავეშებით ხრავენ ლაგამს ყალყზე შემდგარი ჩანჩქერები, რა სასწაულებრივად გძალგით ცის გუმბათზე მოკიაფე მინანქრების გარჩევა! მუხლმოდრეკილი ავედრებთ უფალს ცოტნეს მოგიზგიზე გულს, თევდორე მღვდლის ნარეკლიან ინროებს, პატარა კახის სიდიადესთან ნილნაყარ უკვდავებს, წმინდა ქეთევანის დაშანთულ მკერდს...

თქვენი სახით კახეთს – საქართველოს ამ უმშვენიერეს ლიბოს ერთი გულანთებული ტრუბადური ჰყავს, ჭეშმარიტი მეციხოვნის დარად რომ იღვწის, რათა ქართული სულიერება არ ჩაკვდეს ერეკლე მეფისა თუ ბიძინა ჩოლოყაშვილის ნაფუძარზე. რამდენი გიშრომიათ, რამდენი გიღვანათ: რედაქტორობდით გაზეთებს „კოლმეურნის ხმას“, „განახლებულ თუშეთს“, „ბახტრიონს“; იყავით აღმანახ „ალაზანის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე... 2004 წლიდან კი ხელმძღვანელობთ მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთს“...

თქვენს მრავალრიცხოვან ჯილდოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის სახელობისა და ჟურნალ „ოლეს“ პრემიებს. მონიჭებული გაქვთ ქართული კულტურის ამგდარისა და ქართული კულტურის დესპანის საპატიო წოდებები; არჩეული ხართ თელავის საპატიო მოქალაქედ...

გვიხარია, რომ ჭაბუკური გატაცებით ეძიებთ ქართული ლექსის ახალ გამომსახველობით საშუალებებს, რომლის დასტურიცაა თქვენეული კატრენები, რომლებსაც სიძაბუნისა და დაოკებისა არაფერი ეტყობათ. სწორედ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისთვის მოგენიჭათ დიდი დავით აღმაშენებლის პრემია.

ბატონო ფარნა!

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენ ძვირფას თანამოკალმეს, ასე ლამაზად და ღირსეულად რომ იხარჯება მამულის საკეთილდღეოდ, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს.



საიუბილეო მილოცვა

მსურს გამოვხატო ჩემი გულწრფელი პატივისცემა ბატონ ფარნა რაინაულისადმი და მივულოცო 85 წლის იუბილე. ფარნა რაინა, თითქმის, ერთი საუკუნეა, დაულაღვად იღვწის ქართული სიტყვის სამსახურში. დასაფასებელია ბატონი ფარნას ღვაწლი და ჩვენ, ამაყები ვართ, რომ გვყავს ასეთი დიდი ადამიანი. კიდევ, ერთხელ, მსურს გამოვხატო გულწრფელი დამოკიდებულება და დიდი სიყვარულით მივულოცო იუბილე ფარნა რაინაულს. ბატონო ფარნა, იყავით დღეგრძელი და ძალიან დიდხანს იდექით ეროვნული საქმის სამსახურში! მრავალჟამიერ!

ირაკლი შიოშვილი
კახეთის სახელმწიფო რწმუნებული

ვულოცავ საიუბილეო თარიღს!

ჟურნალი „ოლე“ რომლის რედაქტორიც გახლავთ ბატონი ფარნა რაინაული, 15 წელზე მეტია ჩვენს რეგიონში ლიტერატურული ცხოვრების მრავალფეროვნებას განსაზღვრავს და ხელს უწყობს ახალი სახელების პოპულარიზაციას, რომელსაც კახეთის ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

ვულოცავ ბატონ ფარნას 85 წლის საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და მხნეობას. უშრეტ ენერჯიას იმ მნიშვნელოვანი საქმის საკეთებლად, რომელსაც უკვე რამდენიმე ათეული წელია შესანიშნავად უძღვება!

ლევან ანდრიაშვილი
თელავის მუნიციპალიტეტის მერი

ვულოცავ

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ბატონი ფარნა რაინაული ხელს უწყობს კახეთის ლიტერატურული ცხოვრების განვითარებას და ამ პროცესში მისი წვლილი ფასდაუდებელია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან არაერთი ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა და, როგორც თანამედროვე ეპოქის პირუთენელი შემფასებელი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესში.

დიდი პატივისცემით ვულოცავ ბატონ ფარნას დაბადებიდან 85 წლის იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხნეობას და შემოქმედებით წარმატებას იმ მნიშვნელოვან საქმიანობაში, რომელსაც წლების განმავლობაში ემსახურება.

პატივისცემით,
თინათინ მთვარელიშვილი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

„საუკუნეებს, ელვასაპით, გადავანათიებ!!!“

ჩვენს საამაყო და სათაყვანებელ პოეტს – ფარნა რაინას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

იგი ავტორია ლექს-შედეგებისა და გენიალური კატრენების.

გასხივოსნებელი შემოქმედებითი ცხოვრებით, ყოველ წამს, საქვეყნო საქმეზე ფიქრობს და ზრუნავს. მისი ეს მრწამსი მთელი სისრულით ასახულია მის პოეზიაში.

ანალოგი არა აქვს მის ლექსს „სადღეგრძელო“ რომელიც ქრისტეს წლოვანების სიმბოლოდ 33 სტროფია და 33-ივე სტროფი მონორიმით არის მოგვირისტებული. ანდა – 15 სტროფიანი ლექსი, – „აი, მთავარი უნინ“, – 15 სტროფში რითმა სრული ასონანსურ-კონსონანსურია, დანარჩენ პოეტურ ხელოვნებაზე რომ





არაფერი ვთქვათ: სიტყვიერ ფერწერაზე, რითმის მუსიკალურობაზე და, რაც მთავარზე მთავარია, – უმაღლესია: ფილოსოფიური აზრი, ანუ, სიბრძნე, – აფორიზმები და სენტენციები.

გულიდან გულზე ასატაცებელია ლექსი: „ქართული ენის სადიდებელი,“ – არა გვგონია, რომ, მსგავსი, უმწვერვალესი, მეორე იყოს ქართულ პოეზიაში ანდა: „სამშობლო“, „სიტყვა“, „ვინ ვარ“? ჩამოთვლა ძნელია.

მისი პოეტური ინოვაციებია: სიმეტრიული რითმა, ელასტიკური რითმა, ჯვარედინი მონორიმი, ჯვარედინი მაჯამა, ასონანსური ალიტერაცია.

პოეტს სწამს, რომ...

ლექსი ესაა, –
 ალი, – წვის
 პირშეუკრავი იარა,
 თუ,
 სანთელივით,
 არ იწვი,
 იმ ლექსში
 არა ყრია რა.

უფალთან ახლო... აი, პოეტის უზენაესი მრწამსი და ცხოვრების კრედიო. ადამიანის ცხოვრება, ხომ მისი კაიკაცობით, ღირსებით იზომება. დროშად იწევა საზეო ლექსი:

ასე მგონია.

სიცოცხლე მიყვარს,
 თუ, მზემდი ადის,
 თუ,
 სხვისთვის –
 დარდის ცეცხლით
 ვივსები

 ვინც –
 როგორ ქრება,
 ისე ლამდება...
 ვინც –
 როგორ იწვის,
 ისე
 ანათებს.

რწმენა, სიქველე, სიმართლე, ერთგულება და თავდადება ჩვენი სათაყვანებელი ქართველი ხალხისადმი, ჩვენი მეგობრებისადმი... მაღალი ზნეობა და, ყოველივე, დიდაქტიკური, აი, ის, მაგისტრალური ლეიტ-მოტივი, რომელიც პოეტ ფარნა რაინას შედეგებში ბრწყინავს და ანათებს. აი, ეს აზრი გასდევს ლამაზ თანავარსკვლავედად მის მთლიან შემოქმედებას.

კატრენების წინასიტყვაობაში, თვითონ, ასე აღნიშნავს პოეტი: „მე კი, ფრიად, საჭირო წამალივით, სტროფულებში ჩავჭუჭკე და ჯერ „სტროფულები“ დავარქვი, ხოლო, შემდეგ – „კატრენები“.

თუნდაც, ეს, ერთი შედეგრი, რომელსაც პოეტმა „სიცოცხლე“ დაარქვა, რომ დაენერა, მაინც, იქნებოდა ჩვენი ცხოვრების გზამკვლევი, ჩვენი, დიდი სასიქადულო პოეტების – ილიასა და აკაკის მსგავსად, რომლებმაც საპროგრამო, საუკუნო შეგონებანი დაგვიტოვეს...

ცხოვრება –
 ვინ თქვა:
 ვრცელიც,
 კრიალაც?
 ხან, თუ, მშვიდია,
 ხან – ეგ ზომ,
 მკაცრი...
 სიცოცხლეს



ქვეყნად,
წლებით კი არა,
სიკეთით უნდა
ითვლიდეს
კაცი...

პოეტის სურვილი და ოცნებაა, – მზესავით ყოფნა, აი, დასტურიც – ლექსი:

სურვილი

ყველა –
მზესავით რომ ვიყოთ,
მინდა, –
ვადინოთ მტვერი
წყვედიადის ბოქლომს...
სული რომ გქონდეს:
ღმერთივით, –
წმინდა,
სიბრძნე და
სიტყვა
დნებოდეს ოქროდ...

ილიას გზით, – აი, ჩვენი წინსვლის, ჩვენი წარმატებების, ჩვენი მომავლისათვის, სწორი გზა.

მხოლოდ და... მხოლოდ!!!

ჩვენი – სიცოცხლე,
ჩვენი – რწმენა,
ჩვენი სიკეთე:
მამულისათვის, –
ხალხისათვის
ვფიქრობთ და...
ვიბრძვით!!
თუ, გვსურს –
გადავრჩეთ,
თუ, მომავლის
ნათელს ვიკეთებთ,
მხოლოდ და...
მხოლოდ:
ილიას –
გზით!!!
ილიას –
სიბრძნით!!!

პოეტს სურს, რომ ყოველი კატრენი, რომელსაც მკითხველი კითხულობს, გულისა და გონების ზეიმი იყოს, – სიბრძნის, ნათების...

კატრენი...

ლაჟვარდში, ვითარ,
სიცოცხლის –
მზეი...
და...
უკვდავების –
დღეთა





ათვლები...
 მინდა:
 კატრენი,
 რომ ჰგავდეს –
 ზეიმს,
 მარადიული სიბრძნის
 ნათების...

პოეტს თვალზე რული არ ეკარება, დედასაქართველოზე ფიქრითა და ზრუნვით...

საქართველო – ხალხის პარტია...

საქართველოა:
 სულშიც,
 გულშიც,
 თვალთა გუგებშიც,
 ცხოვრება, თუმცა,
 ხან – მაისი,
 ხან კი მარტია...
 საქართველოა:
 ჩვენი – მზეც და...
 ჩვენი – ნუგეშიც,
 საქართველოა, –
 ერთადერთი,
 ხალხის პარტია...

სამშობლოს სიყვარული, გმირების სიდიადე, პატივისცემა და არდავინყება, – მათს სამშობლოს თავდადებაზე, ამ ლექსშიც კი მკაფიოდ ჩანს, რომელშიაც კავკასიონის ლამაზი სურათი გადმოგვცა...

სურათი

ნისლების ზენარს
 ფრთა გაჰკრა სიომ,
 მთებს სიხარული
 მძაფრი დაუვლის...
 ისე მოადგა მზე –
 კავკასიონს,
 როგორც, ბახტრიონს –
 გაფრინდაული.

„სიყვარული აგვამალლებს“ – ბრძანა დიდმა რუსთაველმა, ბატონმა ფარნამ სიყვარულის თემატიკას მთელი ციკლი უძღვნა.

უშენოდ
 მზის სხივებს
 მინდა
 ბუდე ვუშენო,
 შენა ხარ
 სხივით
 სავსე ნიბლია...
 წამი რა არის?
 წამიც, უშენოდ –
 არა მწამს,
 არ მსურს,
 არ შემიძლია...



სიყვარული

სიყვარულია –
 მზე რომ –
 ცას
 უვლის...
 უსიყვარულოდ
 წყვილია ქუფრობს...
 და... სიყვარულზე, –
 ღმერთი და
 რჯული,
 არაფერია –
 დიადი უფრო...

პოეტის ლექსები აამღერეს კომპოზიტორებმა: ვანო მურადელმა, ჯუმბერ სახიშვილმა, იზა დოღმაზ-
 აშვილმა, პავლე დემურიშვილმა, ვასილ კველიშვილმა.

ბატონი ფარნა, სხვადასხვა დროს, წლების მანძილზე, 26 წელი, იყო გაზეთების – „კოლმეურნის ხმის“,
 „განახლებული თუშეთის“, „ბახტრიონის“ რედაქტორი. იყო ლიტერატურულ აღმანახ „ალაზნის“ მთავარი
 რედაქტორის მოადგილე. 2004 წლიდან არის მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯ-
 დომარე და ჟურნალ „ოლეს“ ერთ-ერთი რედაქტორი.

იგი თვალსაჩინო მაგალითია მომავალი თაობებისათვის.

პოეტის მეტრძოლი სული, რაღაც, ღვთიური ნიშანსვეტით ესადაგება: ჯორჯ ბაირონის, შანდორ პე-
 ტეფის, ალექსანდრ პუშკინისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სულისკვეთებას, – კატრენით: „საუკუნეებს
 ელვასავით გადავანათებ!!!“...

არ შეიძლება, სხეულში ჟრუანტელმა არ დაგაიროთ, როცა – ამ კატრენს მოისმენთ:

ვდუღდი,
 ვინვოდი,
 ვენტებოდი –
 ავი წლებითა,
 რწმენა,
 იმედი,
 მუდამ... უფლის –
 ჰგავდა ბარათებს...
 მე – ამ, დუღილით,
 ამ, ტკივილით
 დავინვები და...
 საუკუნეებს –
 ელვასავით,
 გადავანათებ...

თქვენი შედეგები და გენიალური ნაკალმარი, მზის სინათლის სანახავად, სულმადლიანი, გულ-
 მადლიანი ადამიანების მოლოდინშია, რომელიც სახელსა და დიდებას მოუტანს სრულიად საქართველოს.

ბატონი ფარნა არის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, და გამგეობის წევრი, ამასთან, ღირ-
 სეულად ამშვენებს მრავალი ჯილდო.

დაჯილდოებულია: გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ლიტერ-
 ატურული პრემიებით, ქართული კულტურის ამაგდარის მედლით, ნაყოფიერი, შემოქმედებითი და საზო-
 გადოებრივი მოღვაწეობისათვის, ღვანლმოსილის დიპლომით, ქართული კულტურის დესპანის ნოდების
 დიპლომით, პოეზიის სახალხო დღესასწაულ „შოთაობის“ კონკურსში გამარჯვებულის დიპლომით, დავით
 აღმაშენებლის ლიტერატურული პრემიითა და ოქროს მედლით, სხვა, მრავალ, ლიტერატურულ-პოეტურ
 კონკურსში გამარჯვებულის დიპლომები... არის ქალაქ თელავის საპატიო მოქალაქე.

ამ, ლამაზ ჩამონათვალს, მალე მიემატოს – რუსთაველისა და ნობელის პრემიებიც...

იგი დიდი ოჯახის პატრონია. მისი მეუღლე – ქალბატონი – ნათელა პედაგოგია, რომელიც ათეუ-
 ლობით წლები ემსახურა მოსწავლეთა აღზრდა-განათლებას. ჰყავს შესანიშნავი შვილები, შვილიშვილები,



შვილთაშვილები. შვილიშვილებიდან: პაატა, მარიამი და ფარნა (უმცროსი) სამწერლო გზას მიჰყვებიან, ნათია, – მხატვარია.

მილოცვას დავამთავრებთ მისი ლამაზი კატრენით. —

იმ დროს ვნატრობ...

იმ დროს
ვნატრობ,
როდესაც –
გამარჯვებებს
დავითვლით,
არასდროს არ
შეგვშვლოდეს:
თუ, რა არის –
მთავარი...
ისევ მოგვცეს
უფალმა:
შემართება —
დავითის,
ისევ მოგვცეს
უფალმა:
სიდიადე
თამარის.

ბატონო ფარნა, ერთხელ კი არა, მარადისად, გულითადად, გილოცავთ ამ, ლამაზ იუბილეს! გისურვებთ: მზეგრძელობას, დღეგრძელობას, პოეტურ აზენიტებას საოცნებო წიგნების გამოცემას, მრავალ, მრავალ სიხარულს, ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას...

გილოცავთ!... გილოცავთ!... გილოცავთ!!!..

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“



თენგიზ მირზაშვილი.

თუშეთი



ზარნა რაინა

რა სასწაულოა

გადაგვარჩინა?!..

დრომ: ვინ არ მოსრა, – მკვირცხლიც, კერკეტაც,
დასაბამიდან, განა დარში ვართ? –
მაინც ვიდექით: ჯვრად და გერგეტად,
ნეტავ, რა ძალამ გადაგვარჩინა?!..

ვინ არ გვრისხა და ვინ არ გვეკვეთა,
სევდა გულეში ხანჯლად გაჩრილა,
როგორ ვუძელით რკინის მკვნეტელთა,
რა სასწაულმა გადაგვარჩინა?!..

ღამე მიეზლო – ღამის მძებნელთა,
მზე აირჩია ვარდამ, – არჩივად,
ურნმუნოს – კუპრის ქვაბი ებედა,
ჩვენ – უფლის რწმენამ გადაგვარჩინა!..

მტვრად იქცა სკიპტრა, სისხლის მჩქეფეთა,
სათნო – საქვეყნო მადლმა აჩინა,
სვე – სიძულვილის დაშრა, – სეფეთა,
ჩვენ – სიყვარულმა გადაგვარჩინა!..

მამულს, გრიგალი, როცა ეფეთა,
ლექსად ვლესავდით დარდს და საჩივარს,
დრომ, თან, წალეკა ტახტნიც, – მეფეთა,
ჩვენ – პოეზიამ გადაგვარჩინა!..

რუსთაველს, როცა სიტყვა ურანდავს, –
ლექსით, სიკვდილის ძალა დაჩრდილა,
ჩვენ – უფლის რწმენამ, სიყვარულმა და
მზე – პოეზიამ გადაგვარჩინა!..

ქართული ენის

სადიდებელი...

ვუძღვნი: ნათელა დეკანოზიშვილს

1
სასწაულო, – დედაენაც,
ჯადოსნურო ქართულო,
ათას ცეცხლში გამოვლილო, –
სვე-ჯვარცმის და...
გზა – რთულო...

2
მარადი და უკვდავი ხარ, –
ვერვინ გნახავს დღემოკლეს,
გწვაფდნენ, მაგრამ... არ დაინვი,
გკლავდნენ, მაგრამ... ვერ მოგკლეს...

3
ჭირშიც, ლხინშიც ჩვენთან ხარ და...
გული შენთვის გვიღელავს,
აკვნიდანვე, შენ ხარ: ჩვენი –
ტირილიც და სიმღერაც...

4
ცამეტ ანბანს მხარს უმშვენებ, –
მზე ხარ და... მზის სადარი,
შენზე, უფრო, სხივოსანი
ენა, ცის ქვეშ, სად არი?..

5
შენ ხარ: მტკვარიც, ალაზანიც,
თერგიც, რიონ – ენგურიც...
შენი ღვიძლი შვილებია –
სვანურიც და მეგრულიც...

6
მტერი, – ზოგჯერ, ჯიქურ გებრძვის
ხან, – ჩუმია, ვერაგი,
მაგრამ... მუხის: ჯიშს და ჯილაგს
ვერა ძალა ვერ აღგვის...

7
შენ ხარ: ჩვენი იარაღი, –
მტერს რომ მტვერი ავარდეს,
მოყვრისთვის კი – საენძელო,
საიე და სავარდე...

8
ხან გვაგონებ: ცისკრის სიცილს,
მთვარის ჩანჩქერს, დილის მადლს,
შენ ხარ: ჩვენი ყოფნის, არსის –
ავგაროზი, თილისმა...

9
ხან, – თუ, უფლის ჩონგური ხარ,
სალამური – მეცხვარის,
ხან, – ჟღერტულით მონავარდე:
მაკრატელა მერცხალი...

10
ხან, – მერანი, – მოჯირითე,
ხან, – მერანის მხედარი,





აშვებულო, – ამირანო,
ერი შენით მხნედ არი...

11

შენ ხარ: „მრავალჟამიერიც“,
„ლილეცა“ და „ჩაკრულოც“...
ხან, – ღრუბლებში მოსრიალევე, –
ელვავე, – ცაზე გაკრულო...

12

ბევრმა, – გზები დაგიისრა
ხან – გული და ან – ტანი...
მინც, ისევ, პიტალო ხარ:
მამაცი და ამტანი...

13

ვინ, – შიგნიდან გიორგულა, –
შენი შვება შელახვრა,
მინც, – ფუძის: საინგილოს,
სუნთქვა, ისევ, შენა ხარ...

14

შენ ტაოც ხარ... და კლარჯეთიც, –
ზედ რომ დარდით მივებით,
ფერეიდნელ: სისხლთა, ხორცთა, –
ცხელი ცრემლის მძივებიც...

15

ჩვენი თმენავ, – იობისა,
ჩვენი გენის ალამო,
თუ რამ გვისხნა გაქრობისგან
შენი სხივის ძალამო...

16

შენ, – ერთსა გაქვს გამძლეობა:
ყველა – მუხის, ყველა ხის,
შენ ხარ: ჩვენი პურის ყანაც,
ბალნარიც და ვენახიც...

17

შენი ტყვეა დროის სიტყვა, –
ფიქრსა და აზრს აუნჯებ,
განძის ზღვავე და ოკეანევე,
საუნჯეთა საუნჯევე...

18

როგორ უფრო გალამაზდი,
ხამს, – ფარნავაზს ენახა, –
შენ ხომ: ჩვენი ღმერთების და
ბულბულეების ენა ხარ...

19

შენ ხარ: ენა სიბრძნისა და
გამარჯვების, ვაშასი,
დიდი: შოთას, ილიასი,
აკაკის და ვაჟასი...

20

შენ ხარ: ჩვენი ზეცის კიბე,
სახელიც და დიდებაც,

შენით, – ჩვენი: ძირ-ფესვი და...
უკვდავება ბრწყინდება...

21

სადაც შენი მზე ანათებს,
სამოთხეა ის მხარე,
სიხარულად, სიყვარულად:
იბრწყინე და იხარე...

22

შენით ვცდილობთ, მხოლოდ შენით, –
არ გამოგვრჩეს მთავარი, –
შენ ხარ: ჩვენი გორგასალი,
დავითიც და თამარიც...

23

დემეტრეც ხარ, გიორგიც ხარ,
ჩვენი რწმენის შველაც ხარ, –
წამებული: შუმანიკიც,
ქეთევანიც შენა ხარ...

24

შენ ერეკლეს ხმალიცა ხარ
და ქოროლიის ისარიც...
ვინც სიცოცხლეს განაცვალე,
გვწამს: ქართველი ის არი...

25

ბედნიერი შენით არის
ივერთ: ძე, თუ – ასული,
აზრიც შენ ხარ, – სიცოცხლისა, –
სანყისიც და სასრულიც...

26

შენით, – ლაღად დაარწმუნენ, –
დავაჟკაცდნენ, დაქალდნენ,
შენ ხარ: ჩვენი გუთნისდედაც, –
დასაბამით, აქამდე...

27

ვისაც: ცნობაც, გრძნობაც, ნიჭიც,
აქვს იოტიც, – გაგების,
შენ ხარ: ჩვენი სულის ხატი, –
მოვლენილი განგების...

28

ფასკუნჯიც ხარ, ასფურცელაც,
ნაგლეჯ მინებს ნაკლულობ,
შენ, ნამდვილი წიქარაც ხარ,
ნაღო, განა ზღაპრულო?..

29

ცხრა მზე ხარ და... ცხრა ნათება...
ცხრა წყარო და... ცხრა თასი...
ორფეოსის ენაც შენ ხარ, –
სასწაული – ათასი...

30

თავს ვინონებთ დედაენით, –
გვმატებ: ძალას, ღირსებას,



ქართულ სიტყვას, როცა ვისმენთ,
დღეც სინათლით ივსება...

31

შენ იყავი ბრძოლის ველიც, –
დიდგორიც და მარაბდაც,
მეხთაგება: სპარსთა, თურქთა,
მონღოლთა და არაბთა...

32

ავი ბედი, რაც არ უნდა:
გვანამებდეს, შარობდეს,
დედაენავ, სანამ ბრწყინავ,
დავლამდებით აროდეს...

33

ცაზე, – სანამ მზე ანათებს, –
მინის კოცნით გართული,
იღიადე, დაილოცე:
დედაენა, –
ქართული!!!..

სამშობლო...

დამძივდებიან ვარსკვლავები,
რამდენჯერ,
ასე...
კვლავ იქროლებენ
დროის ქარნიც,
ახლა რომ ქრიან.
მე, რაც –
მაღალებს,
მაღამაზეებს,
მამდიდრებს,
მავსებს,
იმას –
ქართულად,
ერთი სიტყვა –
სამშობლო ჰქვია!..

საკოცნელ მინას,
მინის ხელზე
ანთებულ ვარდებს,
დასაბამიდან –
ხმალ – გუთანზე
იმედის ცქრიალს,
არნივებს მყივანს, –
ელვასავით –
ჩაუქებს,
მარდებს,
სინდისს და ნამუსს –
დასტურ
ჩემი
სამშობლო ჰქვია!..

ჭიუხში – ჯიხვებს,
ტყეში – ირმებს, –
წყვილად, თუ –
ცალად
სიცოცხლეს, – ზვარაკს –
სიკეთისთვის
აროდეს გვიან,
შოთას და ვაჟას –
ლექის,
სიტყვის,
ჯადოსნურ ძალას,
საუფლოს ღმერთთა, –
ამ ოლიმპოს,
სამშობლო ჰქვია!..

ყალყზე შემდგარი
ჩანჩქერები –
ლაგამს რომ ხრავენ,
ქვევრებში –
ვაზის სამირონე
რომ იწყებს თქრიალს,
სარაჯიშვილის,
გონაშვილის –
სიმღერის ხავერდს,
ეს, – კურთხეული,
ეს, – ღვთის სიტყვა:
სამშობლო ჰქვია!..

უფრო ლამაზი –
ამ რიჟრაჟზე,
რა უნდა მწამდეს?..
უცქირეთ მთვარეს, –
ლამის სანთელს, –
ნიქარას რქიანს,
ატყორცნილ ტაძრებს, –
მზით მოხატულ,
იისფერ ცამდე,
თილისმა – სიტყვა,
ძუძუ – სიტყვა,
სამშობლო ჰქვია!..

მწვერვალებს,
ველებს, –
ანდამატურს,
ცეცხლოვანს, –
ფრიად,
ხან –
ზურმუხტოვანს,
ნარინჯოვანს
კლდიანს, თუ –
ქვიანს...
სიყვარულს,
სევდას,
სიანკარეს, –
ამ გულის ფრიალს,
ეს, – ერთი სიტყვა,
ეს, – მზესიტყვა:
სამშობლო ჰქვია!..



დაილოცა!..

სადღეგრძელო ანუ ფილოსოფიურ-
დიდაქტიკური ტრაქტატი

1.

ძალავ
დიდო! –
კოსმიური შემოქმედის
შენი აზრის
სიმაღლე და
განი მოგვცა,
დაილოცა:
სიდიადე საკურთხეველის, –
სიცოცხლე და
უკვდავება
დაილოცა!..

2.

დაილოცა:
ჩვენი რწმენა
დიდი ღმერთის, –
ქრისტეს შობა,
აღდგომა და
ალილოცა,
ჩვენი, ყველა,
უნმინდესი
სალოცავი
სანთელით და
საკმეველით
დაილოცა!..

3.

დასაბამით
შუღლის,
ქიშპის,
სისხლის,
ცრემლის
უთვალავი
ნელთა რემა
გაიტყორცნა! –
დაილოცა –
ეს, – ახალი საუკუნე,
დედამინის
მშვიდი სუნთქვა
დაილოცა!..

4.

ჩვენი თავის
დაყუდნებაც
დაგვილოცე, –
თავის სანყმსოს
როგორც –
შვებით,
დალი¹ ლოცავს,
სულის ბროლი
დავკარგეთ და

დაგვიბრუნე, –
შენი მადლი, –
სათნოება
დაილოცა!..

5.

თქმა მართლისა
რატომ იყო
ასე ნავსი?! –
მისთვის,
ბევრჯერ,
დაუთხრიათ
თვალი როცა,
დაილოცა –
სამართალი
არსენასი,
და სიმართლე
მერაბისი²
დაილოცა!..

6.

სხივს, –
ჭეშმარიტს
ვინც მიჰყვება, –
მარადიულს
და... ქვეყანას
არ უმტკიცა
ბალი მოცვად,
ვინაც –
ჯვარზე გაეკვრება
სიმართლისთვის,
ის ღმერთი და
ის ღმერთკაცი
დაილოცა!..

7.

დაილოცა –
ცოტნეს გული
მოგიზგიზე,
მონღოლმაც რომ
გაოგნებით
გაიოცა,
დაილოცა –
გზები
ბერი თევდორესი
და დემეტრეს თავდადება
დაილოცა!..

8.

დაილოცა –
ვინც
სიკვდილი
თავად იყმო,
დაატყვევა
დაიმონა,
დაიოსა, –



¹ დალი: – ქართული მითოლოგიის მიხედვით, – ნადირთა პა-
ტრონი, მფარველი, დახოცილ ნადირთა მკვდრეთით აღდგო-
მა-გაცოცხლებისა და გამრავლების ქალღმერთი.

² მერაბი: მერაბ მამარდაშვილი, ცნობილი ქართველი ფილო-
სოფოსი, რომელმაც გენიალური აზრი გამოხატა ფორმულით:
„ერზე და ეროვნებაზე უფრო მაღლა დგას ჭეშმარიტება“.

დაილოცა –
სიფოლადე
ერეკლესი
და სამასი არაგველი
დაილოცა!..

9.
ვინც –
აროდეს,
არ იქცევა
ეპიალტედ,¹
არც –
მქუხარე ალექსანდრედ,
დარიოსად,²
დაილოცა –
ვინც იხატა
კერა,
ფუძე,
ცხრა ძმის
ცხრაჯერ უკვდავება
დაილოცა!..

10.
ვინც –
მდაბლობით
ამაღლებს
მწვერვალივით,
გამირავლებს
მოკეთეს და
ძმაილოსა,
ვინც იმეფებს
უტახტოდ და
უპორფიროდ,
ის, – უბრძნესი,
მეფეთ მეფე
დაილოცა!..

11.
ვინც –
თავის თავს,
სხვაზე უფრო,
მეტად მოსთხოვს, –
თავზე იწყებს
ამ ცხოვრების
მწარის მოცრას,
ვინც –
სხვას უფრო
შეუნდობს და
მიუტევებს, –
ის, – ერის და
ის, – ღვთისშვილი
დაილოცა!..

¹ ეპიალტე: – მოლაღატე ელინი გლეხი, რომელმაც ოქროს ფასად ასწავლა მტერს მთის საიდუმლო ბილიკი, – ელინთა ზურგში მოსაქცევად.

² დარიოსი: – დარიოს I – ძველი სპარსეთის მეფე (522–486 წ.წ.) იგი აწარმოებდა დიდ დამპყრობლურ ომებს. მისი მეფობის დროს აქემენიდთა სახელმწიფომ განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღწია. ზოგი მეცნიერი ძველსპარსული ლურსმული დამწერლობის შექმნას დარიოს I მიაწერს.

12.
ქართველობა
იყოს მუდამ
საამაყო, –
გავაშტეროთ
პარიზი და
ქაიროცა,
ვინაც –
სანთლად დაინვება
სიკეთისთვის,
ის ფერფლი და
ის სინათლე
დაილოცა!..

13.
რა სჯობია:
სულთა კავშირს,
გულთა კავშირს,
ეშმა ცდილობს
ამ გვირისტის
დანით მოცლას,
როცა –
ძალა,
არასოდეს,
ძალმომრეობს,
ის, – ნანატრი,
ხალხთა ძმობა
დაილოცა!..

14.
გაიდაროს, –
სისხლის წვიმა
ალარ წვიმდეს,
ქართულ ცაზე
ალარ ჩანდეს
დარი მორცხვად,
დაილოცა –
სილამაზე,
სიალაღე,
სიანკარე,
სისპეტაკე
დაილოცა!..

15.
დაილოცა –
ჩვენი ნეფე,
პატარძალი,
მათი ჯიში
და ჯილაგი
დაილოცა,
გაამრავლონ –
აკუნები და
ძე – ასულნი,
გაისტუმრონ
წინაპართა
ვალი ოცად!..





16.

გავაოცოთ –
შოპენი და
ბეთჰოვენი,
ჯადოსნური
მოვუკიდოთ
ალი მოცარტს,
ეს – ქართული
ქორნილი და
ეს ჰანგები,
ეს მუსიკა,
ეს სიმღერა
დაილოცა!..

17.

დაილოცა –
ანდამატი ორფეოსის, –
ორი მუზა
ასხივოსნებს
რაიც ორ ცას,
დაილოცა –
შარავანდი
შოთას ლექსის
და ილიას
მზეკაცობა
დაილოცა!..

18.

რითმას ვაქებ –
ასონანსურ-კოსონანსურს,
მაგიური
ხამს –
სიბრძნე და
გამის შნოცა,
ვლოცავ
რითმის ეტალონად –
სიმეტრიულს,
მონორიმის ევფონიაც
დაილოცა!..

19.

სადიდებლად,
სალმერთებლად, –
არწივების,
ლექსის ყანნით
ამოგვეშროს
მრგვალი ბოცა,
დაილოცა –
ვაზის ფესვი
და მირონი
ის, – პირველი
ვაზის ჯვარი
დაილოცა!..

20.

გორგასალის,
დავითის და
მზეთამარის



ლამაზ დროშას
აფრიალებს
ქარი როცა,
არ არსებობს
ძალა,
ჩვენ რომ
მოგვერიოს,
ის რწმენა და
ის ერთობა
დაილოცა!..

21.

მარტოდ მარტომ
ვინ შელენა
ქაჯთა ციხე?
სამთა გმირთა
განიქროლეს
კარნი ცოცხლად,
ცალკე ისრებს
ვარდკოკორი ბავშვიც
დატეხს,
ერთიანი –
ისრის ქოჯო
დაილოცა!..

22.

ერთად ყოფნა
ძალა არის
ჰერკულესის,
მეგობრობის
ის ძალა და
ჯანი მოგვცა,
დაილოცა –
ზენაართ
ტარიელი, –
ავთანდილით
და ფრიდონით
დაილოცა!..

23.

მთებს მოვეგრაგნით
ერთობით და
ერთი ნებით,
მტკიცე ნებით
იქცევიან –
მთანი ბორცვად,
ხალხის ბედით
ვინაც დულს და
ვინაც ბორგავს,
ის დულილი, –
სიბობოქრე
დაილოცა!..

24.

ვისაც –
ცეცხლი ეკიდება
ერის ჭმუნვით, –
სასთუმალზე
არა სძინავს,

ვაი მოცლას! –
ვინც –
რისხდება,
ვისაც სტკივა
ერის წყლული,
ის რისხვა და
ის ტკივილი
დაილოცა!..

25.
ბენვის ხიდზე
ვინაც გავა, –
მამულისთვის,
უიმისოდ
ვისაც არ აქვს –
ნამი დროცა,
ვისაც –
თვალეებს დაუნამავს
მისი დარდი,
ის დარდი და
ის ღვთის ნამი
დაილოცა!..

26.
ლომი უნდა
ლომობდეს და
ლომად მოკედეს,
არ ეგების
კურდღელივით
მხდალი ცოცვა,
დაილოცა –
მოთმინება
ქეთევანის,
დილოიძის¹
ხმალის ელვაც
დაილოცა!..

27.
„რა გვიჭირდეს,
მაშინ გვინდა
გონებანი“, –
ჭირთა ზღვაში
რომ მივანდოთ
ნავი ლოცმანს,
დაილოცა –
წყალს²
მწყურვალი,
ვინც გადაღვრის,
უდაბნოში
ვინც გადაღვრის,
დაილოცა!..

¹ დილოიძე: – ასპინძის ომის ყველაზე გამორჩეული გმირი, – თუში ვაჟკაცი, მეფე ერეკლემ, დამსახურებული გმირობისათვის, თავისი ნაჩუქარი ხმალი გამოართვა ასევე სახელგანთქმულ გმირს – ხევსურ ძაღლიკა ხიმიკაურს და გადასცა დილოიძეს.

² წყალს მწყურვალი უდაბნოში ვინც გადაღვრის: – იგულისხმება ნაპოლეონ ბონაპარტი, რომელმაც ეგვიპტეში ლაშქრობის დროს მისთვის მიტანილი წყლიანი ფიალა შორს მოისროლა ისტორიული სიტყვებით: „მე როგორ დავლიო წყალი, როცა ჩემი ჯარისკაცები წყურვილით იხოცებიან“.

28.
თავზე მალლა
ვისაც არ აქვს –
კუჭი, –
მგლური,
ვინც –
ღირსებას
ღვთაებრივი
მადლით მოსავს,
ვინც –
არ ჰყიდის
ფულზე –
სახელს, –
სინდისს,
ნამუსს,
ის ქართველი, –
ის ხატება
დაილოცა!..

29.
ზამთრის ყინვას
ვერვინ გახდის
მარადიულს,
ზღაპრულია
გაზაფხულის
თვალი, – ფლორცა³
ეს, –
ბუნების ზეიმია, –
ნატვრისთვალი,
გაზაფხული
ცხოვრებაშიც
დაილოცა!..

30.
შრომით ზეობს
მიწყევ,
ყველა სასწაული,
დღეებს
ავად
უნდილი და
მკვდარი ხოცავს,
დაილოცა –
მძიმე ტვირთი
ჭიანჭველის,
უნმინდესი ლალა, –
ფუტკრის
დაილოცა!..

31.
დაილოცა –
ეს მთა-ველი,
ეს ქედები,
რიონმა და
ალაზანმაც
ბანი მომცა.

³ ფლორცა: – (ძვ. შემოკლებული სიტყვა, ანუ ბერძნულად: აპოკოპე) სრული სიტყვაა ფლორცი. იგი ომონიმია და პირველ ვარიანტში: 1. ქუჩა, შუკა. 2. მოედანი, ტრიალი





დაილოცა –
ზვარი,
ყანა,
ეს ჭალები,
ამ სამოთხის
მწვანე სუფრა
დაილოცა!..

32.

ღირსი ვიყოთ
სიცოცხლის და
გადარჩენის, –
შეგვეწიოს –
მარიაში
და ნინოცა,
ვისაც –
გულის ლაჟვარდიდან
მზე ამოსდის,
ის ლაჟვარდი,
ის მზეგული
დაილოცა!..

33.

სიყვარულში,
სიქველემში
შევეჯიბროთ,
არ მოგვაკლოს
ქვეყნად –
მზის და
მთვარის კოცნა,
დაილოცა –
ერთგულება,
ერთად ყოფნა,
ერთიანი საქართველო
დაილოცა!..

საკუთარ თავთან

მქონია ომი...

სიძნელე გვანართობს
ვით –
ცეცხლი ფოლადს...
ღირსებას მარხავს
თრიაქი ძლომის...
ხიდია ბენვის
ცხოვრება
მუდამ,
მგელკუჭას
ჭამა ჰგონია
ლომის...
არ-რით
არაა –
უფრო რე ძნელი,
ვიდრეა ცეცხლი, –



სინდისის
წყრომის...
ვით ვამბობ
მართალს,
ავსხივდე ისე, –
მწყალობდეს მაღლი:
ნილკნის და
წრომის...
არ ვიყო:
ტვირთი, –
სათრევი დროის,
არც
ღირსი
ბაგის,
ბოსლის და
გომის...
საწყის-სასრულის
გაგება მქონდეს
და... ძალა –
თავის ფეხებზე
დგომის...

არც – კართაგენთან,
არც – ჯართან რომის,
საკუთარ თავთან
მქონია ომი...
მაშორა ღმერთმა:
ქიციანი – კუდის,
უნარი – ლიქნის,
ფეხებქვეშ ძრომის...
სჯობია:
ასჯერ,
ათასჯერ,
მიწყევ,
სიცოცხლეს თავგის,
ფიტული ლომის...

კახეთი

კახეთი! –
ნატვრის თვალია, –
ალაზნით,
ხობის ფრთიანად,
მზის ერბო
ველზე დაღვრილი,
კორტოხზე –
ნისლი ფრიალა.
ცა –
მენამული დაისით, –
რომ ეფერება
იალალს,
ყაყაჩოსფერი –
რიყრაყი,
ჭალაში –
ვერხვი შრიალა.
ვაზი,

ქვევრი და
მარანი,
ხაპი,
დოქი და
ფიალა,
ტოროლა,
შაშვი,
ბულბული
ამ სილამაზის
ტრფიალად...
მინის ფარდაგზე –
ზურმუხტი
ქარაფზე –
ბროლი კრიალა,
სამოთხე, ქვეყნად,
აქ არის,
მართლა
ზღაპარში კი არა!..

მგოსნები...

ათინათებით
უკუნეთის
ბოცა ინრიტა,
ეს, –
ცის გუმბათზე,
მოკიაფე
მინანქრებია,
მაგრამ
მზის ღმერთი
აცურდება,
როცა – მიწიდან,
ათინათები
აღარ ჩანან,
კი არ ქრებიან?..
ციცქნა მგოსნები
ციმციმებენ –
ათინათებად,
ზევსი მგოსანი
მე მაგონებს
ამ მზის ნათებას!..

ჩემო ქართულო!..

ჩემო ფრესკავ და
ჩემო ტაძარო, –
შემოკელაპტრულ –
შემოსანთლულო,
ზღაპარ-სიმღერავ
ავთანდილურო, –
შემოშაქრულო,
შემოთაფლულო!..
მთათა მწვერვალო, –

თოვლით ნანერო,
თვალო ზურმუხტის, –
ველად ჩართულო,
ღვთის კურთხეულო,
ღვთის დალოცვილო,
ჩვენზე ფიქრით და
ზრუნვით გართულო!

ვაზის ფესვებით
შემოსალტულო
და ციხე-ბურჯად
შემომართულო,
მზისდარ, – ამ ჩქერით,
სხივთა ჩანჩქერით,
სულში და
გულში
შემოდგაფუნობ!..

შოთაის სიბრძნით
შემოკვართულო,
ვაჟაის ენით
შემოქარგულო! –
შენ – შემოგველე,
შენ – გენაცვალე,
შენ – გეთაყვანე, –
ჩემო ქართულო!..

ვინ ვარ?..

1
არ ვარ –
ვანდალი,
ვარიაცი,
ვესტგუთ,
ოსტგუთი,
არც – აფრიკანი,
არც – ჰუნი და
სკვითი,
მონღოლი...

2
არ ვარ –
ხაკასი,
იტელმენი,
ჩუქჩი,
ტუნგუსი,
არც – პაპუასი,
არც – ტაიტის
აბორიგენი...
არც – ხარახოტოს¹

1 ხარა-ხოტო (მონღ. შავი ქალაქი) ციხე-ქალაქ ეძინის (ხეიუნ-ჩენი) ნანგრევები ჩინეთში. პირველად იხსენიება XI საუკუნეში, – სი-სიას სახელმწიფოს ყოფილი ცენტრი. მსოფლიოში, პირველად, აქ იქნა შემოღებული ქალაქის ფული, რომელიც იუანის დინასტიას განეკუთვნებოდა. 1226 წელს ჩინგიზ-ყაენის მიერ მინასტიას განეკუთვნებოდა. 1226 წელს ჩინგიზ-ყაენის მიერ მინასტიას განეკუთვნებოდა. 1226 წელს ჩინგიზ-ყაენის მიერ მინასტიას განეკუთვნებოდა. იმის შემდეგ, ამ სამეფოს ალიკვალიც კი აღარ დარჩა.





ალი-კვალი, –
ამომანთული,
არც – კოსმოსიდან
მოფრენილი
ჰუმანოიდი...

3

იქნებ –
ხეთი ვარ,
ან – შუმერი,
ან – ქალდეელი,
იქნებ –
ასური?

ან – იბერი, –
პირინეიდან
და... მე მოვხატე
ალტამირას
გამოქვაბული?..

4

იქნებ –
ურარტუს
ცის კამარა
დამკამკამებდა?

იქნებ –
ელადის
მინას ვსუნთქავ,
ანდა – ივრითის?

იქნებ –
ინკი ვარ?
ან – აცთეკი?
ანდა – ეტრუსკი?

იქნებ –
კელტი ვარ, –
ალბიონზე დავანებული?..

5

ხან –
ვარ დიუნი,
ხან –
ბარხანი, –
მოხეტიალე,
ხან –
ოკეანე, –
საოცარი სუნთქვა
გოლფსტრიმის...

6

ხან –
ვარ მუსონი,
ხან – პასატი, –
მგზავრი მარადი, –
ფიქრის ფასკუნჯი, –
ფორიაქის
ფრთებით დაღლილი...

7

ვარ სუპერნოვა,¹ –
ზენაარის ასხივებული
მოვდივარ,
მოვქერი,
მოვშრიალებ,
მოვძოვ კუნაპეტს...

8

პალეოლითი,
ნეოლითი
გამოვიარე,
შემოვბიჯე
XXXX ათასწლეულში...

9

ვინ ვარ? –
არ ვიცი,
თუმც,
მოვდივარ –
დასაბამიდან, –
გალაქტიკაში
საჭვრეტად და
სამოგზაუროდ...

10

ხან –
ვარ სოლომონ,
ხან –
მისანი
ძველი დელფოსის,
ხან კი –
სოკრატე,
პლატონი და
არისტოტელე...

ხან –
ციცერონი,
ხან –

აიეტი,
და... ხან –
ფართაზი,
მაგრამ

არა ვარ –
დიოგენე, –
ლმერთი და
რჯული...

11

იქნებ –
მე ვწერდი
ქვაბაზალტზე
პირველ კანონებს?
თიხის წიგნებს და
პაპირუსებს,
პირველ კალენდარს?..

1 2005 წელს მეცნიერებმა მოახდინეს სენსაციური აღმოჩენა, – 10 მილიარდი წლის წინ აფეთქებული ვარსკვლავის სინათლემ ეს-ეს არის მოაღწია ჩვენს პლანეტამდე. ასტრონომებმა 48 ასეთი აფეთქება დააფიქსირეს. ამ აღმოჩენას მათ, პირობითად, „სუპერნოვა“ უწოდეს.



12

იქნებ –
მე ვიყავ
ლექს-მხატვარი
მზე-გილგამეშის
და... შემოქმედი
სასწაულთა, –
შვიდთა, –
დიადთა?..

13

იქნებ –
მტვერი ვარ, –
მინიერთა
ღმერთთა,
ქურუმთა?
მტვერი, –
მათ ფეხთა,
უფრო მცირეც, –
ამ მტვერის
ნაწილი?..

14

...უბრალოდ,
აზრის ანასხლეტი,
დღემდე,
ელვარე...
და... ცისარტყელის
უსამანო
მრავალწერტილი?

15

მხოლოდ და
მხოლოდ –
ჩემი სულის
მუხტს და
ატომებს
ქალაქს გადავცემ, –
კალმის წვერის
ფრთხილი შეხებით...

საით მივდივართ?!..

(ჰიპერმეტრიული ვერლიბრი)

*ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის, სადმე, ერი?
ილია*

მიქრის,
მიილტვის
დროის ეტლი, —
რაშებით
წელთა,
და...
ველარ განვვლეთ
ჯოჯოხეთი

უდაბნოეთის,
ჯვარზე გაკრული
ივერია
ვერ ჩამოვხსენით,
ნატანჯ-ნაგვემი,
ცრემლდათხეულ —
სისხლდათხეული...

ქვის იარალით,
ქვის ცულებით,
ქვის შურდულებით
ვებრძვით —
შიმშილის დინოზავრებს,
შიმშილ-მამონტებს.
რამდენი —
შოთა,
საბა,
დავით,
ტატო,
ილია, —
უსამართლობის
ღვარძლის,
ქიმპის
ურჩხულმა ჩანთქა?!.

სტომაქ-მადლარნი
ზე — ასულან, —
ტოტებზე ხეთა,
მიწაზე,
ნეტავ,
თუ ჩამოვლენ,
უფალო,
როდის?..
ისინი
მაინც,
ვერ ხედავენ
თვით, — ტელესკოპით:
თავისი მუცლის,
ფულის კერპის,
და... ცხვირის
გარდა...

და... კვნესის მიწა, —
მოფარფატე ფიქრი
ცახცახებს,
ინვის სიტყვა და...
გრუხუნია
განცდის ზვაგების,
ყორანი დაქრის —
ავთა,
შავთა
ამბების მაცნე,
ელვა-ტკრციალი,
ჭექა-ზარი
გვაყრუებს მეხთა!..





პირი გამშრალა,
შემოგვადნა
ძონდი სხეულზე,
ნაღვერდალივით
ცხელ ქვიშაზე
ფეხნი დამსკდარან...
მივათრევთ სხეულს
მძიმე სულით
და მივლასლასებთ,
ლმერთო, —
ციერო,
რა შორია
ალთქმულ ქვეყნამდე!!!..

გახმა ზურმუხტი
თვალთა ნამით, —
უმდულარესით,
დაიხშო სმენა, —
ამოხვიჩვით,
მოთქმა-გოდებით,
ლოდიც კი დადნა
სათქმელი და
უთქმელი დარდით,
სადლაა ენა,
ესოდენი
ჭირის სათქმელად?!..

ოხრავს მამული
ნაშუბარი,
ნაჭარ-ნაკაფი,
ნახანჯლ-ნახმლევი,
ნაისრალი,
ნაიარევი,
ნარბევ-ნაცემი,
ნატყვიარი,
ნაგლეჯ-ნანენი,
ნაშენ-ნაშალი,
ნატუსალი
და ნამუსრალი...

შეგინებული,
შერყვნილი და
შეჩვენებული,
თავში ჩარტყმული,
ფეხთ სანმენდად
ძირს დაგდებული,
ლამის დამხრჩვალნი
კრედიტ-ვალით, —
უზარმაზარით,
ჩარჩთა,
თაღლითთა —
უთავბოლო,
დუქან-ბაზარი...

ყოფნის
არსობის —
რა სიცხადე,
რა სიმკვეთრეა, —



მაძღარ-მშიერთა
ორი კასტა, —
ორი პოლუსი,
წელთა აღრიცხვას
წუთუ, ვინყებთ
ისევ, თავიდან?! —
დროს, კვლავ,
ვაბრუნებთ —
პლებებების,
პატრიციების...

ხეჭის,
ტაცების,
დამცირების
საასპარეზო,
უსასოობის
„უ“ ათასის
აპოთეოზი,
„გულმონყალეთა“
თვალთმაქცური
ბადე და...
ყულფი,
კანონთა —
ოდენ,
სასაფლაო
და პანთეონი...

პირქვე დაემხო, —
აღმა მსრბოლი
სახელ-დიდება,
დემოკრატიის —
შირმით,
ნიღბით,
თამაშ-თამაშით,
ჟამი დამდგარა
უჟამობის, —
ყოფნა-არყოფნის,
გაუტანლობის,
გაორების, —
გაუსაძლისი...

ჩვენ რომ
დავიცვათ —
ჯვარი ვაზის, —
რწმენა,
ღირსება,
სულის ტაძარი,
ნათლის სვეტი...
სად გვყავს
ლაშქარი?!
თუმც გვყავს
არმია —
უპოვართა
და დავრდომილთა,
ქურდთა,
მეძავთა,
მათხოვართა
და ნარკომანთა...

სად არის: —
სითბო — გაყინულთა,
პური — მშიერთა,
წყალი — მწყურვალთა
და... ნამალი —
მიზნით სნეულთა?!.
სად არის:
წყარო საესავის
და სათნოების, —
ღველფი ნუგეშის,
სულთა
ჩვენთა
გადასარჩენად?!.
შენი შვილია,
პრეზიდენტი,
ეგ მათხოვარიც,
ქურდიც,
მეძავიც
და... დაღლილიც
ფულების
თვლაში...
ნუთუ, შენც —
ლამე არა გძინავს
დუხჭირი
ფიქრით,
მჭმუნვარე განცდით,
ტკივილებით
და... მშობლის
ხედვრით?!.
შენც —
მათებრ გცივა?!.
მათებრ გშია?!.
მათებრ გწყურია?!.
და...
მათებრ, კვნესის
მაგ მკერდის ქვეშ —
გულიც და
სულიც?!.
მანც, —
სად არის
ხსნა — სიმართლის,
სინდის-ნამუსის,
ხსნა —
სიანკარის
და...
საერთოდ,
სირცხვილ-სიცოცხლის?!.
პასუხს მოითხოვს,
პასუხს, —
მკაცრი,
დრო — ხვალინდელი,
დრო — უნრფელესი,
დრო — თემიდა,
დრო — მზის სასწორი...
ჩვენ დავითხარეთ

თვალები და...
ვჩოჩავთ —
ცეცებით,
უდაბნოეთში —
გზა
სად არის?!.
საით მივდივართ???!..

ფუტკრის სავალოშელი

როგორც ვაზსა და ხარდანს,
გლოცავ ციურო მწერო,
მზის მეგობარი ხარ და,
შენზე მზით მინდა ვწერო.

ღვთიური რომ გაქვს აზრი, —
სიკეთის საქმით ხატვის,
ასე, — ქართული ვაზი
გვაძლევს ზედაშეს ხატის!..

ჩვენი სკით, ჩვენი ზვართ
შეგვეჯიბრება ვინო? —
ცის ქვეშ მედროშე არის
ქართული: თაფლი, ღვინო!..

ცა შეიმღვრევა როცა
და... თეთრად იწყებს ლივლივს,
ნამით არა გაქვს მოცლა, —
მთა-ბარს სიმღერით ივლი!..

შენი მადლია, დღემდე,
რაიც სანთელი ვანთეთ,
უფლის ნებას რომ ენდე,
გგჩუქნი — თაფლსა და სანთელს!..

ავს აქვს სიავე — წესად,
უნათლესია — ერთი:
ვინაც სიკეთეს თესავს,
მოციქულია ღმერთის!..

და ყველას ჰქონდეს, ნეტავ,
ეგ სათნოება, — შენი,
სახელს, ყველაზე მეტად,
უანგარობა შვენის!..

რაიც ხატავდა პარიზს,
რაც რომს ქერწავდა რომად,
რაც კი სიკეთე არის,
მისი ფრთებია შრომა!..

ვინ ამზევდება, ირგვლივ,
არსით — თარსი და ფარსი? —
ბედნიერია იგი,
შრომის ვინც იცის ფასი...





შრომით წერ – თაფლის რომანს
ფიქრი საქმედ რომ ახდეს,
დიდება არის შრომა,
შრომა სასწაულს ახდენს!..

როცა სანთლებად ელავ,
გაქვს სატანასთან ომი,
შენ – ერთს გეკუთვნის, – ყველა,
საგალობელი შრომის!..

P.S

ცა შრომის ნათელს ლოცავს,
ჩვენც ნათელს ვლოცავთ კვლავ ცის,
რა ღვთის მადლია, როცა,
როცა ფუტკარს ჰგავს კაციც...

ერისიონი, –

ანუ –

საქართველოს საგალობელი

*ვუძღვნი: ანსამბლ „ერისიონს“, მის
ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს,
ამ ანსამბლის მთავარ დამფინანსებელს,
ამერიკელ (სიეტლიდან) ჯიმ ლოსა და
კლიპის რეჟისორს ფრანგ პიერ ვერგნერს.*

ისე ანთია
მზეი, —
სიმღერის,
ცეცხლით დაინვავეს
წამწამს აულიც,
თუ —
ივერიის
გნამს უკვდავება,
მუხლის
მოდრეკით
ამ წვას აუვლი?..
ცად დაფრინავენ
ანგელოსები,
ეს, — რა ხმებია,
რა სასწაული?!

მე ვხედავ:
გახსნილ
ქართულ ქარაგმას,
ვაზის ფესვებს და
მაჯას ჯანიერს,
ღმერთებს, —
ტაიჭთა
ფლოქეთა თქარუნით,
მუდამ
ხმლის პირზე
მავალ ამ იერთ,

ჩაკრულოს,
ლილეს,
და ოდოიას,
კრიმანჭულსა და
მრავალჟამიერს!..

ეს, — გელათია,
და ნიკორწმინდა,
ხატი ყინწვისის,
ფრთები! —
ღმერთმანი,
ქორო ვარძიის
მითოს-ზღაპრული, —
სართულ-სართული
ქვაბნი, — დევთანი;
ცერზე შემდგარი
ციხე-კოშკები, —
საუკუნეთა
ჯავშან-ბექთართი!..

ეს ძალა არის —
საბახტრიონე,
საასპინძე და
რწმენის ციონი¹
სვეტიცხოველის
სველი ჩუქურთმა,
ზარზმა,
ხახული,
ძველი სიონი!..
ეს არის —
კლდეზე
თერგის დგაფუნი
ზვირთი — არაგვის
ჩქერი — რიონის!..

ცეკვა —
ცერულით,
ელვა-ხანჯლურით, —
დაქრიან
როგორც —
ველის სიონი,
ცეკვავს დიდგორი,
ცეკვავს შამქორი,
მღერის ჯვარი და
მღერის სიონი,
სცენის ტორნადო
და ტაიფუნი, —
ერის დიდება,
ერისიონი!..

¹ ციონი – უკიდევანო სივრცე – გალაქტიკა.



საზღვარი

არ აქვს?!

ნათელი —
მუდამ,
სჯობნისო
უკუნს,
მამინ,
ჩვენ,
რატომ,
მივდივართ
უკუ?!

ერთს —
მილიონი
არ ჰყოფნის, —
სრული
ათასს —
შიმშილით
ამოსდის
სული...

მტერს ვანდობთ
საქმეს —
ისრის და
მშვილდის,
მასხარად, —
ცირკის,
ვუყურებთ
სინდისს...

ღირსება —
ღმერთად,
ღირსეულს
უღირს,
ღირსება —
ღინღლად
არ უღირს
უღირსს...

მოვიდა ქვეყნად —
რაისთვის?!
და რად?!
თავი —
ღმერთების
რომ მოაქვს
დარად?!.

ბრძენს —
მინყვი
ქვეყნის
ანუხებს ვალი,
თაღლითს —
ტახტისკენ
უჭირავს თვალი...

ჩალიჩობს —
ჩარჩი, —
ჩანჩურა ორდე,
უღირსი
იღებს
ღირსების
ორდენს...

მქუხარე სევდის
დავაშროთ
ზღვა რით?
თეთრის და
შავის
არ არის
ზღვარი...

ბულბულზე
უკეთ
გალობსო
ყვავი
უსამართლობა
ვარდივით
ჰყვავის...

ხომ აქვს
საზღვარი —
მტკვარსა და
არაგვს? —
უსინდისობას
საზღვარი
არ აქვს!!!.

შემოგველე,

იმერეთო !!!

*ვუძღვნი ჩემს იმერელ
შვილიშვილებს: პაატა,
ავთანდილ და ნათელა
შალამბერიძეებს.*

ნიფის გვირაბს
გავცდი...
ირგვლივ —
მზე შლის
სხივთა გვირილას...
სიყვარულით
მოხვანცალებს:
ეს, —
ყვინჩილა
ყვირილა...

ემღერებათ
ნაკადულებს, —
ბანცალებენ
მთვრალეები...
მომანათა





იმერეთმა —
სერაფიმის
თვალები...

აქ, —
უმალვე გადაიყრის:
ნისლში ვინაც
ძირულა...
ტაშს უკრავენ
ვერხვები და,
ცერულს
ცეკვავს
ძირულა...

კორტოხებზე
კუნტრუშობენ
ფრთახატულა
ოდები...
გეხუტები —
ზესტაფონო, —
მოველ,
განა გშორდები?..

სულ, —
ვარდებად ილაღანე:
დღემდე თქმულო,
არ თქმულო,
გენაცვალე, ქუთაისო, —
მასპინძლობით
განთქმულო!..

თუ რამ, სადმე,
თაფლი იყო,
ზედ წავისვი, —
ენაზე,
შემოგვევლე:
იმერეთო, —
გულმზეო და
ენამზევ!!!

ბელოზებელი...

მტერი
ვით უზამს
სიავეს? —
რაც უყო
თავის ენამან?!
კეთილის
კილვა-აუგმან,
გულშავმან —
ზრახვა-რქენამან,
არც შეინყალა
უფალმან, —
ქვენამან,
არცა —



ზენამან,
თვით გარდმოისხა
მდულარე —
ბოროტმან, —
რისხვის დენამან...
სიმართლე გითხრათ, —
დასტურად,
ამ სულში
სხივთა ფენამან,
ბრიყვს
თავი მოსჭრა, —
მოცაკლა:
არ —
ბაგით
სიბრძნის ცვენამან,
არ —
ანონილმან
სიტყვამან,
არ —
მტრისგან
მტრულმან
წყენამან,
არა —
ხმალმან და
ხანჯალმან,
მხოლოდ —
თავისმან
ენამან...

საქართველო

გაზრნყინდება,

ანუ —

რეკავს ელიას სამეშის

ზარი!..

(კანტატა)

ახალ ეპოქას მივკვალავთ როცა,
ტრიალებს, ისევ, წარსულის მტვერიც,
იმ გმირთა სვეს და დიდებას ვლოცავთ,
მოყვარედ ვინაც აქციოს მტერიც.

შრომაში ქვეყნის, რა არის დალლა? —
ნაყოფად, როცა შარავანდს ისხამს,
სიკეთით, მუდამ, მივიწვევთ მაღლა,
მოგვითბავს: შულლი, ომი და რისხვა!..

ბიბლიის სიბრძნით მიიწვევს ერი,
თუმცა, სასტიკი უბერავს ქარი,
მრავალჯამიერს იმედით მღერის,
და ორფეოსის უჭირავს ქნარი!..

ვიკიდებთ, გულზე, სურვილის ალებს, —
რეკავს ელიას სამეშის ზარი,

გვნამს: გაბრწყინდება, – ძალიან მალე,
ეს მინა, – უფლის ბალი და ზვარი!..

ათას ქარტეხილს გადურჩა ქართი,
რამდენს – ლამაზი სახელი შვენის,
გვიბოძა ზენამ იესოს კვართი,
მამულო ჩემო, – ღირსება შენი!..

ღირსება – რწმენით, სინმინდით მშვენდა,
სიმართლით მშვენდა, სიკეთით მშვენდა,

ქართული სული ანთია სანამ,
ათივე მცნებით გვიგულე შენთან!..

მზით, სიყვარულით, დღე სანამ შენდა,
დიდება შენდა! დიდება შენდა!!!

ქართული სიმღერა...

ჰამლეტ გონაშვილის გახსენება

მკვდარს აცოცხლებსო
ორფეოსის –
თილისმა ენა...
ლომს
მსხვერპლის შექმა
ავიწყდება, –
მუსიკით გართულს,
სისხლის ბანარმა –
ჭრილობიდან,
შენყვიტა დენა,
და, თვით, –
სიკვდილმაც დაუჩოქა
სიმღერას ქართულს...

როცა, სიმღერა, –
ეს, ქართული, –
მზის სხივთა ფრთას შლის,
სასწაულიო! –
წყლით გამომხტარ
ქვასაც კი უთქვამს...
მოფრინავს ტყიდან –
ასხლეტილი,
ფოთოლთა ტაში,
ნაკადულები
აჩერებენ
მაშინვე, სუნთქვას...

ეს სიმღერაა, –
ჟრუანტელი რომ უვლის
ბალახს,
ეს სიმღერაა, –
ნეტარება, –
ციური განცდის,
ეს, – ჯადო ხატავს
მინის ფარდაგს, –
კაეშნის ნალახს,

სკილა-ქარიბდას
ამ, – ქართული
სიმღერით გავცდით...

ეს სიმღერაა
კოსმოსშიც რომ
სიცოცხლედ ადის,
თუ, უმღერია –
ასე, ხიბლით,
როდესმე?..
ვისმე?..
ქართული ჰანგით, –
ჯადოსნურით,
იშლება ვარდიც,
სიმღერას ქართულს,
თურმე,
მალა,
უფალი ისმენს...
თავს დაგვტრიალებს
ანგელოსი –
ხუთი, თუ –
ექვსი, –
გარეშე ჰანგის,
არის ყოფნა:
ჩალა და
ლოლო...
სიმღერის მადლით
იბადება
ქართული ლექსიც, –
სიმღერის მადლით! –
სასწაული სიმღერის! –
მხოლოდ!..

ავტონომია...¹

(სიყვარულმა მათქმევინა)

ღმერთო! –
ერთობის
ძალა მალაცე,
დულს დარდი,
როგორც –
ჭურში მაჭარი,
„ავტონომია“, –
სიტყვაც მაცეცებს,
როდესაც ვფიქრობ
ბედზე აჭარის...

თეთრი, რაც არის,
შავი, რაც არის,
ხამს
დავინახოთ
ფერი
იმ ფერად,

1 1921 წლის 16 მარტს თურქეთის ხელისუფლების დაჟინებულ მოთხოვნით, აჭარის ავტონომიაზე მზაკერულ და ვერაგულ ხელშეკრულებას, ქართველების გარეშე ხელი მოაწერეს: თურქების მხრიდან – იუსუფ ქემალმა, რიზა ნურიმ და ალი ფუადიმ, რუსების მხრიდან – გიორგი ჩიჩერინმა და ჯელალ კორკმასოვმა.





რატომ ვიყაროთ
თვალში ნაცარი? –
მტრებს სურდათ:
„დი-ვი-დე ეტ
იმპერა!“...

სისხლით და
ხორციით
როცა ერთი ვართ,
როცა –
ერთი გვაქვს
მინაც სალოცი,
ძმობის თავდები
როცა ღმერთია,
რად გვინდა
ცალკე –
მზე და
კალო ცის?!

გვაქვს გონი, –
განა
რიყის ლოდი ვართ?
ერთურთის –
ცეცხლით
როდი ვერთობით?..
დასაბამიდან,
ასე მოვდივართ:
სიბრძნით,
სიმტკიცით,
ძმობით,
ერთობით!..

ცალ-ცალკე, –
უღლით,
გვლლიტეს კისრები,
ერთად კი...
ერთად,
დავცემთ ორ დევსაც,
რატომ დავშალოთ
ქოჯო?¹
ისრების? –
ერთობაშია ძალა,
როდესაც...

მე – ფიქრში ვინვი, –
ხნულში,
ვით ხარი,
ჯვარცმას ვადარებ:
ამ წვას,
ამ ყოფას,
რა ქართველია, –
ერთი მითხარით,
ვინც ცდილობს:
ქვეყნის –
გაჭრას,
გაყოფას?!

თუ –
ჭეშმარიტად,
ილიას მივდექვთ?..

ვერ გავაკეთეთ
დასკვნები
დღემდე? –
ველარ ვეხსნებით
ამ დევს და
იმ დევს, –
გზას –
პატივყარილს,
რაისთვის ვენდეთ,
თუ –
ჭეშმარიტად,
ილიას მივდექვთ?..

ზენაარს
ვითარ –
რა ეთქვა მეტი? –
ღმერთკაცმა,
ნათლით,
რა გვითხრა
ბუნდად?..
დგას ეს სიტყვები,
ვით –
ნათლის სვეტი:
ჩვენ –
ჩვენი თავი
გვეყუდნეს
უნდა...

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!..

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! –

შენი ძველი მეგობარი მიცან“.

გალაკტიონი

მომენატრე სიყვარულის წილად, –
გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!
დასაბამით, ჩვენ ერთნი ვართ... წყვილად –
ამ ცა-მინის, – ლაზათი და მშვენი!

გულს იმ შუღლის სინანული მიწვავს, –
რინა-ბზიფს და რიონ-მტკვარსაც რცხვენის,
ეს, – სავარდე, ეს, – სავაზე მინა –
გარბენაა ერთი, – ზეზვას ცხენის...

ცას მოეუხმით სილაყვარდის მუნ და...
შევისმინოთ სიბრძნე ღმერთის ენის, –
მზეობაა – დიდი სულის, მუდამ,
დავიწყება, ძმათა შორის, წყენის...



1 დაყავი და იბატონე (ლათ.)

2 კონა, შეკვრა (თუმ. ფშავ. ხევსურ. კილო)

ნარბის შეკვრა, შუბლის ქმუხვნა კმარა,
სიბრძნე მიყვარს, აფხაზეთო, შენი,
სიძულვილი არ გიხდება, არა,
სიყვარული! სიყვარული გშენის!!!

უფლის მადლი დაგტრიალებს ზედა,
დრო მოსხიპე, – მნუხარებით ქშენის...
გოგონები – პირად, თვალად მზე და
ჭაბუკები? – არწივები, – შენი!..

სიყვარულსო გაფრთხილება უნდა,
უფალიც ხომ სიყვარულით გეშველის...
გამარჯობა!
გამარჯვება, მუდამ:
სიყვარულით! –
აფხაზეთო, შენი!!!

ძმობა ჰქონია,

ჩვენებრ, იშვიათს!..

ერთად ვიყავით, – ღმერთის ნებისად,
სხვა გვყოფს, გვაქეზებს – მტყუნ-მართლებად,
სად გაგონილა შუღლი ძმებისა?
რა გეჭირს, რა მოგვდის, რა გვემართება?!

ძმობა ჰქონია, ჩვენებრ, იშვიათს,
დამიდასტურებს ამას წარსულიც, –
ერთად ვიყავით – ქირში, ლხინშიაც, –
გვირგვინს იდგამდნენ შენი, ასულნი!..

და ფიცი ახლაც სახლობს ბაგეზე, –
იმ წინაპართა, გვწამდეს იმ ფიცის,
ემმაკი, როცა შუღლით გვაქეზებს,
გამოცდა უნდა ალბათ სიმტკიცის!..

სიავემ სიბრძნე ვერ-რით დაშრიტა! –
ვინ რა მოიგო ავთა დღეთაგან?!
ვერავინ ნაშლის – ტყვიით, დაშნითა –
შოთა რუსთაველს, კოსტა ხეთაგათს!..

ერთად ვიყავით ომშიც, ლელოშიც, –
ამ ძმობას წლები როდი მაღავენ?...
ვერავითარი ძალა ვერ მოშლის:
ოსურ სირჩას და ქართულ ალავერდს!..

ზეცამ მომავლის, კვლავაც იბროლოს, –
ვამზეოთ გულთა მისვლა-მოსვლანი,
ამ სიყვარულის არის სიმბოლო –
დიდი თამარი, დიდი სოსლანი!..

აი, მთავარი, –
ყნინ!!!

უმთავრესია, –
ახლა,
„ა“ იქნება, თუ
„უ“ წინ...
როგორ გადავრჩეთ,
მინცივ, –
უწინარესად,
ყნინ!!!

დასაბამიდან –
მოვდევთ:
გზას,
სათნოებით
სადარს...
ვერ მივაგენით,
მაინც,
სასრულ-საწყისი
სად არს...

ციცაბო არის
ეს გზა, –
ქარაფი,
არსად –
ველით...
სულ ვფორიაქობთ,
ათას
სკილა-ქარიბდას
ველით...

ვერ გამოიბა
ჩვენმა –
ეპოქამ
სიბრძნის ვაშლი,
მეც, –
ამად,
ლექის სტრიქონს
ფიქრს და
კაეშანს ვაშლი...

ცილის,
ღვარძლის და
ქიშპის –
ზღვა-ნიაღვარი
რო დის,
ჩვენს მხრებზე
თავი ჩვენი
დაგვეყუდნება
როდის?..

ერთობისათვის –
ერთნი,
ვაცხელებთ კეტებს,
არ – თავს...

1 პარტიების პირობითი, თანამიმდევრული, სიმბოლური ინი-
ციალები, ანუ, ანბანის მიხედვით, პირველი თუ მეოცე. მაგ.
სასკოლო – „ა“ კლასი, „ბ“ კლასი და ა.შ.





ცხრა მთას იქით კი,
ვილაც,
ჩვენს ბედს და
ილბალს
ართავს...

თუ, –
არ გავიდეთ
ხიდად,
ძმა რად გვინდა და
და – რად?..
ქართულს დავმარხავთ,
თუ კი –
ვიქნებით
თხა-მგლის
დარად...

ამბობენ:
ყავლის გასვლას –
ეროვნულობის
„მოდის“...
რალაც, – დიადი
მიდის,
რალაც, – ურჩხული
მოდის...

დემოკრატიის
ნიღბით,
ვინაც მიზანი
ფარა,
იმ მგლებს
მოუნდა –
ახლა,
რომ მწყემსონ
ცხვრების
ფარა...

თითქოს, –
ჩამონვა ნისლი
და... სხივი
არ კრთის,
არსით, –
თითქოს, –
არსებითს ვკარგავთ,
ამ, –
„გლობალიზმის“
არსით...

სიბრძნის,
სიქველის
დროშით,
ვინლა აჩალებს
ახ! ალს!..
ოცი დავხურეთ
ჯვარცმა,
ვინ,
ვინ ამზადებს
ახალს?!

ტახტზე –
ძალა ზის,
ისევ,
ზეიმი არის
ვისი?..
იზოლდა სძულსო
ტრისტანს...
რამინს –
ველარ სცნობს
ვისი...

გუშინ –
ერთობდა ეშმა,
დღეს კი:
ათობს და
ასობს...
ლიმილით,
დროის ისარს
ზედ, –
გულის კოვზზე
ასობს...

სიცოცხლის
ზღაპრულ ყვავილს –
ვთელავთ,
ვიყენებთ
რამი?..
დრო –
მიჭიხვინებს,
მიქრის,
ვითარ –
უმხედრო რამი...

ქვეყანა –
ერი,
ხალხი!!! –
„ა“ – იქნება, თუ
„უ“ – წინ...
როგორ გადავრჩეთ, –
მინყვი,
აი, მთავარი, –
უნინ!!!

სიყვარულმა ამიტყაყა!..

თვალთა შენთა
ალმა ამწვა,
ვამბობ იოტს, –
ამით რამცა,
ეს, –
რა ძალა
მომეძალა, –
ამაფრინა,
ამიტაცა!..
სურვილითა
წყურვილითა,
წლებით,



ნუთით,
ნამითაცა –
ამალრუბლა,
ამანვიმა,
ამანისლა,
ამიტაცა!..

ამ ანკესმა –
ამაკენესა,
ამაკვესა,
ამიტაცა,
ამალერა,
ამამლერა,
გამაჯიბრა
ლამის ლანცას!..

სტრიქონს
ცეცხლი წაუკიდა, –
ავანთებო
ამით ამ ცას,
ამაქროლა,
ამაჩქროლა,
ამაურყოლა,
ამიტაცა!..

სიყვარული
რა ყოფილა, –
აავარდა –
ბარი, მთაცა,
სიყვარულმა
ამატროვა,
ამანთო და
ამიტაცა!..

ზედ წამნამზე
ასხივდება,
როცა ჰკოცნის
თვალი წამნამს,
სიყვარულმა –
ამალელვა,
ამაბრწყინა,
ამიტაცა!..

გამამოგვა,
გამამისნა, –
გულით,
გონით,
გამითაცა,
აიტყორცნა,
აზენიტდა,
ცად ამზიდა
ამიტაცა!..

რა წვითა და
რა მზით ამცრა, –
ამიტაცა,
ამითაცა!

მოხდენა ასეც...

მოხდენა ისეც...

ხან, –
დავმცირდები
წამებით,
ისე,
როგორც:
არავინ,
აროდეს,
არსად, –
ჯვარზე გაკრული
ამ კითხვებს
ვისეც:
რა მქონდა?..
რა მაქვს
სიცოცხლის
არსად?..

ხან, –
ნისლი მავსებს,
ხან, –
ვდევი ნისლებს,
მოხდება ასეც...
მოხდება ისეც...

ხან, –
გავიზრდები
ჩემს თვალში,
ისე, –
არ მყოფნის
სივრცე –
ბარის და...
ზე მთის...
დავცინი –
გულზე დამსხვრეულ
ისრებს
და... საფეხურებს
მივყვები
მზემდი...

მთელი სამყაროს
ლაღადისს
ვისმენ
და... სიამაყეც
მეფური
მახლავს, –
სულ არ მგონია:
ჩემსავით,
ვისმე,
თუ –
სხვებსაც ერგო
ამოსვლა
მალლა...

მოხდება ასეც...
მოხდება ისეც...



გამგრძელებელი ილიას გზისა

ფარნაოზ რაინაული (ფარნა რაინა) ჩემთვის, თანამედროვე, ქართველი პოეტის განსახიერებაა, – გამგრძელებელი ილიას გზისა. იგი თხემით, ტერფამდე, თავისი სამშობლოს ერთგული მსახურია. მის შემოქმედებაში შენივთულია თანამედროვე ქართული პოეზიის ყველა ჰანგი.

ფარნა თავისი სულიერი წონასწორობით, კახური სიღარბისლით და კლასიკურამდე ამაღლებული, რაფინირებული ლექსით, სწორედ, თავისი დიდი წინაპრების კვალზე მავალი, ხმაღმემართული რაინდია, – ქართული პოეზიისა.

მე, ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი ათეული წლების განმავლობაში, ვიყო მისი მეგობარი.

თავისი კალამლონიერი და მკლავლონიერი სადროშოთი, რასაც საქართველოს მწერალთა კავშირის კახეთის განყოფილება ჰქვია, იგი, ჩვენი კავშირის საიმედო ბურჯია.

ამ, და, სხვა, პიროვნულ ღირსებათა გამოც, არსთა გამრიგემ, ჩემს ფარნას, ნელთმრავლობა და მზეგრძელობა დაანათლა.

მოგესალმები, ძვირფასო ფარნა, შენი, გამარჯვებული ცხოვრების 85 წლის იუბილეზე. წინ, კიდევ, ბევრი მოსახვევი და... ახალ-ახალი წარმატებებია.

შენი **რევაზ მიშველაძე**,

საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე,
შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ჩვენო, უსაყვარლესო პატონო ფარნა!

უპირველესად ჯანმრთელობა და დღეგრძელობა მინდა გისურვოთ. თქვენი დღეგრძელობა თვითოეული თქვენი კოლეგისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან სიკეთის, ნიჭიერების, სამშობლოსადმი მსახურობის დიდი მაგალითი ხართ. დღეს ბევრმა ძველმა, უმშვენიერესმა სიტყვამ: ღვანღმოსილი, დიდქართველი, რაინდი დაკარგა, დაკარგა ბრწყინვალეობა და ელფერი. თითქოს, მარადისობის მკვიდრი გახდა, როგორც ამ სიტყვის ადრესატები. თქვენ კი ისე გშვენით სიტყვა დიდქართველი, როგორც თქვენს სტრიქონებს ღვთიერი მადლი. თითქოს, თქვენზეა დანერილი ეს ლექსი:

გშვენოდა მამა-პაპური,
სიამაყე და ქველობა,
თეთრ ჩოხასავით მოირგე,
ნაკურთხი დიდქართველობა.

მრავალ ჯილდოსთან ერთად, წელს, პატრიოტული პოეზიისთვის, აღმაშენებლის სახელობის პრემიითა და ოქროს მედლითაც დაჯილდოვდით, პატრიოტული პოეზიისთვის, რომლის გვირგვინიც ლექსი სამშობლოა.

დამძივდებიან ვარსკვლავები, რამდენჯერ ასე...
კვლავ იქროლებენ დროის ქარნიც, ახლა რომ ქრიან.
მე, რაც – მაღალეზს, მაღამაზებს, მამდიდრებს, მავსებს,
იმას – ქართულად, ერთი სიტყვა – სამშობლო ჰქვია!...

ღმერთმა სამშობლო გიცოცხლოთ, ჩვენ კი – თქვენი თავი.
ბედნიერებისა და მზეგრძელობის სურვილით,



ჩვენს ქობას გაუმარჯოს!..

ფარნა რაინას სახელი, – რასაკვირველია, დიდი სიყვარულით ჩაესმის, უპირველესად, ყველა კარგ ქართველს, უფრორე, მეტად პოეზიის მოყვარულთ.

ის, საოცარი კალმოსანია... ნყეული წლებიც, კი, ვერას აკლებს მის გაცისკროვნებულ ლირიკას...

სიცოცხლე და სიყვარული მისურვებია მისთვის უმცროს კოლეგას – **თიანე ჩალაბაშვილს**.

ჩვენს ძმობას გაუმარჯოს!..

ზეზვის ჯიშის ხარ...

მართლაც რომ ზეზვის ჯიშის ხარ, ბატონო ფარნა – ჩემო უფროსო ძმაო და მეგობარო!

მართლაც რომ ზეზვასა და სხვა დიდ ფშაველთა დარად მოარღვევ ნუთისოფლის უღრანებს და ცდილობ საღბუნად დაედო შენი საესავი საქართველოს მარადმდინარე იარებსა და ჭრილობებს.

ვის ვის და შენ კარგად მოგეხსენება, რომ ქართველობა უფლის რწმენამ, სიყვარულმა და ქედუხრელობამ გადაარჩინა, დიახ, იმ თვისებებმა, რომლებსაც ასე დაუნდობლად, ასე გავეშებით ებრძვიან XXI საუკუნის კაციჭამია ვანდალები, რომლებიც ჩვენ კი არა, საკუთარ მშობლებსაც კი არ დაინდობენ, თუკი ამას ეშმასთან და ლუციფერთან ნილნაყარი მათი ბელადები უბრძანებენ.

ამიტომაც ებრძვი ხმალამოლებული ყველა უკეთურს, ქვეგამხედვარეს, ბოროტებისა და სიბილნის მსახურს, სიკეთისა და სიყვარულის თესვისთვის მოვლენილო მეციხოვნე ქართული სიტყვისა.

შენი სიტყვაც, შენი ლექსიც ხომ იბრძვის იმ დაუნდობელ ომში, პატიოსნებისა და სათნოების გადასარჩენად რომ წარმოებს.

უშიშარსა და გულადს თუ რამ გაშინებს, ის გაშინებს, რომ ცოცხლად არ დავიმარხოთ ქართველები, ცოცხლად დამარხვა კი სირცხვილმა იცის, საკუთარ ფესვებს შენივე ნებით რომ გადაჭრი, საკუთარ რჯულს რომ უღალატებ, საკუთარ ტრადიციებს რომ გათელავ ფეხქვეშ, იმით გამოწვეულმა სირცხვილმა.

ჩემო ფარნა!

თუ გეშინია, სწორედ ამისა გეშინია, ჩემო კეთილო და სამშობლოზე ფიქრში გათეთრებულო პატიოსანო ბერიკაცო.

შენს ლექსს გაუმარჯოს, თავანკარა ქართულით რომაა გაჯერებული, შენს კაცობას გაუმარჯოს, ქართული პატიოსნებით და სიჩაუქით რომ აქვიტიკობ.

მრავალყამიერ, ბატონო ფარნა.

ზაალ ზოტკოველი

გვანამაყუბი

საიუბილეო თარიღის – 85 წლის შესრულებას ვულოცავთ, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარეს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ ფარნა რაინაულს.

ბატონი ფარნა, ღვანლმოსილი პიროვნება გახლავთ, მრავალმხრივი შემოქმედი და ქვეყნის მოჭირნახულე. მისი გულწრფელი და მართალი სიტყვა ყოველთვის ამხნევებდა ადამიანებს, უნერგავდა პატრიოტულ სულისკვეთებას, შემართებით ზრდიდა ახალ თაობებს.

იყო მეგზური, სულის ჩამდგმელი და მაცოცხლებელი ძალა დიდი ქართული ლიტერატურის.

დიდა ბატონი ფარნას ღვანლი და დამსახურება, თანამედროვე ლიტერატურის საქმეში.

უამრავი პრემიები, რომელიც მისმა შემოქმედებამ დაიმსახურა თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის, გვეამაყება და სიამოვნებას გვანიჭებს.

იგი პირუთვნელი მესიტყვეა, ქომაგი და ერის მოჭირნახულე. სამაგალითო ცხოვრების მატარებელი, თვალსაჩინოებისათვის რომ გამოდგება.

საკუთარი ხელწერითა და საფიქრალით დახუნძლული მისი შემოქმედება წარმატებულია და ფასობს, ამიტომაც შეიყვარა იგი ქართველმა მკითხველმა, საზოგადოებამ.

ქუთაისში მცხოვრები მწერლები, ინტელიგენციის დიდი წარმომადგენლობა გულწრფელად და სიამ-



ოვნებით ულოცავს ბატონ ფარნას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

ბატონო ფარნა,
იყავით მხნედ, კვლავაც ახალგაზრდული შემართებით ემსახურეთ მშობლიურ ლიტერატურას, მკითხველებს, სამშობლოს.
გვეამაყებით...

პატივისცემით

თაიშურაზ ლანჩავა

საქართველოს სახალხო მწერალი,
ხელოვნების ქურუმი,
მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

32



მაგალითი თაობებისთვის

ბატონო ფარნა, საიუბილეო თარიღის მოლოცვა თქვენი სტრიქონებით მიიღა დავინწყო:

ცხოვრება არის
ბრძენი და...
მკაცრიც, –
მზეცა და
ლამეც
აქ, ერთად, სახლობს...
კეთილი არის –
რაც უფრო,
კაცი,
იმდენად არის –
უფალთან ახლოს...

ცხოვრებაში იმდენი სიკეთე გიკეთებიათ, იმდენი ბრძნული სიტყვა გითქვამთ, სამშობლოზე მლოცველ ნებისმიერ ადამიანს გაეჯიბრებით უფალთან ახლოს დგომაში.

ცხოვრებით, მოღვაწეობითა და შემოქმედებით, კარგა ხანია, მაგალითად იქეცით თაობებისათვის. თქვენი პოეზიიდან აფორიზმებისა და ბრძნულ სიტყვათა ნაკადულები მოედინება. გულიანი, გულუხვი, მართალი შემოქმედი ბრძანდებით და თქვენეულ სამყაროში მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულს ეზიარება მკითხველი.

ბატონო ფარნა, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის სახელით, ბათუმში მოღვაწე ყველა თაობის მწერალთა სახელით, გილოცავთ საიუბილეო თარიღს. დარწმუნებული ვარ, ასეთი სიყვარულით რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც მოგეფერებათ თქვენი შემოქმედების მცოდნე და დამფასებელი აჭარა.

დავით თაღორაძე

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

მიიღეთ ჩვენი მილოცვა

თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო და დიდებულ მგოსანს, კახეთის დიდ კოლორიტს ბატონ ფარნა რაინას 85 წელი შუსრულდა და რაოდენ სასიხარულოა, რომ იგი კვლავაც ჭეშმარიტი ჭაბუკური შემართებით ეჭიდება არა მარტო ცხოვრების ჭაპანს, არამედ იგი ახალი პოეტური მარგალიტებით ამდიდრებს ქართულ პოეზიას.



ვინ იტყვის, პოეტის გული ბერდებაო, არამც და არამც! პოეტად დაბადებული ადამიანები ყველა ასაკში ისეთივედ რჩებიან, როგორებიც იყვნენ.

დღეს ქართულ პოეზიაში ბატონ ფარნას დარი პოეტები იშვიათად არიან. ვინც კი იცნობს მის პოეზიას, ყველა დამეთანხმება, რომ იგი ეროვნული, ქართული სულით გაჟღენთილი ყველაზე ორიგინალური, ღრმა ფილოსოფიური აზროვნების პოეტია. სწორედ ამიტომ ლიტერატურის კრიტიკოსები სამართლიანად აღიარებენ მისი პოეზიის სიდიადეს, განსაკუთრებით გენიალურს უწოდებენ პოეტის ტრილოგიის განუმეორებელ კატრენებს.

გავა დრო და მაღლიერი შთამომავლობა დალაგებულ, დაწყნარებულ საქართველოში, როდესაც ქართულ სიტყვას მეტი ფასი ექნება, ბატონი ფარნაც იმგვარად დაფასდება, როგორც ჩვენი დიდი პოეტები, გვიან, მაგრამ მაინც, თავის კუთვნილ ადგილს რომ იკავებდნენ.

ბატონი ფარნა სრულიად საქართველოს საყვარელი პოეტია, მაგრამ იგი, უპირველესად, საამაყო და პატივსაცემია კახეთის ძირძველი სატახტო ქალაქის – თელავისთვის, რომლის საპატიო მოქალაქეც იგი გახლავთ. თუმცა მესხებისთვისაც ძალზე ახლობელი და გამორჩეულად პატივსაცემი პოეტია – მას ხომ არაერთი ბრწყინვალე ლექსი აქვს მიძღვნილი მესხეთისადმი და ისიც ნიშანდობლივია, რომ ჩვენ შორის დიდი ხიდი გაიღო მას შემდეგ, რაც ჟურნალ „ოლესა“ და გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“ შორის ურთიერთ თანამშრომლობა გაღრმავდა, კერძოდ მესხთა შემოქმედებას მიეძღვნა როგორც „ოლესა“, ასევე კახელთა შემოქმედებას – „ლიტერატურული მესხეთის“ სპეციალური ნომრები, რაც საქართველოს მონაპირე მხარეთა შემოქმედებითი ინტელიგენციის დაახლოების დიდი და სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ამის სულისჩამდგმელი კი ბატონი ფარნა რაინაა, ჩვენი დიდი მეგობარი და „შოთაობის“ პრემიის ლაურეატი.

დღევანდელი იუბილარი პოეტის დამსახურებაზე დაუმადლებლად მოპოვებული ის ჯილდოები მეტყველებს, რომელიც მან მიიღო – ეს იქნება გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის პრემიები თუ ქართული კულტურის ამგდარის წოდება.

დიდი პოეტის დამფასებელი უპირველესად ის ერია, ვისი შვილიცაა, ამიტომ დაფასება და სიყვარული არასოდეს აკლია ქართველი მკითხველისგან.

ჩვენო დიდი მეგობარო, მიიღეთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სარედაქციო საბჭოსაგან გულწრფელი მილოცვა და ღმერთს შევთხოვთ, – ნუ მოგკლებოდეთ ჯანმრთელობა, მხნეობა და, უპირველესად, განწყობა, კიდევ ბევრი გულშიჩამწვდომი ლექსით რომ გაგეხარებინოს თქვენი თაყვანისმცემლები.

ავთანდილ ხარიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი

სულის პურია ჩვენთვის ფარნა რაინაულის ნაღვანი

საქართველოს ყველა კუთხეს ჰყავს თავისი გამორჩეული მწერლები, ხელოვანები. სწორედ ისეთები, სამშობლოს ცა რომ მხრებით უჭირავთ და გულში მზე აქვთ ჩაბუდებული... კახეთში მოღვაწე პოეზიის ქურუმთა შორის ფარნა რაინაული გვეგულებს, ჩვენი უფროსი თანამოკალმე.

დიდი ხანია თვალს ვადევნებ მის შემოქმედებას... დღეს ბევრი წერს, ყველას და ყველაფერს ვერ ნაიკითხავ, რადგან მცირედნი არიან ღვთისგან ხელდასხმულნი, რომელთა ლექსიც ყოველდღიურ სულის პურად გვეყოფნის. სულის პურია ჩვენთვის ფარნა რაინაულის ნაღვანი...

ბატონი ფარნა აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, წლებია, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურულ კახეთს“ თავკაცობს. სრულიად დამსახურებულია ყველა ის პრემია, ჯილდო თუ წოდება, რომელიც ამ ამგდარ კაცს სხვადასხვა დროს მიენიჭა, იქნება ეს დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ტერენტი გრანელის, გიორგი ლეონიძის ლიტერატურული პრემიები თუ თელავის საპატიო მოქალაქეობა... ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ არ არის ალბათ ლიტერატურული წოდება, რომელიც ჩვენი უფროსი მეგობრისთვის არ შემეტებოდეს.

მოსარული ვარ, რომ მაქვს პატივი შიდა ქართლში მოღვაწე მწერლების სახელით მივულოცო საიუბილეო თარიღი. ღვთის ნყალობას, წარმატებულ და ბედნიერ დღეებს ვუსურვებ. კვლავაც ბევრჯერ გაგეხარებინოს ჩვენი მკითხველი მისეული ლამაზი ქართულით...

დავით ახლოური

საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე



საიუბილეო მილოცვა სახელოვან

პოეტს – ფარნა რაინას

ძვირფასო, ფარნა რაინა! მე – თქვენს დახვეწილ პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული მკითხველი – მთელი გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. შთამბეჭდავია თქვენი ყოველი პოეტური ქმნილება, რადგან უჩვეულოდ ბევრი სასიკეთოს ქადაგებას ასწრებთ და ახერხებთ ფორმატივა და მომცველობით, მართლაც, „ქინძისთავზე დასატევი“ ლექსი-მინიატურებით, რასაც მოჰყვა ის დიდი აღიარება და პატივისცემა, რითაც მკითხველია განწყობილი თქვენ პოეზიისა და პირადად თქვენი მისამართით.

ცხოვრება მართლაც, რომ ადამიანურ ღირებულებათა უფლის წინაშე, ყოველდღიურად ჩასაბარებელი, მკაცრი გამოცდაა, რისთვისაც ასე დაბეჯითებით გვმოდღვრავთ და გვამზადებთ გენიალური, ბრძნული კატრენებით, ადამიანურ მოვალეობათა მთელი ეს სიმძიმე და მრავალსახეობა, თქვენეული, მოკლედ თქმის პრინციპით, შესანიშნავად გაქვთ დაჯამებული ბრწყინვალე კატრენში „უფროვე ძნელი“:

„-----

ხომ ძნელი არის
მართვა ქვეყნის
ხალხის და...
ჯარის,
ადამიანად ყოფნა არის
უფროვე ძნელი“.

პირადად თქვენ ეს გამოცდა წარმატებით გაქვთ ჩაბარებული როგორც უფლის, ისე ხალხის წინაშე, ჩვენ კი, მკითხველებს, ამ რთულსა და საპასუხისმგებლო გზაზე, უშეცდომოსა და წარმატებით სვლას გვიადვილებს, თქვენეული, ღრმა რწმენა და მონოდება იმის შესახებ, რომ:

„-----

ხამს გავალვიძოთ,
მჯერა და მგონია,
ადამიანში
მძინარე ღმერთია.“ („მჯერა და მგონია“)

დამონშებული, თქვენეული, კატრენის შინაარსი რიგითი ადამიანებისადმი ცოდვათა მიმტეველობის უჩვეულოდ მაღალი მასშტაბებით ზედმინეწით ესადაგება თეოდორ დოსტოვესკისეულ განსაცვიფრებელ შეგონებას ამის შესახებ, რომ: „ადამიანი მისსავე ცოდვაში უნდა გვიყვარდეს“. ეს, უკვე, ზოგადად, ადამიანის სიყვარულის უზენაესი, ღვთაებრიობამდე ამაღლებული სიყვარული ადამიანისა, დევს თქვენს მთელ უაღრესად დახვეწილსა და შთამბეჭდავ პოეზიაში, სადაც უმაღლესი გამოხატულება ჰპოვა ქართული ენის გასაოცარმა შინაარსობრივმა ტევადობამ და გამორჩეულმა გამომსახველობითმა შესაძლებლობებმა.

მხნედ, ძვირფასო მეგობარო! წინ, სიბრძნისა და სიკეთის მსახურების, ჯერ, კიდევ, ბევრი მწვერვალია გადასალახავი.

მაყვალა მიქელაქი

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

„მნამს, ამ გულის მზით განცვიფრდებიან!“

რომც არ მცოდნოდა – პოეტი ხართ, პირველივე შეხვედრა იკმარებდა, თქვენი შემოქმედებასთან ნილნაყარობა რომ მეგუმანა. წლების წინ გაგიცანით, მართლაც, მზესავით თბილი გულისა ხართ, შუბლნათელი, ზნეკეთილი და ყურადღებანი. ხანდახან მრცხვენია კიდევ, დღესასწაულების მოლოცვას მუდამ რომ მასწრებთ. მისტიკა თუ რაა – არ ვიცი, მაგრამ გავიფიქრებ, ახლა მაინც დაუზრეკავ ბატონ ფარნას და პირველი მე მივულოცავ-მეთქი, რომ თქვენი ზარი წამებით მასწრებს...

სიყვარულით ვკითხულობ თქვენს ლექსებს. ახალი ლექსები ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა, ბატონმა აკაკი დაუშვილმა გამომიგზავნა, გულწრფელი მადლობა მას.

იცით, რა გამიხარდა? რომ თქვენი სიტყვა და გულის ხმა, თანადროულობის ზუსტი გამოძახილია, სამშობლოს ქრილობებზე სალბუნად დასადები მალამოა:

„ქართა მოტანილ ქართა ნაგავს, ვუბრუნებთ ქართვე, / გვაქვს უწმინდესი სულის განძი, მზით რომ ივსება, / უზნოს, უღირსს, ვერ ვუნოდებთ ჭეშმარიტ ქართველს, / ქართველის ნაღდი ქართველობა არის – ღირსება... / (ქართველი).



არსებობს ასეთი გავრცელებული, მეტაფორული გამოთქმა – „მძიმეა მონომახის ქუდი“... როცა ეს ფრაზა მახსენდება, მუდამ ხელოვანი ადამიანი წარმომიდგება თვალწინ, რადგან კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს: – „ხელოვნება გულის სისხლს ითხოვს საფასად“. მძიმეა მუზათა მსახური ადამიანების ტვირთი, მაგრამ მით უფრო მძიმეა სიტყვასთან წინაყარი შემოქმედის კალამი, რამეთუ, სიტყვა იყო ღმერთი და ღმერთი სიტყვის თანა...“ მეღნის ერთი წვეთის კვალს, კაცობრიობის მიმართულების შეცვლა შეუძლია. ამიტომ ყველამ უნდა გაცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა უფლის, ერის და ქვეყნის წინაშე, რომელსაც საკუთარი შთამომავლობის წინაშე პასუხისმგებლობაც ემატება... ყველაზე მეტად ხომ ისინი მოიმიკიან მათი წინაპრის მადლსა თუ ცოდვას... სწორედ ყოველივე ამის გაცნობიერების შედეგია ლექსი „უფროვე ძნელი“: „ცხოვრების მოგვაქვს უმძიმესი საერთო ჯვარი,/ სიბრძნეთა სიბრძნე მოდის ოდით, მზესავით ძველი,/ ხომ ძნელი არის: მართვა ქვეყნის, ხალხის და ჯარის?.../ ადამიანად ყოფნა არის უფროვე ძნელი...“

დაგვიკვირებია და გამკვირვებია, ახალგაზრდების უმეტესობა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ურთიერთობებს ისე ექცევა, თითქოს მარადიულად იყონ მოსულნი დედამიწაზე. იოლად იმეტებენ ერთმანეთს, უმნიშვნელო მიზეზის გამო ყველაფერზე ხელის ჩაქნევა შეუძლიათ, რასაც ალბათ, უამრავი მიზეზი აქვს სათავედ, მაგრამ თქვენი ლექსი „სიცოცხლე“ რომ წაიკითხონ, სულ სხვა თვალეზით შეხედავდნენ სამყაროს:

„სიცოცხლე – სიბრძნის, სიყვარულის დედად ვინაზე,/ სიცოცხლით ფასობს სამყაროზე სამოთხის ბალი,/ რაც სიმდიდრე და განძი არის დედამიწაზე,/ მე თუ მკითხავენ, ერთი წამის სიცოცხლედ არ ღირს.“

მართლა მჯერა, რომ „ბედნიერებას მოსწრება უნდა“, სიცოცხლეს ხომ ათასი წვრილმანით, განცდით და ფიქრით ვლლით, თქვენი თქმისა არ იყოს: – „და დარდი კენტად,/ ხან მოდის გუნდად...“, თავს არ გვანებებს, რადგან ცოტაა ისეთი ადამიანი, რომლის მზერა, გული და გონება შენი შთაგონებით ქმნილის „წვეთში ხედავს ოკეანეს“... მაგრამ ხომ არიან ასეთებიც, ამიტომაც თქვენს მიერ ამ წვეთში მოქცეულ სათქმელთან, ნანახთან და განცდილთან ერთად, მის ასეთად შემგრძნობ მკითხველსაც დაგილოცავთ.

დაე, დიდხანს გვყავდეთ ჯანმრთელად, დღეგრძელად, ენერგიულად და ხალისიანად, სიტყვის, უფლის და სამშობლოს ერთგულ მებაირახტრედ. უფალმა წყალობა, ადამიანებმა სიყვარული, შთამომავლებმა პატივისცემა და მადლიერება არ მოგაკლოთ. რაც შეეხება ლექსებს, როგორც კი ჩვენი არსებიდან თეთრი ფურცლის ველებზე გადაინაცვლებენ, გზას თავისთავად იკვლევენ მკითხველთა გულებისკენ. თქვენს ლექსებს მათ გულებში საკუთარი ადგილი და მყუდრო ბინა უკვე ნაპოვნი აქვთ. მრავალჯამიერ თქვენი და თქვენი შემოქმედების სიცოცხლე. გილოცავთ!

ბალა ქაპური,

პოეტი, ილია ჭავჭავაძის, ტბელ აბუსერიძის, ზურაბ გორგილაძის, თამარ მეფის ენდალმის, ჟურნალ „ოლეს“ პრემიების და აჭარის მწერალთა ორგანიზაციისგან „რჩეული შემოქმედის“ ტიტულის მფლობელი.
ბათუმი, 2021 წ.

იხარეთ და იმრავალჯამიერეთ!

ჩვენს ძვირფას კოლეგას და უფროს მეგობარს, თელავის მწერალთა თავკაცს, დიდებულ პოეტსა და რედაქტორს ბატონ ფარნა რაინას ვულოცავთ საიუბილეო 85 წელს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და შემოქმედებით ხალისს, რასაც მიუხედავად ჭარმაგი ასაკისა, მისი ბოლო პერიოდის შემოქმედებიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ უჩივის. უამრავი ჯილდო გაქვთ მონიჭებული და კვლავაც გისურვებთ თქვენი ღვანლის ჯეროვნად დაფასებას. იხარეთ და იმრავალჯამიერეთ!

გიორგი ნატროშვილი

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის „ფიროსმანის“ თავმჯდომარე, ლიტერატურულ აღმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელი





უფალო...

უსაზღვროა და...
უნაპირო,
რაც მინდა
მზით ვთქვა,
სამარადისო შარავანდი,
რარიგად გშვენის...
არ მეგულება სამყაროში,
ისეთი –
სიტყვა,
რომ გამოვხატო –
სიდიადე,
უფალო, შენი...

ღიაღი

სისადავე,
სიქველე,
შენ გვასწავლე,
უფალო,
და... მზეც –
სიდიადისა,
სისადავით
ღია დის,
რამდენადაც –
ღიაღი,
იმდენადვე –
უბრალო,
რამდენადაც –
უბრალო,
იმდენადვე –
ღიაღი...

უპირველესიუ,

უმთავრესიუ,

უზენაესიუ...

ქვეყნის კანონად –
გონის
ბნედა როდი უცვნიათ?!..
ვინ ნახავს
სიბრძნეს
და... სიყვარულს –
ფულზე ალესილს?!..



საქართველოა:
ჩემი –
დედაკონსტიტუცია, –
უპირველესიც,
უმთავრესიც,
უზენაესიც...

ქართველი

ქართა მოტანილ
ქართა ნაგავს,
ვუბრუნებთ-ქართვე,
გვაქვს უწმინდესი –
სულის განძი,
მზით, რომ
ივსება.
უზნეოს,
უღირსს
ვერ ვუნოდებთ –
ჭეშმარიტ
ქართველს,
ქართველის –
ნაღდი ქართველობა
არის:
ღირსება...

უფრორე,

ძნელი...

ცხოვრების მოგვაქვს, –
უმძიმესი,
საერთო
ჯვარი,
სიბრძნეთა სიბრძნე
მოდის, ოდით,
მზესავით,
ძველი,
ხომ ძნელი არის:
მართვა ქვეყნის,
ხალხის და
ჯარის?..
ადამიანად
ყოფნა არის, –
უფრორე,
ძნელი...

გენიოსი

მნამს გენიოსი,
ვინაც სიტყვას
სიცოცხლეს მისცემს,
სულიც, გულიც და...
მზის ნათებაც
სტრიქონში
ჩადოს,
მნამს გენიოსის –
სიყვარულის
უსაზღვრო
სივრცე, –
აზრიც გენია,
ფერწერაც და...
მუსიკის
ჯადოც...

მთავარი...

ზოგჯერ,
სირეგვნით,
თვითონ ვიჩნით, –
ტკივილს,
იარას,
ბუნვად არ გვიჩანს:
სიბრძნე,
განსჯა, –
აზრის
თალარი...
მე, თუ, მკითხავენ,
უწინარეს,
მტერზე
კი არა,
საკუთარ თავზე
გამარჯვება არის –
მთავარი...

ფულია

ღმერთი...

თითქოს, იცვალა –
ზნეც და სახეც
სამყარომ
ერთხმად, –
სიტყვა: „ჩვენ“
გაქრა,
თვალეებს ახელს
სუყველა –
„მე“-თი...
კაპიტალიზმი

ასე ახსნა –
მღულარემ, –
ერთმა,
სადღაა – ღმერთი?!..
ვისლა ახსოვს?!..
ფულია –
ღმერთი...

სიყოცხლე...

სიცოცხლე –
სიბრძნის,
სიყვარულის
დედად ვინამე,
სიცოცხლით ფასობს,
სამყაროზე,
სამოთხის ბალი,
რაც –
სიმდიდრე და
განძი არის –
დედამინაზე,
მე, თუ, მკითხავენ,
ერთი წამის
სიცოცხლედ
არ ღირს...

ფული...

წარსულს ჩაბარდა –
ქველი ომი
და...
ქველი დრონი,
ახალი ომის თაოსანი
პლანეტას
უვლის,
რის – ატომური?!..
რის – წყალბადი?!
რის – ნეიტრონი?
უფრო,
მრისხანე იარაღი,
დღეს, არის –
ფული...

ყველაზე – ყნინ !!!.

მამულს ვაღმერთებ, –
სულის,
გულის,
მზისდარ მაქვს:
წვა – მით...
პლანეტას ვუვლი,





მაგრამ... ზოგჯერ,
კოსმოსშიც –
მივქერი...
გარეშე – ფიქრის,
არ ვყოფილვარ, –
არც ერთი,
ნამით,
ყველაზე უნინ,
თავს მომტაცებს –
მამულზე
ფიქრი!!!..
02-10-2021

როგორ... მინდა!..
როგორ... მინდა!!..
როგორ... მინდა!!!..

როგორ... მინდა:
რომ... ნისლეები
მთებს ავყარო, –
ქვევრს ავხადო:
ზესიბრძნისას,
განა – ბოცოს?!..
განა – შურით?!..
განა – მტრობით?!..
ეს – სამყარო,
სიკეთით და...
სიყვარულით
გავაოცო!!!..

P.S.

სულის,
გულის
მზე, არასდროს,
ვზოგო – მინდა!..
როგორ... მინდა!..
როგორ... მინდა!!..
როგორ... მინდა!!!..
17-09-2021

უნდა ვიყოდე...

უნდა ვიყოდე:
ვინ –
ვინა ვართ? –
მზე, სანამ,
წვიმს და...
მიზანი... აზრი...
სამყაროზე –
მოსვლის, თუ,
წასვლის?..



ღმერთია – ჩემი,
არსი – ჩემი, –
წმიდათა
წმიდა:
ზესიყვარულის,
სიმართლის და...
სიკეთის –
მრწამსი...
15-11-2021

სიყვარულის
სასწაულით...

ზოგჯერ, –
წლებს და...
საუკუნეს,
მაგრამ...
ზოგჯერ...
წამს – წაფუვლით...
ლექსით დაეწვავ –
ცხრა უკუნეთს, –
სიყვარულის
სასწაულით...
07-11-2021

გაუმარჯოს!!!..

წინ, – მომავლის,
რომ იშლება:
გზა – მარჯნებად, –
გზა – მართალი,
უნრფელესი,
გზა – უხვანჯო,
გაუმარჯოს –
საქართველოს
გამარჯვებას!!!..
ქართველების
გამარჯვებას –
გაუმარჯოს!!!..
30-10-2021

ყუპირველეს,

ყადრეს და...

ყუნინარეს!!!..

სანამ გახდება
ეს სამოთხე –
უცხო
ქართ ველი,

უუნინარეს, –
თუ, რამე, მნამს,
ქვეყნის
ვალი მნამს...
ათასჯერ მითქვამს:
ჭეშმარიტი
თუ, ხარ –
ქართველი,
საქართველოსთვის:
უნდა – ენთო!..
უნდა – დაინვა!!!..
01-10-2021

მიყვარს,
მიყვარს,
იქით? –
როგორ,
როგორ
მიყვარს?!..

მაყვალა მიქელაძეს¹

მიყვარს, ვინაც:
სიდიადის
სიბრძნეს –
მიჰყვა, –
მწვერვალამდე,
გზა-ბილიკებს
მოკლეს ავლებს...
მიყვარს,
მიყვარს,
იქით? –
როგორ,
როგორ
მიყვარს?! –
როცა, ვინმე,
წვეთში ხედავს –
ოკეანეს...
17-11-2021

მნამს !!!..

დანის პირზე, რომ –
დავდივარ,
რა მრსჯის?..
წინ, –

¹ უბრწყინვალეს მეცნიერსა და უბრწყინვალეს პროზაიკოსს, რომელმაც, ჩემს კატრენებს, ყველაზე პირველმა უწოდა – გენიალური...

უფლის სიბრძნის
განძის მთებია...
მნამს, –
დრო დადგება:
შავ-თეთრის –
განსჯის,
მნამს, –
ამ, – გულის მზით –
განცვიფრდებიან!!!..

P.S.

ხომ, იყო, –
ზოგჯერ,
მასკარადი...
და... იყო –
ისეც:
მზეს ვუნუნებდით –
ელვარებას,
ლამეს კი –
ვუქეთ?!..
დრო გადახვეტავს:
უკუნეთს და...
ღრუბლებს და...
ნისლებს...
დრო დაალაგებს,
დრო გაარჩევს, –
ყველაზე,
უკეთ...
14-10-2021

აი, – ეს იყო:
ცხოვრება–
ვაჟასი...

მისით, –
დიდების
სხივი და...
ვაშა ვსვით,
მთელი სამყაროს
ტკივილი
მკა, – ლამის...
აი, – ეს იყო:
ცხოვრება –
ვაჟასი, –
ცალ ხელში –
გუთანი,
ცალ ხელში –
კალამი...
22-10-2021





ბედნიერებას –
მოსწრება
უნდა...

ფიქრით და...
განცდით –
სიცოცხლე
ვლალეთ...
და... დარდი –
კენტად,
ხან, მოდის –
გუნდად...
არავინ იცის,
რა მოსდევს –
ხვალეს,
ბედნიერებას –
მოსწრება
უნდა...

16-09-2021

„გული მივყეთ –
გულისათვის“ ...

გულის მზეა –
სულის ათვლის, –
შოთას სიბრძნის
ბალდახინთა,¹
„გული მივცეთ –
გულისათვის,
სიყვარული –
გზად და ხიდად“ ...

04-09-2021

თეატრი და...
წხოვრება...

საფიქრალს –
განა, ნამითაც,
მოლევ?! –
გულზე –
სხივის, თუ,
ცრემლის
დამდენი...
თეატრში –
ცოტა თამაშობს:
როლებს,
და... ცხოვრებაში –
ვხედავ, –
რამდენი?!..

22-11-2021

¹ბალდახინი (ძვ.ქართ.) მდიდრულად მორთულ-მოკაზმული, სვეტებზე დადგმული, ჩარდახი, – გუმბათით გადახურული.

ეს, –
მაოჯებს და...
მაოგნებს, –
ეგზომ²...

თქმულა: ცხოვრება
კიბე არის...
და... ბრძოლის –
ველიც,
იგი, ხანდახან,
მაოცებს და...
მაოგნებს, –
ეგზომ...
ხომ, არის
ხალხი:
ბრძენიც,
გმირიც,
ალალიც,
წრფელიც,
რატომ ბრმავდება, –
ზოგჯერ?!..
გულზე –
ცეცხლივით,
მეგზნო!!!..

01-11-2021

ღიადი –
სული...

მინდა იცოდეს:
ყველამ და...
ყველამ, –
სხეულთან, ზოგის,
რომ... კვდება –
სულიც...
ჭეშმარიტება
ეს არის, –
სრული:
დიადს ქმნის,
მხოლოდ,
დიადი –
სული...
14-09-2021

² 1897 წლის 18 მაისს 80 დეპუტატი აირჩიეს თბილისის საკრებულოში. საკრებულოს არჩევნებში კენჭი იყარა, ქართველი, – ერის მოძღვარმა – ქართული ღირსებისა და აზროვნების სიდიადემ – ილიამ, მაგრამ... არ აირჩიეს?!.. მით უმეტეს, მაშინ, როცა – არჩევნებამდე, ილიამ მცირე წერილი გამოაქვეყნა გაზეთში და... ხალხს აფრთხილებდა, – არ შემცდარიყვნენ არჩევანში, არ აერჩიათ „წურბელები“... აერჩიათ: ალალი, მართალი, ქვეყნისა და ხალხის მოჭირნახულე, ერთგული, მათი თანამდგომი, ლხინისა და ჭირის გამზიარებელი ადამიანები, მაგრამ... არა ისმინეს, – ქვათა, ვითარცა... ვაგლას, საცოდავი, – „საამაყო“ საქართველო...



რუსთაველი...

თილისმა სიტყვის –
ქვებმაც კი
იგრძნეს, –
დრო არის:
მისით –
მზიურ ნატორი...
რუსთაველია –
ცა-მინის
სიბრძნე...
და... სიყვარულის –
ტრიუმფატორი...
08-11-2021

დაე, შემინდოს, მომიტევოს – მშობელმა ხალხმა...

მეგონა:
ჩემი, – მზე-ლექსებით,
ყინულიც –
გალხვა, –
სადავე მივეც:
სიყვარულს და...
სიბრძნის ალაზანს...
დაე, შემინდოს,
მომიტევოს –
მშობელმა
ხალხმა,
რომ... ვერ ვთქვი:
უკეთ, –
უფრო – ბრძნულად,
უფრო – ლამაზად...
25-10-2021

შეგონება...

ტაცებით,
ხეჭით,
მტრობით,
სული, ვინც,
ჯვარზე –
აცვით, –
სიმდიდრით,
განძით,
ალზევების ჟინით –
ვინც
ინვით,
სიქველის განცდას

კარგავს, ვინაც –
ქალი, თუ,
კაცი,
მზეს –
სიყვარულის,
ვერვინ ნახავს;
ციტა და...
მინით...
23-10-2021

თუ, ვინმე, მკითხავს...

სიბრძნეთა სიბრძნეს
თუ, ვინმე,
მკითხავს,
მარტივად ვეტყვი,
არ – ფიქრთა
ჯარით...
თუ, ნებავს –
მზეს, რომ უყუროს, –
დიდხანს,
სიკეთე თესოს,
არ – ბოღმა, –
ჯაგრი...
09-11-2021

ნეტარების ჟრუანტელი მივლის...

დუმხარ, როცა –
ვარდიც, თითქოს,
შეხმა...
და... მზეც, თითქოს,
ალარ იწყებს –
ლივლივს...
მაგრამ... ნეტარ,
როცა ვისმენ –
შენს ხმას,
ნეტარების ჟრუანტელი
მივლის...
14-11-2021

სიძარბოლე...

თვალეზში გვაყრის
რამდენი –
ნაცარს?!..
ყრიან –
სიცრუის ნუმპეში, –
რამდე?!..



სუყველამ იცის –
სიმართლე,
რაც არს,
მაგრამ...
არ უყვარს –
სიმართლე, –
რამდენს?!...
25-11-2021

რად გვინდა ღვინო?!..

რემინისცენცია – რასულ გამზათოვის¹

ამ, – ჩვენს
სამოთხეს –
ვლოცავთ და...
ვლხინობთ, –
ვლოცავთ:
მზეს,
მინას, –
ამ, ვაზებთან...
ჩვენ, –
დასათრობად,
რად გვინდა –
ღვინო?!,
სადაც, –
ამდენი
ლამაზებია?!
09-10-2021

ხომ, ხდება?!..

უღელს ვენევით:
ვინ – მცონარულს,
ხოლო,
ვინ – ხარულს?!..
ფიქრით ინვება –
ბევრზე ბევრი,
ცოტაა –
გამძლე...
უთქმელ –
სიყვარულს,
უთქმელ –
დარდს და...
უთქმელ –
სიხარულს,
ხომ, ხდება?! –
ზოგჯერ, –
ჩვენს სუნთქვას და...
სიცოცხლეს
ვაძლევეთ?!..
19-10-2021

რა დრო – დაგვიდგა?!..

ვინც გვიძღვნი
ბადაგს,
ვთავაზობთ
მას – ძმარს?!..
მომჯარებია:
ფიქრების –
დასტა...
რა დრო დაგვიდგა?! –
ველარ სცნობს:
ძმას – ძმა?!..
რა დრო დაგვიდგა?! –
ველარ სცნობს:
დას – და?!..
25-10-2021

შენზე – ფიქრებით...

სიცოცხლე მინდა:
მზისებრ –
გავლიო,
შენით –
მზედ ვენთო,
სანამ
მივქრები...
შენზე ფიქრებით:
ვხვდები –
ალიონს...
და...
დღეს ვისტუმრებ:
შენზე –
ფიქრებით...
24-10-2021

და... დამლოცავს – დედამინა...

ცა გამიფენს –
სილაყვარდეს,
სხივის გვირგვინს –
მზე დამინნავს...
ძირს, – დამიფენს
დილა – ვარდებს...
და...
დამლოცავს –
დედამინა...
05-11-2021



¹ ქართველებს, დასათრობად, ღვინო რად უნდათ?! როცა – ამდენი ლამაზები ჰყავთ?!..

ყველა გზა:
მიდის –
რომში...

ვინ – მზეობს,
ვინ არს –
ქვისებრ?!..
ვინ – ზეობს,
ნათელს
რომ... შლის?!..
ვინ – ცლის,
ვინ – ივსებს
ქისებს?!
ვართ:
ნუთისოფლის
ომში...

P.S.
ასე არის, თუ –
ისე?!..
ყველა გზა:
მიდის –
რომში...
08-11-2021

ფული...

უსულ-უგულომ –
ბოროტება
დასვა ამინდად, –
მზე, სადაც ქრება,
იქ, უკუნეთს –
აქვს, ხოლმე,
რიგი...
თუ, რამ,
არსებობს –
ბოროტება, –
დასაბამიდან,
უნინარეს და...
უპირველეს,
ფულია, –
იგი...

1.P.S.
როდემდე?!..
იუდამ –
ფურთხის სცხო:
მზის
იერსო, –
გაცვალა, როცა –
ვერცხლზე,
იესო...
გულებს ისარი –
სანამ,

მიესოს?!..
როდემდე ვცვალოთ, –
ვერცხლზე –
იესო?!..

2.P.S.
რამდენჯერ?
მზით
რად არ ვიცვლით:
სულს და...
იერსო?!..
მოთმენა:
წყდება,
ქრება,
ილია...
ჯვარზე, – რამდენჯერ:
ვაცვათ –
იესო?!..
რამდენჯერ, –
უნდა მოვკლათ –
ილია?!..
26-10-2021

სასწაული –

სიტყვა...

მე, შენით მივეც,
ჩემო,
ძვირფასო,
გულს – სიყვარული,
ლექსში
სიტყვას – ფხა...
ახლა,
ნამიც კი –
მზისებრ,
კისკასობს,
რომ მითხარ –
ერთი სიტყვა:
მიყვარხარ...

P.S.
ვტკბებოდი, როცა –
ფიქრის
მდელოთი,
გულს მივეც
მზე და...
მგოსნის
სიტყვას – ფხა...
მე, დღემდე,
ამ, – ერთ სიტყვას
ველოდი,
სასწაულია სიტყვა –
მიყვარხარ...
21-09-2021



გააჩერეთ! –
თვითმფრინავი,
გააჩერეთ!!!¹

ქართული სულის ყივილი...

ცის ხომალდი –
ფრთებით, რომ კვეთს
ქართა ჩქერებს,
რომისაკენ მიფრინავს და...
ღრუბლებს –
სულ, შლის...
ჭექს – ნიკუშა:
თვითმფრინავი –
გააჩერეთ!!!...
თელავს –
კვლავ, რომ ჩავეხუტო:
გულშიც,
სულშიც!!!..

P.S.

შეაყრყოლა ბევრს –
ამ განცდამ, –
გულის
ცემით...
და... მოადგათ:
გულზე –
სევდა,
თვალზე –
ცრემლი...
19-09-2021

როგორ მინდა!!!..

თვალეებს –
მხოლოდ,
შენზე ფიქრით,
განცდით ვახელ,
ჩემო – ხატო,
ჩემო – ნატვრავ,
ჩემო – კარგო...
როგორ მინდა:
შენი – გულიც,

1 სამშობლოს მონატრებული – პატარა, 8 წლის ნიკოლოზ ბერიძე, რომელიც, იტალიიდან, სკოლაში სწავლის დაწყებამდე, ორი თვით, ეწვია თავისი ოცნების ქალაქს – თელავს, თბილისიდან – რომისაკენ, – უკან დაბრუნებისას, ცაში, მფრინავს ცრემლიანი თვალებით შეეხვეწა – საპაერო ხომალდი, რომ... გაეჩერებინა და... თავის სიყვარულის საბუდარში დარჩენილიყო... მფრინავს მზიანი გული აუჩუყდა, მაგრამ... პატარის, ანთებული, სურვილის შესრულება შეუძლებელი იყო... აი, ეს, გახლდათ – სამშობლოს მონყურებული, ქართული სულის ყივილი...

შენი – სახეც,
მზით,
იებით...
და... ვარდებით –
შემოვქარგო!!!...
20-09-2021

ზესასწაული...

ვით, სახსოვარი,
დროს შერჩება:
სექტემბრის –
ათი, –
ზესასწაული,
მოსდა, როცა –
ნამდვილი,
ერთი...
მზედ –
გამოსხივდა,
გამოცეკვდა:
მნათობთა
მნათი...
და... ააცეკვა:
სიტყვის,
სიბრძნის,
სიკეთის –
ღმერთი...
27-09-2021

საქართველოდან –

გაქცევა?!..
არა!!!..

ქაჯების მართვით,
დრო,
ზოგჯერ,
გვზარავს...
ტკივილის ცეცხლი
გვეცემა –
გუნდად...
საქართველოდან –
გაქცევა?!..
არა!!!..
მაგრამ...
თუ, ტოვებ,
ტიროდღე, –
უნდა!!!..
14-10-2021



სიყვარული...

არსებობს, თუ, რამ,
ამ მიწის –
ზედან,
არსია – არსთა, –
ყოფნისა,
სულ... ის...
სიყვარულია:
სიცოცხლის
მზე და...
საბალნარო და...
სავარდე –
სულის...
08-10-2021

ვინც ებრძვის – ნათელს...

დარდს, ვინც –
აზვავებს:
კენტად, თუ –
გუნდად,
ვინც ელტვის –
ლამეს...
და... ებრძვის –
ნათელს,
ის –
არ გაიღებს:
სხვებისთვის –
გულს და...
სიყვარულს –
მზისთვის,
უფლისთვის –
სანთელს...
03-11-2021

მზაფრავს...

სათქმელს,
რომ მივცე –
აფრა,
სიტყვას –
სადავე, –
სრული,
მდაგს, –
უმძაფრესად,
მზაფრავს –
ჭაობიანი
სული...
04-11-2021

თუ, რამ, მწამს ღა...

თუ, რამ, მიყვარს...

არ მწამს, ვინაც:
სიბრძნე –
რიყა...
მსურს მზეობა –
მცირე წამთაც...
თუ, რამ,
მწამს და...
თუ, რამ,
მიყვარს –
შემოქმედი სული, –
მიყვარს...
16-10-2021

თუ, –

არ იწვნიე...

თუ, –
არ ჩააგდებ:
სიბრძნის ხნულში –
სიმართლის
მარცვალს,
ვერ-რით გაიგებ –
მზეს
ლამეში,
ვინ, რატომ,
არ ცვლის?...
თუ, –
არ იწვნიე –
თვითონ, თავზე:
ცეცხლიც და...
ჯვარცმაც,
აზრს –
ვერასოდეს,
ვერ გაიგებ:
ცეცხლის და...
ჯვარცმის...
09-11-2021

იწოდე, მე ვარ...

დღეები ქრიან, –
ვით, ხამი –
კვიცი,
არ მინდა:
ხვალე –
ცრემლებით





ალტო,
ნინ, ტკივილია –
ათასი, –
ვიცი,
არ მინდა:
დარჩე ტკივილთან, –
მარტო...

P.S.

ცხოვრება გვაცმევს –
ცეცხლიან
მანტოს...
და... ვერ ვუსხლტებით
დროს –
ავს და...
მძლევარს...
ჰკიდისხარ, როცა –
ერთ ბენვზე, –
მარტო,
ის –
ერთი ბენვი,
იცოდე –
მე ვარ...
01-11-2021

დაე, იყოფეს,
იყოფეს –
ყველამ!!!..

რა ვუთხრა:
ხეტს და...
გონებით –
ელამს?! –
სიბრძნის
სიკეთე
არის – ფარებად...
დაე, იცოდეს,
იცოდეს –
ყველამ:
მზე –
ხელისგულით
არ იფარება!!!..
30-10-2021

არჩევანი...

რამდენი ვიცი,
ვისზეც –
დიდი ტკივილით
მოვთქვამთ, –
გულზე –
ნისლები
და... ღრუბლები

ვინაც
მოყარეს...
თუკი, იქნება –
არჩევანი,
სინრფელით
რომ ვთქვა, –
მე –
ბრძენი მტერი
მირჩევნია,
სულელ –
მოყვარეს...
29-10-2021

პატარძეული...

ლალი,
ამაყი,
თავანუელი, –
გოგლას მშობელი –
პატარძეული...
ელვარე ლექსის –
მუზის აკვანი, –
მზით,
უკვდავებით
გადარწეული...
30-10-2021

არჩევანი...

რა აღარ ხდება:
ჩვენი ყოფნის,
სიცოცხლის
ირგვლივ?!..
გვწყინს –
ზოგს და...
ზოგჯერ,
წყენის სხივი
თუ,
ვინმემ –
გვტყორცნა...
მართალ საყვედურს
ვენაცვალე,
თუმც, –
ზოგს სწყინს –
იგი...
იესოს სილა
მირჩევნია,
იუდას –
კოცნას...
10-10-2021



ღმერთმა შეუნდოთ...

აზრის ციაგად,
ნკვარამები,
როდესაც –
თვალეს,
ვერ გარჩიეს:
ცრუ ციაგი...
და... ბრწყინვა, –
სადა...
ღმერთმა შეუნდოთ:
ბრმა – გონებას,
ახვეულ –
თვალეებს,
დღესა და ღამეს
ვერ არჩევინ –
სიტყვისას, –
სადაც...
21-11-2021

ხომ, სირცხვილია?..

თავს, ვინც,
სიმართლის წინაშე –
არ ხრის,
ხომ, არის:
სულის, გულის –
იარა?..
ხომ, სირცხვილია:
ერის და...
ხალხის?!..
ვინც ფიქრობს:
„მე“-ზე,
„ჩვენ“-ზე
კი – არა?!..
08-11-2021

სჯობს, რომ...

შემოვკრათ ზარი – განგაშის!!!.

სანამდე ვისხდეთ:
სარდაფში, თუ –
ქვევრში,
სანგარში?!..
რატომ მგონია?! –
დღეებს ითვლის
ქართველი
ერი?..
ვინც, რა,
უნდა თქვას?!..
სჯობს:

შემოვკრათ ზარი –
განგაშის!!! –
სანამ დარჩება –
ჩვენგან,
მხოლოდ,
ფერფლი და...
მტვერი...
14-11-2021

თითქოს...

სიტყვას სინათლე, –
ზოგჯერ,
მზის ერთვის
და... არის
განცდაც –
ისე ზემდაფრი...
ხან –
არის,
ზოგჯერ,
რალაც,
ისეთი,
ვერ აიხსნება,
ვერ – სით,
ვერაფრით...

P.S.

თითქოს, –
მეძლევა
ძალა უშრეტი,
არ მოვქსოვ
სტრიქონს –
სულს და
გულს იქით, –
ჩემი არსების
ყველა უჯრედი
დამუხტულია:
აზრით,
მუსიკით...
24-11-2007

ლობინი ექნება – იარაღ...

ქვეყნის შარბათის
მწრუპალმა –
ჩემი სავარდე
შენარა...
ცეცხლზე, რომ დასვა –
უფალმა,
მითხრა:
მე – რატომ?!..
შენ – არა?!..





1.P.S.

თვითონ, –
ძირს ეგო –
ხავერდი,
სურდა:
მე ბენვზე –
მეარა...
მწვერვალზე, როცა –
ავედი,
თქვა:
რატომ – შენ?!..
და...
მე – არა?!..

2.P.S.

ვინაც დათესა –
ეკალი,
ამომზევდება
ია – რად?!..
ვითარ იქნება –
სპეკალი?!..
სუნთქვა ექცევა –
იარად...

12-10-2021

რატომ?!..

სულის აღმური
და... ალერსი
ვარდებმაც
იგრძნეს,
მადლიერების სიტბოც
კეთილ გულეში
სახლობს...
ბრძენი შეისმენს:
სიყვარულის,
სიკეთის
სიბრძნეს,
მაგრამ... რეგვენი
არ იკარებს –
იოტსაც, –
ახლოს...

P.S.

მანც, სიკეთით,
რაიც ძალგის –
აშენე,
აგე,
სინათლის,
სიბრძნის,
სიყვარულის
მზევ და...
მაყარო...
გაგება თუა,
უნდა უთხრა
შემსმენს და...



გამგებს,
ყრუ და...
ბრმა კედელს
ცერცვი –
რისთვის?!..
რატომ –
აყარო?!..

14-10-2021

ვითარ –

ცხონდების?!..

მგელი,
მელა, თუ –
ტურა,
ავაზა,
ქვეყნის სიავით,
ვითარ –
ცხონდების?!..
შეუნდობს, ვინაც –
მკვლელს და...
ავაზაკს,
მონანილეა –
მათი
ცოდვების...
09-10-2021

უშენოდ...

უშენოდ –
ფიქრი
გულის მზეს
მიქრობს,
უშენოდ –
ნამიც, როგორ,
გვიან დის?!..
უშენოდ –
დიდი ღამეა, –
თითქოს,
უშენოდ –
მეფობს,
მღერის
წყვდიადი...
17-10-2021

უნდა: დამთავრდეს!!!..

დემოკრატია –
სამზეოზე,
სპექტაკლი გახდა,
თქვით, რა მივიღეთ:
შურში,
შულში,

შიშში,
დავაში?!..
სამყარო გვეკონდეს:
სიკეთის და...
მშვიდობის ტახტად,
უნდა: დამთავრდეს
გზა – დალუპვის, –
პოლიტი...
თამაშით!!!..
23-09-2021

გაოცდეს – ყველა!!!..

ამზევე აზრი:
სიბრძნით,
სიტყვით,
მზისებრ კრიალა,
გაოცდეს – ყველა, –
სამყაროზე:
ერიც და... ბერიც!!!..
უნდა თქვა:
ბევრით, –
რაიც ძალგდის,
ცოტა კი არა?...
ცოტათი – ბევრი,
ბევრზეც – ბევრი,
უფროვე – ბევრი?..¹
03-10-2021

გაიგეთ?!..

გესმით?!..

კრავს უთხრა მგელმა –
„შევრიგდეთო!“¹ –
გაიგეთ?!..
გესმით?..
„დავიგლეჯ კბილებს
და... არც –
მტრულად,
მზერას არ
გესვრი“...
თაფლად შევცვლიო, –
რაც ვანთხიე:
შხამი და
გესლი,
სიცოცხლის თესლად
რომ იქცესო –
სიკვდილის
თესლი...

P.S.

ალარ მინდაო
მოვექცეო, –

1 „ნეტავ, შემეძლოს, – მთელი ჩემი სათქმელი – პატარა ქინძისთ-
ვზე მოვათავსო“... უილიამ ფოლკენერი

არავის,
ავად,
მსურს შევიცვალო
და... ვიქცეო –
თვინიერ
კრავად...
მზით სავსე –
გულიც,
სიყვარულიც
და... არ-რით –
გესლი...
არც – კბილებიო,
არც – მტრობაო, –
გაიგეთ?!..
გესმით?!..
15-10-2021

მნამს...

საკუთარ ნებას –
შენ,
თვითონ,
თუ, ფლობ,
თუ, უაღვიროდ,
არ უშვებ –
ქარად,
მნამს, –
მიუტევებ სხვას,
როცა –
უფრო,
საკუთარ თავს კი –
იოტსაც –
არა...
19-09-2021

ცხოვრების ომში...

ცხოვრების ომში:
სიცოცხლე –
გაცვდა,
სიკეთისათვის, –
მტრობით,
დაღლილი...
ხან:
მიზანს,
გრძნობას,
ფიქრსა და...
განცდას,
ხან:
სიტყვას
უნდა მოსდო –
ალვირი...
28-09-2021



როგორ დავხატო?!..

როგორ დავხატო –
 სურათი, –
 სრული?!..
 ხან, –
 ტკივილო და...
 სევდად –
 ნალამო...
 შენ, მზე ხარ:
 ჩემი –
 ლაჟვარდი
 სულის,
 დარდით დაჭრილი
 გულის –
 მალამოც...
25-09-2021

უმაღურობა...

დამემონებება –
 ამ სამყაროს:
 ერიც და...
 ბერიც,
 სიკეთე – მზეა, –
 სიცოცხლისა,
 ყველასთვის,
 ახლაც...
 ხომ, ვიცით, –
 ოდით,
 ბოროტების სახეა –
 ბევრი,
 უმაღურობა –
 ბოროტების
 სათავე
 გახლავთ...
24-09-2021

ადამიანიც წიგნია, –

თურმე...

მზე არის წიგნიც,
 ზოგია –
 მრუმე,
 სხივს აფრქვევს –
 ზოგი,
 ბუნდს ვხედავთ –
 ბუნდად...
 ადამიანიც წიგნია, –
 თურმე,
 რომელსაც –
 სწორი ნაკითხვა
 უნდა...
16-09-2021

რა ეშველება?! –

არ ვიცი...

გრძნობას და...
 განცდას –
 ველარ-რით
 ვკეტავ, –
 ყოველ წამს
 ფიქრი
 და... დარდი
 ამდევს...
 რა ეშველება?! –
 არ ვიცი,
 ნეტავ,
 ნაცარქექიას
 და... თაღლითს, –
 ამდენს?!..
11-09-2021

ჩვენ, რაჯ –

ჯვარცმით,

გავძლეო...

ხალხთა მტრობას
 მუდამ –
 ვგმობდით,
 გვძულდა ლხინიც, –
 ვერაგული...
 ჩვენ, რაც –
 ჯვარცმით,
 გავძლეთ, –
 ოდით,
 ვერ გაძლებდა
 ვერა – გული...
12-09-2021

მძულს, –

სიკვდილივით!!!..

მძულს, –
 სიკვდილივით,
 მზედ – სიცოცხლეს,
 ვინაც, არ –
 ინვაგს!!!..
 და... არის:
 მხოლოდ,
 სათავისოდ,
 ლხინის მწრუპალი...
 არ უყვარს, ვისაც:
 ეს, –
 სავაზე,



სავარდე –
მინა,
არ არის, ვინაც:
ჭეშმარიტი –
ჭირისუფალი...
27-09-2021

მიყვარს და... მძულს...

უსიყვარულო მაგონებს
ჭილყვავს...
მნამს:
სიყვარულით –
ნადავლიანი...
თუ, ვინმე,
მიყვარს,
თუკი, რამ,
მიყვარს,
გულის მზე მიყვარს, –
ადამიანის...

P.S.

ყოფნა ჰგავს, –
ზოგჯერ,
დამსხვრეულ –
მინას,
ლეკვებნართმეულ
ძუს...
ადამიანი არ არის,
ვინაც,
სიკვდილზე მეტად –
მძულს...
31-08-2021

არა აქვს, რამდენს, გონების – თვალი...

ნუთისოფელი –
ვინ, რამდენმა,
ამაოდ,
ღალეს?!..
სიავით სავსეთ,
სულ, ამაოდ,
მოიდეს –
ალი...
ვერ არჩევს –
ზოგი,
ქვეყნად ყოფნის:
დღესა და...

ღამეს, –
არა აქვს, რამდენს:
სულის,
გულის,
გონების –
თვალი...
13-09-2021

ნუჭი...

ჭორით მოივლის –
ნამში,
ცეტი:
მადრიდს, თუ –
ვენას, –
პლანეტას მოსდებს:
შხამ-გესლს, –
ნეტარ,
ჭიკჭიკით –
მერცხლის...
მორღვეულ პირში
ასარსალებს –
დაუბმელ
ენას...
მერე კი... ინვის:
სინანულის –
ურვით და...
ცეცხლით...
31-10-2021

ვითარჯა – მწერი, წავიდა...

ვინც –
არ მზეობდა, –
ნამითაც,
მაგრამ... ზეობდა, –
მძლე ვარო,
ვითარცა –
მწერი,
წავიდა...
თუმცა, ეგონა –
მე ვარო...
20-11-2021

ლოღინი...

დროა, ვით –
გულში ისარი, –
ბასრი,
იმედი, როცა –



ამაოდ,
ბოლობს...
და... ლოდინს,
მხოლოდ,
მაშინ აქვს –
აზრი, –
თუ, აქვს:
ლამაზი,
კეთილი –
ბოლო...
19-11-2021

52



**ალიარება –
ლირსება
იჯის...**

ვინ –
გულლია,
ვინ –
მინაში არის
მძრომელი,
ვინ –
ლამეა და...
ვინ – მზე:
ყოფნის, –
ამ ცის,
თუ,
იმ ცის?!..
მაჩვენეთ ვინმე, –
არ შემცდარა –
მზის ქვეშ,
რომელიც?!..
ალიარება მისი –
მხოლოდ,
ლირსებამ
იცის...
24-11-2021

განჯღა...

მზემ
კოცნა – ალერსს
უმატა –
მინის,
სუსხსა და ყინვას
მარტი მიდენის...
მე... ხან,
ლექსების აღმურით
ვინვი...
და... ხან,
დარდი მკლავს –
მარტინ იდენის!...



1 ამერიკელი მწერლის – ჯეკ ლონდონის პროზის მწვერვა-

P.S.

ხან, თუ,
ნასროლი ისარი –
გამცდა,
ხან, – ჯიქურ მებრძვის:
ფიქრი და...
განცდა...
2021

მტკივა...

ვინ უსმენს, –
ახლა,
მტირალსა და...
ტკივილით
მკივანს?!..
ათასჯერ მითქვამს,
რომ... ფერხია –
რამდენი,
ჯოგის?!..
ღმერთი და რჯული,
სულიც,
გულიც
და... სიტყვაც
მტკივა,
რომ... არ არსებობს:
სისულელის საზღვარი, –
ზოგის...
12-09-2021

სიყვარულის

სიყვარული...

სიყვარულია:
ერთად ყოფნის –
აზრიც და...
არსიც,
სიცოცხლისათვის, –
ერთსულ ყოფნის
სიკეთე –
გვართობს...
ბედნიერება, –
მარტო ყოფნით,
სხივდება –
არ-სით,
მას –
შეჭამს დარდი,
ვინც, ფიქრებთან,
დარჩება, –
მარტო...
19-09-2021

ლი, – ავტობიოგრაფიული რომანი „მარტინ იდენი“ (1909წ.),
სადაც, უბრალო მუშამ, მეზღვაურმა მარტინ იდენმა, ლიტ-
ერატურულ-შემოქმედებითი წარმატების შემდეგ, სულიერი
კრიზისის შედეგად, ზღვაში დაიღრჩო თავი...

სიყვარული...

ცხრა ოკეანეს,
გადავცურავ,
მლეღვარე –
ცხრა ზღვას,
უსაზღვრო განცდა
ფიქრის მერანს
გავუნაგრო...
ნეტარ ბურუსში
გახვეული, –
ვინ ზომავს –
საზღვარს?!..
სიყვარულია ეს, –
უსაზღვროც
და... უნაპიროც...
10-09-2021

მიყვარს...

სიმართლე რომ ვთქვა, –
ნრფელი და...
სრული...
და... რომ... არ ვგვაგდე –
ცრუ ყვავს და...
ჭილყვავს,
მე მიყვარს:
შენი –
მზით სავსე
სული...
და...
შენი სულის –
ჭურჭელიც
მიყვარს...
22-11-2021

მაოცებს ძლიერ...

საზღვარი ხომ აქვს
მოთმენასაც, –
უბრძნესო ხალხო?! –
რეტი
რომ იღებს –
უსათნოეს
იესოს იერს...
ნუთუ, დავკარგეთ:
ავის,
კარგის
გარჩევის ალლო?!.. –
მგლებს
რად ვუკითხავთ –
სახარებას?!..
მაოცებს ძლიერ...
12-11-2021

ზეხარბი...

ზეხარბი, – ყოფით –
სულს,
გულსაც და...
იერსაც
იცვლის,
ნურბელა, ვითარ,
ენაფება –
ცხოვრების
ტაბლას,
ბედნიერების –
ხეზე ადის:
ხვეჭით და...
ცინცვლით,
განცხრომით მთვრალი –
ზეობს,
ალარ ჩამოდის, –
დაბლა...
21-09-2021

თასჯერ,

უფრო...

გვედება, როცა,
სიყვარულის –
კეცხლი და...
ალი...
და... ვით, უფალი,
ჩვენს გულსა და
გონებას –
უფლობს...
მიყვარს –
სხეულის სილამაზით
შემკული –
ქალი,
სულით ლამაზი
მიყვარს –
უფრო, –
ათასჯერ,
უფრო...
26-09-2021

ვლოცავ... ღა...

მანთებს...

ვლოცავ:
ამ ველს და...
ამ მთებს,
თავისუფლებას
ვლოცავ...
ზოგჯერ კი,
რისხვა –
მანთებს,
ხალხს აბოლებენ,
როცა...
24-11-2021





ჩემს განუყოფელ
მასწავლებელს –

სუპერგენიალურ შემოქმედს –
ფარნა რაინას

მართლაც, მაცებს, თქვენი, მუდამ, მზიანი სული,
სიბრძნე – სიკეთის მთესველს, საზრდო გაქვთ
ფიქრით ხნული...
თუმც, წინ, კვლავ, გელით ნუთისოფლის გზა-მარა
რთული,
სხვებზე მეტს ზრუნავთ მოამაგე, მონყალე
გულით...

თინათინ თელაველი

გამშვენებდეს ნობელი!..

*ფარნა რაინას დაბადების
85 წლისთავისათვის*

შედეგები როგორ გშენის?! —
ია – ვარდის კონები;
თავს იწონებს, ამ, ცა-მზის ქვეშ,
გულში ჩასაკონები...

სუნთქვასავით, საარსებო,
საზრდო არის – გონების...
სიბრძნის წიგნს რომ გადაფურცლავთ,
რა გვაქვს დასაღონები?!..

სულ, ნალკოტად გადიქცევა:
წინ რომ დაგხვდეს ლოდებიც,
სიყვარულის სხივებს მოვკრეფთ,
ყველამ გიძღვნათ – ოდები.

ვეფერებით შენს სტრიქონებს, –
ოქროს წყაროდ მოდენილს,
გვინდა მგოსანს, – ღირსეულად, –
გამშვენებდეს – ნობელი!..

ნუნუ კამუკაპილი



რაინაული – ფიცრის ჭალაზე

მთები გარშემო,
ამაყად დგანან,
გადმოჰყურებენ გაშლილ ხეობას,
კლდიდან ჩანჩქერთა შლეგი დგანდგარი,
ალაზანს მატებს – ეშს და მხნეობას.

მგზავრი გამოჩნდა –
ფიცრის ჭალაზე,
ცხენდაცხენ კეცავს ვინრო ბილიკებს,
პაპებმა უხმეს, თვისტომს, აღვანელს,
გზას, ძირ ფუძისკენ დინჯად მიიკვლევს.

დოღში, პირველის,
ფლობდა არჩევანს,
გადარეული ჰყავდა საფერხე,
ლხინი ხატობას, ერთის არჩევა, –
შურთხის თვალეზა, თავის საფეროს.

მიდის გზადაგზა,
წარსულს იგონებს,
ღვთის ნებას, ვიცი, გვერდს ვერ ავუვლი.
წლებმა ჩემს თვალწინ გადაიქროლეს,
ღულს ხმალ-კალამი – რაინაულის.

მთებო!
მოვდივარ თქვენი გაზრდილი,
მზით, სიყვარულით ჩაგეხუტებით,
საფიცრად დამაქვს: დედის მანდილი, –
თქვენგან ნაბოძი – რწმენა, – ურყევი.

მურთაზ ნაკუდაშვილი

შემოსილია დაფნითა

ფარნაოზ რაინაულს

შემოსილია დაფნითა
და... სიბრძნეს თესავს ხნულში,
კახეთში ლექსი აფრინდა, –
სული უდგია თუშის.

შურის ალამი დაფლითა,
სიმართლეს არ-რით სცოდავს,

სავსე აქვს გული – თაფლითა,
სხივიც როდი აქვს – ცოტა?..

გადაუფრინა 80 წელს, –
ხედავს – მომავალს, წარსულს,
წერს სამშობლოზე, რასაც წერს,
უმღერის: ძეთ და ასულთ.

ალაზნის ველიც ბრწყინვალეებს,
დაბადების დღეს ვუხდით;
და... ათბობს, მალლა, მყინვარებს, –
აქვს მათუსალას მუხტი.

შემოსილია დაფნითა,
სიკეთეს თესავს – ხნულში,
კახეთში ლექსი აფრინდა, –
სული უდგია თუშის.

აკაკი ბიძინაშვილი

გილორჯა!..

ფარნა რაინას

თუშეთის მთებში დაირწა
ღვთიკურთხეული აკვანი,
შენი ბუნების ძერწვაში
მთებმა დატოვეს, – ღრმა კვალი.

მამულიშვილი ბრძანდები,
ქვეყნისთვის იღვწვი ღვთის ნებით;
დღეს თელავ-ქალაქს ამშვენებ, –
შენი კაცური ღირსებით.

ამ ქალაქს ახსოვს ჭაბუკის –
ლექსებმა, როგორ იალა..
და... მძიმე ტვირთმა, – მწერლობის
შენს მხრებზე გადაიარა.

ჩემო მათესტრო მე, შენთან,
დამაახლოვა განგებამ;
მუზა, ნიადაგ, გამშვენებს,
ლექსები არა თავდება.

რამდენი კარგი პოეტი
გაზარდე, დააფრთიანე,
კაცო, ქველო და მოწყალევე,
სულ, დიდების გზით იარე.

რითმებს არ დაგესესები,
აზრებს კი გკითხავ, – თავადა,
კალამს რომ ხელი მოვკიდე, –
შენს რჩევამ გამათამამა.

ოთხმოცდახუთი წელია,
მოსდევ ცხოვრების დინებას,
შენებრი ნიჭით, ამ ქვეყნად,
ბევრი არ დაიარება.

დიდხანს იცოცხლე, იხარე,
სიცოცხლე, თურმე წამია;
მრავალი, მრავალი წელი
იცოცხლე, ჩემო, ძამია.

გიორგი ბერძინაშვილი

ზატონ ფარნას

ეულოცავ დაბადებიდან 85-ე წელს

შენი კატრენებივით,
არასდროს, არ გვწყინდები,
მზე დაგყვება, კვალდაკვალ,
და.. მზესავით ბრწყინდები.

შვენი თელავს, – ბრძენკაცი,
მართალი და კაცური;
შენი ლექსი ისე დულს,
როგორც – ღვინო, – კახური.

სინდისი ხარ, ნამუსი,
სიამაყე – ერისა,
ქომაგი ხარ – სიმართლის,
რისხვა – ქვეყნის მტერისა.

შეგენიოს, მარადის,
მადლი... გრემის, გელათის...
იდიადე, იხარე –
ქართველებით, – ყველათი.

შენი კატრენებივით,
არასდროს, არ გვწყინდები,
მზე დაგყვება, კვალდაკვალ,
და... მზესავით ბრწყინდები.

გიული ჩიხიაშვილი



ფარნა რაინას

საიუზილოოდ

ყოველი დღე – ლამაზია, –
მარგალიტი კატრენებით,
დღე იწყება, – პოეზიით, –
და... მთავრდება გათენებით.

გულს ხალისი ემატება
და ივსება სიბრძნის თასი...
კატრენებში სიბრძნე არის, –
ბევრი – ასი და ათასი.

უფრო, მეტად, უფრო მეტად –
ნეტარებენ – გულიც, გონიც...
პოეზიის სიბრძნის მწვერვალს,
გვირგვინს ადგამს – კიდევ, – დრონი...

გაიხარე, ყველა სიტყვა –
მზის სხივებად კიაფობენ,
უთვალავი წლები გქონდეს, –
სიყვარულის განძის მფლობელს.

სეფე-ლექსი, – ღირსეული
ჩვენს დედულს და, მამულს იცავს,
და უკვდავი პოეზიით
აშუქებდე დედამიწას.

ანა მანოშვილი

ზაჭონ ფარნას

საიუზილოოდ

ჩემი ოცნება, ნანაობს,
გაგანდო – ეს სიხარული,
შენი ლექსების ყანაო, –
ლეღავს, – მზის სხივით, – დარულით.

შენი ლექსი და კატრენი –
ნამდვილი შედეგებია;
ალავერდის და ატენის
რწმენა – სიკეთე ბევრია...

შენს, უკვდავ, ლექსებს აცხია –
გენიალობის მირონი,
შენი ღვანლი და ამაგი,
ნაყოფი არის გამირობის...

შენი წიგნები მსურს ვნახო,
შოთას და ვაჟას წიგნებთან;
კატრენებით ხარ, მწამს ახლოს,
მზის როდი გიჭირს მიგნება...

ზურაბ მარკოზაშვილი

56



ელზა თუშაბრაშიშვილი. თელავი

უფალი განსჯის...

დასაბამიდან –
ავი ქარი,
ყოველთვის,
ქროდა,
ძალმომრეობა –
ბევრჯერ... ძალას
ჯიუტად
ვერ თმობს...
უფალი განსჯის, –
ყოველივეს,
დადგება დრო და...
აიანოზე¹
მეტ ღირსებას
დატოვებს –
ვესტმო?²...
23. VII. 2018

არ ყოფილა...

და... არც იქნება...

სიცოცხლე –
მოდის...
მიდის...
დია დის:
საქმედ,
ტკივილად,
ლამაზ ფიქრებად...
უფალზე –
ბრძენი,
ქველი,
დიადი,
არა ყოფილა...
და... არც იქნება...
12. IV. 2018

1 ხმელთაშუაზღვაში, კუნძულ კორსიკაზე პატარა ქალაქი, სადაც დაიბადა ნაპოლეონ ბონაპარტი.
2 თუშეთი, – რაინაულების, პატარა, საგვარეულო სოფელი, სადაც მე დავიბადე.

ატომის

აღლი...

აზრიც და საქმეც,
ფრთებით,
თუმცა,
კოსმოსსაც
გასცდა,
როგორც, მგლებს –
ცხვრისკენ,
ერთურთისკენ
გვიჭირავს –
თვალი...
ძნელია ყოფნა, –
უძნელესი:
ფიქრიც და
განცდაც, –
როდის აუვა
დედამინას –
ატომის
ალი?!

P.S..
დღეს, –
ძალადობას –
ვინ არ ფიქრობს?! –
მაჩვენეთ, –
ერთი:
ვისლა აქვს –
რწმენა,
სიყვარული
და... ვის სწამს –
ღმერთი?!...
14. VIII. 2018

ამ მოლოდინში –
დარდის წერხლომა
გადაგვიყოლა...

მსოფლიო ომი
თუ, იქნება, –
რიგით –
მესამე,
იტყვიან, მერე:

იყო...
მაგრამ...
არა იყო, რა...
მაგრამ...
ვინ იტყვის?!..
ვინ დარჩება?!..
თქვენი
კენესა მე,
ამ მოლოდინში –
დარდის ცეცხლმა
გადაგვიყოლა...
8. IV. 2018

უფალო!..

გვინდა, რომ ვიყოთ:
ბრძენი, –
ქველი,
წრფელი,
უბრალო...
და... არასოდეს:
გვემული მზით,
გვემულ დარებით...
გადაგვარჩინე,
გადმოგვხედე,
გვიხსენ, უფალო, –
გთხოვთ,
გეხვეწებით,
გვედრებით,
გემუდარებით!!!..
24. VI. 2018

როგორც –
არასდროს !!!..³

თავქარიანი რამდენია?!..
და... ენით –
ყბედი?!..
და... აზრზე მეტად,
უაზრობამ –

3 2018 წლის აპრილში, ჟენევაში, შვიარალების საკითხში, გაეროს წარმომადგენელმა იზუმი ნიკამიცუმ განაცხადა: ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე იზრდება და... ეს საფრთხე ამფოთებს მთელ კაცობრიობას...



ბევრით გაგვასწრო...
როგორც – არასდროს,
დღეს მანუხებს:
პლანეტის –
ბედი,
ყოფნა-არყოფნის
ზარი რეკავს, –
როგორც – არასდროს!!!..

58



მე ვჩუქნი:
ყველას, –
სალაროს
სიბრძნის...

ვინ –
სატანური
სურვილით
იბრძვის, –
სურთ:
ტახტ-განძისთვის
სამყარო
ფლითონ...
მე ვჩუქნი:
ყველას –
სალაროს
სიბრძნის...
და... არჩევანი
მათზეა, –
თვითონ...
17. III. 2018

ლამის...

მგლობას,
დათვობას,
პლანეტაზე –
არავინ უკლებს...
ვინ,
რა მოიგო
ბოროტებით?!..
მთქმელი ვარ –
ამის...
როცა, –
სამოთხე უნდა იყოს:
ცხოვრება, –
უკვე,
შუღლით და
ხვეჭით,
ჯოჯოხეთად
ვაქციეთ, –



ლამის...
17. IX. 2018

ხილვა...

*მთელი პლანეტა
როგორ გადავრჩეთ?!..¹*

რისხვის,
წარბოცვის
ცეცხლს ჩამოყრის
ძირს –
სანამ,
ცა – ნამს,
და...
მანამ, სანამ,
შემოგვწყრება –
სიცოცხლის
ღმერთი,
ჩვენი პლანეტის
კატასტროფით
გავქრებით –
სანამ,
ხელისუფლებით,
პარლამენტით,
ხამს ვიყოთ –
ერთი...

1. P.S..
რა ძალა გვიხსნის
გაქრობისგან?!..
და... მოვა –
ან – სით?!..
ან, – გადარჩენის,
ერთადერთი,
თუ, არის –
შანსი?!..

2. P.S..
ძალმომრეობა:
სანამ ზეობს
და... სანამ –
ქუფრობს,
საშური
საქმე –
არ არსებობს, –
არც ერთი,
უფრო...

¹ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ: ჩვენს გალაქტიკაში, კონკრეტულად ჩვენს პლანეტაზე, უკვე, ორი ცივილიზაცია დაიღუპა და... ეს, – მესამე ცივილიზაციაა, რომელმაც, შეიძლება, წინა – ორი ცივილიზაციის ბედი გაიზიაროს, კაცობრიობა თუ, დროზე, არ მოეგება გონზე.

3. P.S..
საბედისწერო
დროის სუნთქვა
წლებმაც კი
იგრძნეს,
როგორც –
არასდროს,
საჭიროა:
ღვთიური –
სიბრძნე...

4. P.S..
დემოკრატია,
რომ არ იყოს:
ყულფი და...
მახე...
და... ყველამ,
ყველამ,
შეირჩინოს –
საერო
სახე...

5. P.S..
სიკეთისა და...
ჰუმანიზმის –
დავლოცოთ
რთველი,
აზრსა და
სიბრძნეს ზეიმობდეს:
სამზეო, –
მთელი...
25. II. 2019

უმთავრესზე –
უფრო,
მთავარი...

ველარ მოშუშდა...
ველარ მორჩა –
ხალხის იარა, –
აულებელი:
ყველას,
ყველას
ნატვრის მთა არი...
დედამინაზე:
შუღლი,
ქიშპი,
მტრობა კი არა,
სიყვარულია:
უმთავრესზე –
უფრო, მთავარი...
7. 1. 2019

რატომ?!..

რატომ?!..

რატომ?!..

რატომ ვერ სწვდება:
სიბრძნის
მზე – ყანას?!..
დაქცევის მიზანს?!..
რატომ მოვინებდით?!..
რატომ გვექცევა
თავზე –
ქვეყანა?!..
რატომ მომრავლდნენ:
ფულის მონები?!..
რატომ?!..
რატომ?!..
რატომ?!..
10. II. 2019

მტერი...

სამტროდ –
უკან,
არვინ იხევს, –
შინაური,
გარეული...
ვინ –
შიგნიდან
გვიტყვის ციხეს,
ასჯერ მეტი –
გარე უვლის...
25. II. 2019

როგორც, არასდროს,

ისე ჩანს:

ყველა...

დღეა, თუ –
ღამე?..
მზეა, თუ –
ელავს?..
სიმართლეს გეტყვით:
თუნდ, ჰკითხოთ –
მძინარს...
როგორც, არასდროს,
ისე ჩანს –
ყველა, –
დღეს –

ჭეშმარიტი ქართველი
ვინ არს?..
18. IV. 2019

თავისუფლების –

ლოზუნგებით,

დროშით,

სახელით...

ძალმომრეობით
გვიბრმავებენ –
თვალებს, –
ახელილს,
პასუხს ვინ აძლევს –
ოკეანედ,
სისხლს,
ცრემლს დადენილს...
თავისუფლების –
ლოზუნგებით,
დროშით,
სახელით,
თავისუფლების წინააღმდეგ
იბრძვის რამდენი?..
12. XI. 2010

არ აპატიებს –

არვის,

არაფერს...

დრო ბევრს მოიკვეთს
ხალხთა
თემიდან, –
მზე, ვინაც:
მურეს,
სვარეს,
ალაფეს...
ყველაფერს განსჯის:
დროცა და...
თემიდაც, –
არ აპატიებს –
არვის,
არაფერს...
19. XI. 2018



სულის მზე –
ერის...

გადავეყრებით:
ზოგჯერ,
შავ დროს,
მზაკვარს და...
ელამს, –
სულის მზეს
ერის –
ებრძვის მტერი,
ადინოს მტვერი...
იცოდეს უნდა:
ერმაც,
ბერმაც,
ყველამ და...
ყველამ,
მწერლობა არის –
სულის ხატი,
სულის მზე, –
ერის...
15. XI. 2018

ამოდი, ხალხო,

ქვევრებიდან!!!..

დაცარიელდა –
ქვეყანა და...
ლუკმაც კი
უჭირს, –
ჯოჯოხეთური
ცხოვრება, რომ
უკიდებს ალებს...
სანამ:
შიმშილი?!..
ხოლო,
ზოგს კი –
უსკდება
კუჭი...
ამოდი, ხალხო,
ქვევრებიდან!!!..
ამოდი, მალე!!!..
21. IV. 2002

ჭეშმარიტებას

ვინაურ ღალატობს...

ჭეშმარიტება
ვიცით, – ერთია, –
სიბრძნის,
სიკეთის
და... მზის ღალადო...





ჭემმარიტება,
რადგან – ღმერთია,
მას –
ვინც ღალატობს,
ის –
ღმერთს ღალატობს...
19. X. 2018

სიმართლე...¹

უსამართლობით, –
იძვრის მინაც
და... რისხვა ერთვის,
უსამართლობით, –
ხდება, მუდამ,
ალმურის დება...
სიმართლე არის:
სინდისის და
ნამუსის ღმერთი,
იმდენჯერ ვკვდები,
რამდენჯერაც –
სიმართლე კვდება...
28. VIII. 2018

უფალო!..

უფალო,
ძირს, რომ
არ ვეგდოთ
ქვისებრ, –
მიგვალწვეინე –
ერთობას, –
ნეტარს...
არ დაგვიბნელდეს
გონება, –
ისე,
თავზე ვიფიქროთ, –
მამულზე
მეტად...
20. X. 2018

დემოკრატია...

ფუჭმა თამაშმა, –
ბოლოს,
რომ არ მოგვიღოს –
ბოლო...
და... ჯოჯოხეთი

1 „სამართლიანობა ხელმწიფების
საფუძველია, უსამართლობა –
ომისა...
ლაო ძი



რომ არ გვეკონდეს –
არ – რით და...
არ – სით,
დემოკრატის –
ჩვენ,
არ გვინდა:
თამაში, –
მხოლოდ,
ჩვენ გვინდა ნაღდი:
მიზნით,
სიტყვით,
საქმით და...
არსით...
16. XII. 2018

არრა არსებობს –

სიღიადე,

უფრორე, მეტი...

ოკეანეში –
სიბრძნის,
აზრის,
ვაცურებ მე ტივს,
ვეთაყვანები... და...
ვადიდებ –
მზესულით მდიდრებს...
არრა არსებობს:
სიღიადე, –
უფრორე, მეტი,
ჭემმარიტება,
სიცოცხლე და...
სიკეთე, – ვიდრე...
26. III. 2019

რატომ?!..

თითქოს, –
ყველა – თვლემს,
ყველას – სძინავს,
ყველა – ფუფალობს?!.
მეფობს – წყვდიადი, –
ენატრება –
ეგზომ,
მზე – ყანას...
რატომ მგონია:
ჩემო ხალხო,
ბრძენო უფალო,
თითქოს, –
დაყრუვდა...
და...
დაბრმავდა, –
მთელი,
ქვეყანა?!..
12. IV. 2019

საჭეთმპყრობელი...

საჭეთმპყრობელი,
ვინც –
საზღვრავს საზრისს:
შეგზვდებათ –
ბრძენიც,
მელაც და...
დათვიც...
მნამს:
ჭვრეტაც... საქმეც...
ფიქრიც... და... აზრიც...
ეპოქებს, ვინაც –
წინასწარ,
გათვლის...
3. IV. 2019

უძლევი

ძალა...

სიბრძნეს:
ვინ – სხივად,
ვინ – ჯვარცმად და...
ვინ თვლის –
გრძნეულად,
ცხოვრების წყარო:
ვინ – ლაყვარდი,
ვინ კი –
ქუფრი სვა...
უძლეველობას
ვინც ფიქრობდა,
ყველა –
ძლეულა,
უძლევი ძალა
არ არსებობს, –
გარდა –
უფლისა...
20. II. 2019

ნატვრავ, ჩემო ღა...

ოჯნებავ, ჩემო!!!..

თუკი, რამ,
ითქმის –
სიყვარულად,
ყველაფერს ვჩემობ, –
ქართული –
ხიბლით
და...
ქართული –
ამაყი ჩვევით...

ქვეყანავ, ჩემო,
ნატვრავ, ჩემო,
ოცნებავ, ჩემო,
მიიღე – ძღვენად:
მზესული და...
მზეგული ჩემი!!!..
5. III. 2019

რატომ არ ესმის?!..

შუღლით და
სისხლით –
საუკუნე
რამდენი მიწვა?!..
აშვებულია, –
ვერ დააბეს, მაინც –
არესი?!..¹
აზანზარებსო:
ბრძნული სიტყვა –
ცასა და მიწას,
თუ, –
აზანზარებს,
მაშინ... ვინმეს –
რატომ
არ ესმის?!..
4. III. 2019

უუმტკიუნეს, – მარადისად...

ვიყოთ:
ერთხორც,
ერთსულ, –
ერთად,
დარად – ძმისა,
დარად – დისა...
შინ – თაფლად და...
რისხვად –
მტერთა,
უუმტკიუნეს, –
მარადისად...
12. IV. 2019

სიყვარული...

სიყვარულია:
ნეტარეთი, –
ბალიც

1 *(ბერძნ.) ბერძნულ მითოლოგიაში –
ომის ღმერთი, – ზევსისა და ჰერას
შვილი; რომაული მითოლოგიით –
მარსი.

და... ზვარიც,
დასაბამიდან,
რასაც – ყველამ,
ვასხით ოცნება...
სიყვარულს არ აქვს:
არც – ასაკი
და... არც –
საზღვარი,
იგია:
მზის და...
უკვდავების –
ასხივოსნება...
12. III. 2019

არ მიყვარს,

არ მნამს...

უსიყვარულოდ,
უსიკეთოდ,
არ გავხსნი –
ნამნამს,
არ მიყვარს,
არ მნამს –
არსით ვინც ჰგავს:
ამაო
ქართა...
არც – ერთი წუთით
და...
არც – ნამით,
სიცოცხლე
არ მნამს:
მზესიყვარულის,
მზესიკეთის,
მზეგულის
გარდა...
23. II. 2019

ქურუმო –

ლექსის...

სიცრუის ზეცა,
როცა –
ქუხს,
ელავს,
ქურუმო ლექსის,
მზესიტყვა დაძარ!..
ორივე თვალთ, –
ხომ, ვხედავთ, –
ყველა,
ვინც –
სწვავს და... ანგრევს
სიმართლის ტაძარს?..
6. IV. 2019

სიწოცხლე და...

სიკვდილი...

სიკვდილ-სიცოცხლის
უბერავს ქარი, –
მზითა, თუ –
ლამით...
ოდით და... ახლაც...
ზოგის –
სიცოცხლეც
სიკვდილი არი,
ზოგის –
სიკვდილიც
სიცოცხლე გახლავთ...
3. IV. 2019

მე, თუ, –

მკითხავენ...

მე, – თვითონ,
სიკვდილს დავადებდი:
სიკვდილის
ბოქლომს,
რომ...
ბედნიერი ყოფილიყო –
სიცოცხლე, –
ლალი...
რაც სიმდიდრეა –
პლანეტაზე:
განძი და...
ოქრო,
მე, თუ, –
მკითხავენ,
ერთი წამის –
სიცოცხლედ
არ ღირს...
3. III. 2019

ღიადი ჭილდო...

ტახტიც და...
განძიც,
როდი არის –
ღიადი ჯილდო?! –
ჯილდოც და
ჩინიც,
ფასი არის, –
ხანდახან –
წინვის...
სიღიადეა:
ქვეყნის,
ხალხის



ტკივილი ზიღო,
ქვეყნის და
ხალხის სიკეთისთვის,
ვინაც –
მზედ
იწვის...

16. III. 2019

62



რამდენი – იწვის?!..

რამდენი – კვდებ?!..

თავიდან, –
როცა –
არ ფიქრობს
კაცი,
მოუწევს... მერე...
აღმურის დება...
დაუდევრობის –
სასჯელით, –
მკაცრით,
რამდენი – იწვის?!..
რამდენი – კვდებ?!..
13. III. 2019

გვითხარით:

სანამ?!..

სანამ – მონობა?!..
სანამ – ხვეჭა?!..
ბედის კვილი?!..
სანამ – შიმშილი?!..
შარი?!..
სისხლის,
ცრემლის რუები?!..
სანამ – მოთმენა?!..
სანამ – ტყვია?!..
სანამ – ტკივილი?!..
სანამდე ვიყოთ:
ქანდაკები?!..
ბრმები?!..
ყრუები?!..

P.S.

გვითხარით:
სანამ?!..
სანამ?!..
სანამ?!..
ქრება – მოთმენა!!!..

11. III. 2009



ნატვრა...

მე დავაჩოქე
დროის –
კენტავრი
და... მსურს:
შევთხოვო –
სხივთა
მთოველ ცას,
შემადლებინოს, –
ვნატრობ,
ნეტავი,
ჩემი სიცოცხლე –
შენთვის
მომეცა...
8. III. 2019

ზატონი და...

მონა...

არ მყვარებია –
ბრმა ტონი, –
ხან –
ბრძენს და...
ხან კი –
ონავარს...
ვარ:
სიკვდილისა –
ბატონი,
სიყვარულისა –
მონა ვარ...
11. III. 2019

მითხარ, –

რა უნდა

ელაპარაკო?!..

ვინც განუდგება
ნებას –
განგების,
თუნდაც, –
რომ სთხოვო
შველა – ბარაკონს,
თუ, –
არ იქნება –
უფლის
გამგებიც,
მითხარ, –
რა უნდა
ელაპარაკო?!..
9. III. 2019

სირცხვილი – იმას!!!..

ხომ ვხედავთ? –
ზოგთა:
ფულის – წარღვნას?!..
და...
ფულის – წვიმას?!..
ორ პოლიუსად, –
გადალობილ:
ლატაკებს,
მდიდრებს?!..
სირცხვილი – იმას!..
კრულვა – იმას!..
და...
ფურთხიც – იმას!..
ვინც –
თავზე, უფრო,
მეტად ფიქრობს,
მამულზე –
ვიდრე!!!..
29. III. 2019

მკვლელეტი...

ესეც, ხომ,
არის –
დიდი იარა?! –
არ მასვენებენ
დარდის –
კელები...
აღამიანთა,
მარტო, კი არა,
არაიან:
ქვეყნად,
დროის –
მკვლელეტიც...
31. III. 2019

სჯობია –
ასჯერ...

ცა – სიყვარულის
სიკეთით
ასჯერ,
უფლის თვალი და
წყალობა –
დიდ არს...
სულით მდიდარი
სჯობია –
ასჯერ,
უფლებით,
ჩინით,
და... ფულით
მდიდარს...
2. IV. 2019

შენ უნდა გეპყრას:
დროის –
სადავე...

გაფრენილ ჩიტებს
დღეებიც
ჰგვანან, –
ვერ ვმართავთ, როცა –
აზრის
სათავეს...
ნებაზე უნდა მიუშვა, –
განა?!..
შენ უნდა გეპყრას:
დროის –
სადავე...
16. III. 2019

თუ –
ფიქრობს, ახლა,
ნეტავი,
ვინმე?!..

ცა-მინა იწვის:
ოდით,
ფიქრებად,
სულ, –
მტრობით ვივნეთ,
თუკი, რამ,
ვივნეთ...
მზის ქვეშ, –
მინაზე,
ხვალ, რა –
იქნება?!..
თუ –
ფიქრობს, ახლა,
ნეტავი,
ვინმე?!..
30. III. 2019

ველარ მორჩა:
ამ ქხოვრების –
ჭოჭოხეთი...
სულერთია, –
ავსულთათვის;
ჯოჯოც... ღმერთიც...
და... უბერავს

ბოროტების –
ქარი, – მწველად...
ველარ მორჩა:
ამ ცხოვრების –
ჯოჯოხეთი...
და... პაჩიკოს
გარმონივით
გაინელა...
21. IV. 2019

იმპერიები
ალიგავნენ...

ძალმომრეობით –
ყველა,
თავის მზის ნათელს
მარხავს,
უსამართლობა –
ცოდვის ცეცხლით,
თვითონვე,
იწვის...
დაადასტურა:
დრომ,
ცხოვრებამ, –
რამდენჯერ,
თაღხად?!..
იმპერიები
ალიგავნენ, –
პირისგან
მინის...
1. IX. 2016

რატომ?!..

რატომ ჰგონიათ
ზესული –
ციდა?!..
შორს ვუმზერ
კოსმოსს, –
სამზერს
და... რა შორს!..
ძირს ჩამოვიტან
ვარსკვლავებს, –
ციდან...
ზღვას,
ოკეანეს –
ნამში,
დავაშრობ...
7. X. 2018

სიბრძნეთა
სიბრძნე...

სიბრძნეთა
სიბრძნე –
ერთი,
მინდა ვთქვა:
ხალხთა,
ერთა:
თუ, დაივიწყე –
ღმერთი,
არ ესსომები –
ღმერთსაც...
1. X. 2018

აი, – მთავარი –
ის არი...

ვინ – ღამის,
ვინ კი –
მზის არი,
ვინ აიცილებს –
ვის ტყვიას?..
აი, – მთავარი –
ის არი:
ხვალისთვის,
რასაც
იტყვიან...
26. IX. 2018

შენთან ვარ,
როჯა...¹

სიცოცხლე ჩემი –
ზე – ცამდე,
ასნი,
შენს სულის კოსმოსს
ყოველ წამს –
ვლოცავ...
ამზევებული ვარ –
შენით,
ასნილ...
და... ბედნიერი, –
შენთან ვარ,
როცა...
2. X. 2018

¹ ბრიტანელ მედიკოსთა
სენსაციური განცხადებით
საყვარელი ადამიანის გვერდით
ყოფნას – ინფარქტისაგან და
სიკვდილისაგან ხსნაც
კი შეუძლია.



იწოდეთ უნდა...

იცოდეთ უნდა:
ავის,
კარგის, –
წერტილი ათელის,
თუ, რამ,
ხდება და...
ან, მოხდება,
განსაჯეთ, –
თავად...
ზოგჯერ, –
არნივი დაეშვება
სივრცემდე ქათმის,
ქათამი – ცაში, –
არნივამდე,
ვერასდროს
ავა...
5. V. 2018

აგერ!!!

აგერ – სკამი...
აგერ – ფული...
კარიერა?!..
აგერ – სახლი?!
ინტრიგებზე
აგებული,
ბოლოს, –
ბზეთავს
ქვაზე ახლის...
31. VIII. 2018

რად მოდის ასე?!..

რია – ცუდი?!..
და... ეგზომ,
ცუდი?!..
არსთა
არსიდან –
რად მოდის
ასე?!..
სანამდე იყოს
სოფელი, –
წუთის:
მორიელებით,
გველებით
სავსე?!..
4. IX. 2018

არაფერი – არ შეჩვენა არვის...

რა მაცებს? –
ვითარ – სივრცე, –
ანაფრენი:
მზის,
მთვარის და...
მირიადი –
ქარვის...
არ იციან:
ანტი-მანტი, –
არაფერი,
არაფერი
არ შეჩვენა –
არვის...
3. IX. 2018

ტკივილი...

დრო –
ბევრი დევის
ნაფეხურს ნაშლის,
ნაშლის –
სუყველა,
სიავით მქარგველს...
ერთი ტკივილი
ნამყვება –
ცაში, –
მამულს
რა ცოტა
სიკეთე ვარგე...
2. IX. 2018

კარიერიზმის წოფი... *1

მოესწრო, ვინაც –
თავად, –
დროის სატანურ
ფოფინს...
ფარული:
ომი...
დავა...
სიკვდილი...
ცილის –
თოფი...

1 ზურაბ მაისურაძის წიგნის:
„აღსარება სიცილის
ლმერთთან“, ანარეკლი.

და... იყო „ცეკა“ –
ავად, –
კარიერიზმის
ცოფით...
P.S..
ვაძლევდით –
სისხლს,
ცრემლს,
არ – სულს, –
კაენის მზაკვრულ
წარსულს...
3. IX. 2018

რაც უნდა იყოს...

უძნელესია –
შენმა ზნემ
გრიყოს, –
დაგადნოს, თვითონ, –
დულილმა,
ბორკვამ...
უუწინარეს, –
რაც უნდა
იყოს,
შურმა და...
ბოლმამ –
არ უნდა
მოგკლას...
4. IX. 2018

პარადოქსი...

მიმოვედებით, ხან –
ოკროს,
ბოკროს, –
როდესაც... ბუმბულს
დავეძებთ –
ქვაში...
ჩვენ –
სკორეს
თუკი დავარქმევთ
ოქროს,
თვით, – ოქროს
რალა ვუნოდოთ, –
მამინ?!..
7. IX. 2018



ყნინ...

ვინა ვართ?..
 რა ვართ?..
 რა – სხვა და...
 რა – მე?..
 ქარაფშუტობას –
 გზა
 სიბრძნით
 ვუნვი...
 შემრცხვება –
 თუკი,
 როდესმე,
 რამე,
 ჩემი თავისა
 შემრცხვება, –
 უნინ...
10. IX. 2018

მართონი...

თუ, –
 სტრიქონებში
 სიბრძნე არა თოვს,
 არ არის –
 მზის და...
 განცდის
 დამდენი...
 განგება მართავს –
 ლექსის მართონს
 და... იჭაჭება –
 ფუჭად,
 რამდენი?!..
27. VIII. 2018

როდის?!..

*რემინისცენცია და
 პერსევერაცია –
 გალაკტიონის...*

დრო, რომ ზეობს –
 დაზაფრული, –
 დაზაფრული
 რო დის,
 ვიცი... მოვა –
 გაზაფხული,
 მოვა, მაგრამ...
 როდის?!..
26. II. 2019

უსინდისობის:

არის –

მწვერვალი...

ლექსია: ზოგთა, –
 თითქოს,
 ჰა... და... ჰა...
 სინდის-ნამუსის –
 ვფიცავ,
 ვნერ – ვალით...
 ეს, – კონკურსები –
 ზოგჯერ,
 ხანდახან,
 უსინდისობის:
 არის –
 მწვერვალი...
1. IV. 2019

ვფიქვ...

თუნდ, –
 ერთი წამით,
 სულ, –
 ერთი წამით,
 რომ გავიფიქრო –
 სიკეთის
 ვნება,
 ვფიცავ:
 მზეს,
 უფალს,
 დაო და
 ძამი,
 მე – თავს
 არ მივცემ:
 სიცოცხლის
 ნებას...
10. III. 2019

ხან...

ხან, –
 გვინევს, – ეგ ზომ,
 თმენა – ჭირთა,
 ვაი და...
 ვუი...
 უფალი სწყალობს:
 უფრო,
 მეტად,
 ღირსებით მდიდრებს...
 ხან, –

დამარცხება –
 სასწავლო, უფრორე, –
 ჭკუის,
 გამარჯვება და...
 გამარჯვების
 ზეიმი, – ვიდრე...
3. III. 2019

სიყვარული...

უსიყვარულოდ:
 ვჭკნებით,
 ვერებით, –
 ცივი და
 ქუში...
 ტკივილს,
 სევდას და...
 ჯვარცმულ ფიქრებს
 ვიმენებთ სახლად...
 თუ, –
 ჭემმარიტი სიყვარული
 გვენვევა –
 გულში,
 სიყვარული, ხომ –
 სვედიადი
 სიცოცხლე გახლავთ...
7. III. 2019

სიწოცხლე, თუა, – სიწოცხლე ერქვას...

მოვეუხმოთ:
 სიბრძნის,
 სიკეთის ერქვანს,
 არ უნდა მოვეკვდეთ:
 სიკვდილით, –
 ორით...
 სიწოცხლე, თუა, –
 სიწოცხლე ერქვას, –
 არ უნდა ვიყოთ:
 ცოცხალი
 მძორი...
8. III. 2019

უკვდავება...

ვრცელ, სამზეოზე
 სიყვარულის –
 დამთეს და...





დამტევს,
შავებმა –
შარით მოუნდომეს
კოცონზე
დანვა...
მაგრამ... სიკვდილი –
ვერსაიდან,
ვერ შესწვდა
დანტეს
და... აკლდამაში,
დანტეს ნაცვლად,
სიკვდილი
დანვა...

6. III. 2019

აროდეს გავრვლი...

სიცოცხლე –
თუმცა,
წამებით მიდის, –
წლების,
თვეების,
დღეების ძარცვით...
მე – ჩემს:
სიყვარულს,
სიმართლეს,
სინდისს,
მილიარდებზე –
აროდეს გავრვლი...
28. II. 2019

როგორც, პეტეფი – გაფრენილ ყანჩას...

მამულზე –
ტკივილს,
დარდს და ფიქრს
ვისევ,
ვშფოთავ...
სიმშვიდე –
არა და... არ ჩანს...
სიმშვიდეს ქვეყნის –
შევნატრი, –
ისე,
როგორც, პეტეფი –
გაფრენილ ყანჩას...
2. III. 2019

გული რად კვლავ, – ზენიტის განწყობის... ოხერი?!..

ხალხურ კილოზე

დღეს, –
საქმის დროა,
საქვეყნო,
მატების,
არა – კლებისა...
საქმე მწამს –
საქმის დასტური,
არ – ფუჭი, –
არაკებისა...

P.S..

როცა ვუყურებ
ჩემს მამულს,
ეს გული –
რაად კვდებისა?..
რომ... ვერა ვარგე –
სიცოცხლით,
არც –
წასვლით
დააკლდებისა...
28. X. 2000

რამდენია – ფეხადგმული ტყალეტი?!..

გაგვიმრავლდა:
დათვი...
მგელი...
მელა...
ვირთხა...
ფულზე ფიქრობს, –
მარტო,
ძილშიც,
ტურა – რეტი...
მე, თუ, მკითხავთ,
და... სიმართლე
თუ, გსურთ, –
გითხრათ,
რამდენია –
ფეხადგმული
ტყალეტი?!..
5. III. 2019

უუნეტარეს
განვიცდი ზენიტს, –
ხატავს, როდესაც –
ბუნება
აპრილს...
როდესაც –
სხივთა
წვიმაა ზენით,
ხოლო, –
მინაზე –
ხალიჩა ზღაპრის...

P.S..

ცვლა დგება
როცა –
სამყაროს სცენის, –
სიცილის მზის, თუ –
ნისლების აფრის...
დრო მოდის, როცა –
კაემნის ცვენის
და... სიყვარულის
გიზგიზის, –
მძაფრის...

უყნინარეს...

უმალ შეატყობთ, –
სასიკეთოდ,
ამ ორ ცვლილებას –
გამოცდილებით
ცოდნა რომ არს
განძი, – სრულიად,
ვინც –
არ ეყრდნობა:
ცოდნასა და
გამოცდილებას,
ბრძენთაგან თქმულა –
ის, –
უთუოდ,
განწირულია...

P.S..

საქმე წინ მიჰყავს
ამ ორ ძალას, –
ამ ორ ცვლილებას:
უყნინარეს, –
ცოდნასა და...
გამოცდილებას...



ვიყოფეთ უნდა...

ვიყოფეთ უნდა:
 უმთავრესი
 რა არის –
 ყოვლის?
 ფასი – ავ-კარგის, –
 დარის,
 ქარის,
 ნვიმის, თუ –
 თოვლის...
 უკეთესია – უკეთესზე, –
 რომელი,
 რომლის?
 ძებნით –
 სიკეთის სიდიადის,
 კოსმოსზეც
 მოვლით...

1.P.S..
 სიმართლე არის –
 სიდიადე, –
 წინარე – ყოვლის,
 სიყვარულია –
 სიდიადე, –
 წინარე – ყოვლის,
 სიკეთე არის –
 სიდიადე, –
 წინარე – ყოვლის,
 ღირსება არის –
 სიდიადე, –
 წინარე – ყოვლის.

2.P.S..
 სულის მზე არის –
 სიდიადე, –
 წინარე – ყოვლის,
 გულის მზე არის –
 სიდიადე, –
 წინარე-ყოვლის,
 ზედიადია –
 მათ, თუ, ვხედავთ:
 მზესავით მოვლილს...
3. III. 2019

ფანტაზია...

ზოგს ნებავს:
 ფუჭი
 ფანტაზია –
 ჰაერზე წეროს,
 და... უცნაური ოცნებებით,
 სურვილი ეწვის, –

სურს –
 დასაჭერად,
 ცის გუმბათზე,
 მისდინოს წეროს,
 მღელვარე ზღვიდან
 ამოილოს –
 თრითინას ბენვი...
12. III. 2019

ვინ?!..

დაკრძალეს, როცა –
 სისპეტაკე,
 დრო შავად
 მოდნა...
 ეს, – ასე იყო...
 ვფიცავ:
 ამ გულს,
 ამ მინას,
 ამ მზეს...
 ფეხქვეშ გაიგდეს –
 სიმართლე და...
 სინდისიც...
 ცოდნაც...
 ხომ გვახსოვს ყველას:
 რით?!.. და...
 ვისით?!..
 ვინ ისხდნენ
 სკამზე?!..

P.S..
 ვინ იყვნენ:
 მართლა,
 გულით,
 საქმით –
 კომუნისტები...
 და... ვინ კი –
 ეშმას
 სულგამძვრალი
 კლოუნისტები...
 ვინ?!..
15. III. 2018

ღიადი სული...

ვის –
 ღამის სული
 და... ვის კი –
 მზის ჰყვია,
 მნამს,
 ეს აზრია –
 სიმართლით,

სრული, –
 სიდიადეზე
 თუ, დავძრავთ
 სიტყვას,
 დიადს ქმნის –
 მხოლოდ,
 დიადი
 სული...
25. XII. 2018

სასაყილოც და...

სატირალიც...

უფრო დიადი
 სხვა რა არის? –
 ცოდნით რომ
 უფლობ...
 და... არ იტყვიან:
 მწყემსი სჯობსო –
 ნახირის,
 ჯოგის...
 სასაცილოც და...
 სატირალიც
 რა არის, –
 უფრო?! –
 დღეს, –
 დოქტორი და...
 პროფესორი
 რო არის –
 ზოგი?!..
9. IX. 1999

თუ, რამეს ვტირი, –

ახლა...

ვის –
 სინდისი აქვს
 დახლად...
 და... დროა,
 ვითარ –
 ტირი...
 თუ, რამეს ვტირი, –
 ახლა,
 ჩვენს შეცდომებზე
 ვტირი...
22. XII. 2018



ნუთუ?!..

თითქოს, –
სიბრძნის წილ,
ბნედა ვინამეთ?!..

და...

ველარ გვწვდება:
უფლის,
მზის ცხრილი...

ნუთუ, –
ამ, –

უვრცეს,
დედამინაზე:
გაქრა – ღირსება,
გაქრა – სირცხვილი?!..
3. III. 2018

მხოლოდ და...

მხოლოდ –

შენით...

შენზე ფიქრს, –
არ მსურს –
წამიც
ავყარო...
უფალი არის
ამის თავდებად...
შენით იწყება –
ჩემთვის,
სამყარო...
და... ისევ,
მხოლოდ,
შენით მთავრდება...
16. III. 2018

დროა:

მხვეჭელის,

ყაჩაღის,

ქურდის...

ვის ახურია, –
მითხარით,
ახლა,
თავზე:
სინდისის,
ნამუსის ქუდი?!..
არის –

სირცხვილის ტყვიების
დახლა...

დროა:
მხვეჭელის,
ყაჩაღის,
ქურდის...
20. I. 2002

ხელისუფლება...

ხელისუფლება –
ალხი და...
მაღხი,
ვის უნდა –
ცრუ და
მთესველი
ალხთა?!..
ხელისუფლება
თუ, არის –
ხალხის,
ცოცხლობდეს
ხალხით
და... იყოს –
ხალხთან...
21. I. 2007

XXI საუკუნის

მონობა...

ვამბობ, –
სათქმელად,
რასაც –
გული თვლის,
მე –
ვერ ვიქცევი:
ლოდად და...
ხედა...
დღეს –
პლანეტაზე,
ლუკმა
პურისთვის,
ნებაყოფლობით,
მონობას
ვხედავ...
13. II. 2019

სანამ?!..

სანამ: ვითარ,
ჯორის ტლინკვა?!..
სანამ:
ყვავი – ცრუ?!.. პარია?!..
სანამ:

მზის ქვეშ,
პოლიტიკა,
„გიჟი –
თავისუფალი?!..“
2. II. 2019

ენების წოდება...

ენას ვიყენებთ –
სათქმელის
ლანგრად,
და... სიბრძნეს ვუხმობთ, –
აზრის –
ზარნიშად...
ენების ცოდნა –
კარგია,
მაგრამ...
იგი –
ცოდნას და...
სიბრძნეს
არ ნიშნავს...
7. III. 2019

გასაკვირველი...

გასაოცარი...

*იოჰან ვოლფგანგ
გოეთეს*

შენს სიბრძნეს
ლოცავს:
ჩლუნგიც,
უგრძნესიც, –
ლამის, მოესხას
ქვასაც – მოცხარი...
„ფაუსტი“ იყავ
და... ხარ –
უბრძნესი, –
გასაკვირველი,
გასაოცარი...
8 IV. 2019

სულელი...

ვართ ბედნიერი:
ცამ, თუ,
აზრის –
მოგვმადლა ძღვენი,
უაზრო სიტყვა –
სიჩერჩეტის
და...



სიბრძნის –
ზღვარს შლის...
სულელი –
სანამ,
ჩუმად არის,
ჰგონიათ ბრძენი,
თუ, დაძრა ენა –
სიჩერჩეტის,
ბანაობს
ზღვაში...
4. IV. 2019

ნეტავ...

გაუცხოება არის –
ნიგნთა...
და... დროის –
ლლეთა...
სადლა –
ცოდნის მონყურება?! –
გულს, რაიც
მძიძგნის...
საქართველოშიც
დაანესონ –
სასჯელად, –
ნეტავ,
სასჯელის ნაცვლად,
ნაკითხონ –
თუნდ, – ერთი
ნიგნი...¹
15. II. 2019

ნუთუ?!..

მწერი მწერლებით –
მზის სანთელი
რატომ გვიქრება?! –
ლაქუც-ქიციანი:
ხალხს,
ქვეყანას,
ყველა დროში ვნებს...
ასე – ყოფილა,
მაგრამ...
ნუთუ...
ასე – იქნება?! –
დაფნით, რომ რთავენ:
განა – ლომებს?!..
მეფის – გომიებს?!..
13. IV. 2010

1 თურქეთში, სასამართლოს მიერ, დასჯის ერთ-ერთი საშუალებაა – დამნაშავეს მიუსაჯონ ნიგნების კითხვა.

სახარება და... ბიბლია, ვითარ...

უფლისგან, რაიც –
მინით და...
ცით არს,
მარგალიტებად
ვამძივებ, –
ახლა...
სახარება და...
ბიბლია,
ვითარ,
მზეპოეზია –
ზესიბრძნე
გახლავთ...²
8. IV. 2019

ნრუნუნას – კატა ჰგონია: ლომი...

დავითის სიბრძნეს
აროდეს ვჩემობ,
მაგრამ... თუ –
აზრთა:
ბრძოლაა,
ომი,
ერთს ვიტყვი, –
მხოლოდ,
კარგებო, ჩემო,
ნრუნუნას –
კატა ჰგონია:
ლომი...
1. IV. 2019

ვიჯრ...

მინამ – მინას
გული მისცა,
გული მისცა
ცამ – ცას,
შენ, რომ:
ტყვიად მესვრი
სიტყვებს, –

2 რასაც პოეტი ღვთის შთაგონებით წერს, ყველაფერი მშვენიერია“. დემოკრიტე „ლექსების თხზვა ღვთისმსახურებასთან ძალზე ახლოსაა“. ანატოლ ფრანსი

ამ საუბრით,
ამ წამს,
გავა დრო და...
ვიცი, ბევრჯერ,
დაასველებ –
წამწამს...
14. III. 2019

მე ქედს სიყვარულის მოვუხრი, მარტო...

ცხოვრება, თურმე,
ყოფილა –
ქარი, –
ვის – მზემდი
ასწევს,
ვის – ცრემლით
აღტობს...
ქედს არ მოვუხრი
სიკვდილსაც, –
არ-რით,
მე ქედს
სიყვარულს მოვუხრი, –
მარტო...
24. III. 2019

ზენიტი...

ვლოცავთ,
ვესწრაფვით:
ციდან – აისებს, –
იმედით,
რწმენით –
ამო ცვლილების...
ნელთა მზე არის –
სიდარბაისლე, –
ზენიტი:
ცოდნის,
გამოცდილების...
2. IV. 2019

მინისტრი...

რატომ ვიარეთ:
ბორძიკით?!..
ბორგვით?!..
რად უნდა ახსნა?! –
მისნის და...





მოგვის?!..
 მინისტრით, –
 თუკი,
 ვამაყობთ, –
 ზოგით,
 ალკაპონია –
 ნამდვილი, –
 ზოგი...
4. IV. 2019

რატომ?!..

რატომ?!.. და...

რატომ?!..

ქვეყანამ –
 ჯვარცმით
 რატომ იარა?!..
 რატომ ენამა?!..
 და...
 რატომ უჭირს?!..
 იმიტომ... რადგან –
 თავით კი არა,
 ფიქრობდნენ:
 ჯიბით...
 მუცლით... და...
 კუჭით?!..
2. IV. 2019

რა ეშველება?!..

მზე ჩაგვიქრება –
 მარადისად?!..
 ნუთუ,
 მრგვალი ცის?!..
 დღეს ვართ:
 რა ფიქრით?!..
 რა სვით?!..
 რა გზით?!..
 რა ზნით?!..
 რა მწარით?!..
 რა ეშველება:
 ამ ქვეყანას, –
 მგლობით?!..
 არ ვიცო,
 დავდივარ:
 დარდით მოხარშული,
 დარდით
 დამწვარი...
15. V. 2012



რად არ იციან?!..

რად ვერ მიხვდნენ?!..

არ ესმით?!..

რატომ?!..

ნუთუ, – არ იცის:
 ევროსაბჭომ,
 გაერომ,
 ნატომ?! –
 ჭეშმარიტება ვთქვა:
 მესაედ,
 თუ, ნებავთ,
 სრული –
 რად არ იციან?!..
 რად ვერ მიხვდნენ?!..
 არ ესმით?!..
 რატომ?!..
 დღეს, –
 უწინარეს,
 პლანეტაზე,
 მტერია –
 ფული!!!¹
12. III. 2019

სად არი?!..

ვინ არ ესწრაფვის
 საქმეს, –
 ნამშვენებს?! –
 რომ იყოს –
 უფლის
 და... მზის
 სადარი?..
 დემოკრატიას
 ვინ არ
 აშენებს?!..
 მაგრამ...
 მითხარით –
 მაინც, –
 სად არი?!..
3. VII. 2018

დასაწანია...

მე, – რასაც ვფიქრობ,
 ის, როდი ჰგავს –
 უბრალო
 წინვებს?..
 ამ –

1 სანამ ფული, მხოლოდ,
 სახელმწიფოს ხელში არ
 მოექცევა, მონათმფლობელობა
 და მონობა არ მოისპობა...

ფიქრში,
 დარდში,
 დღეებს... ხშირად...
 განცდით,
 მინვავს მზე...
 დასაწანია, ეგ ზომ,
 ზოგი –
 მინის ქვეშ
 ინვეს,
 ხოლო, – ზოგი კი,
 დადიოდეს –
 მალა, –
 მინაზე...
31. XII. 2018

შეცდომა...

შეცდომას უშვებს –
 ოდით,
 ზოგჯერ,
 ახალიც... ძველიც...
 ზოგს, –
 შეცდომები,
 ბედისწერად ექცევა, –
 ბოლოს...
 თავის შეცდომას
 აღიარებს –
 ჭკვიანი,
 ბრძენი,
 არ აღიარებს, –
 არასოდეს,
 სულელი, –
 მხოლოდ...²
26. VIII. 2018

ვამაყობ, –

ძლიერ...

სიბრძნეც,
 სიკეთეც,
 სიყვარულიც –
 ტაოს დამაყრის,
 სულის წარმწყმედელს
 და... წარმხოცელს –
 მე,
 ჩემში,
 ვძლიე...
 ვინ თქვა?! –

2 „თავის შეცდომებს გიჟები
 არ აღიარებენ, მხოლოდ.“
 ციციერონი

მინაზე, რომ დავდივარ,
არ ვარ ამაყი?!..

გულის მზითა და...
ქართველობით –
ვამაყოფ, –
ძლიერ!!!..

14. XI. 2018

სტალინი-კობა –

სახელით თუშის¹

ნასული წლები
ხსოვნაში
ელავს,
კარგია ხსოვნა, –
ფრთებს –
ისევ,
თუ, შლის...
სტუმრობდა კობა –
ერეკლეს
თელავს, –
თექით და
ქუდით,
სახელით –
თუშის...

27. VIII. 2018

სკოშს...

ხან, – დრო –
ამაო თამაშით
გვართობს...
და... ვფიქრობთ –
დროში
ბედი ერევა...
სჯობს, –
ჩვენი თავი
ჩვენ, თვითონ,
ემართოთ...
და...
დროს ნავართვათ –
ბედნიერება...

24. XI. 2018

¹ „ამხანაგი კობა გაგვაცნო
ლევანა ძამუკაშვილმა,
როგორც – თბილისიდან
ჩამოსული თუში. მას
ტანზე ეცვა თუშური
თექა, თავზე ეხურა
თუშური ქუდი, ფეხებზე
ეცვა პაჭიჭები“...
თენგიზ სიმაშვილის
ნიგნიდან „თელავი“.

ჩემო, ძვირფასო...

ჩემი ფიქრები:
ხან, –
ცას სწვდება,
ხან, –
დადის მთა-მთა,
ხან, –
ღრუბელია, –
საავდრო და...
ხან, –
მზედ კისკასობს...
მინდა, რომ იყო –
ჩემთან,
როგორც –
საკუთარ თავთან, –
ჩემო, ოცნებავ,
ჩემო, ნატვრავ,
ჩემო, ძვირფასო...

11. XI. 2018

დიდგორი და...

შამქორი...

სანამ?! – დარდით:
ბნედა,
ნვა და...
აგონია?!..
სანამ?! – დარდით:
სულიც,
გულიც – მტკივანი?!..
ქვეყნის მართვა –
ზოგს, –
ქეიფი
რად ჰგონია?! –
კაბინეტი,
დივანი და...
მდივანი?!..

P.S..

მართვა –
ვინ თქვა:
იოლი და...
ადვილი?!..
დიდგორი და...
შამქორია, –
ნამდვილი...

23. V. 2008



თუ...

მე –
სიყვარული
ექსოვე, ვითარ,
ჯაჭვის
პერანგი,
და... რასაც გეტყვი,
მარადისად,
ნეტავ, გახსოვდეს...
დღეს,
თუ,
დამკარგავ,
ველარ მნახავ,
ვერსად,
ვერა გზით,
ველარ შემხვდები,
ვერ მიპოვი, –
ველარასოდეს...

17. XI. 2018

შვილი...

ხორნაბუჯს ჰკითხეთ,
გნებავთ –
ხანძთას,
ხიხანს და
ხერთვისს,
ვინ –
შვილით მზეობს,
ვის კი, –
ჭირის უწევს –
ატანა...
ნეტარებაა შვილი, –
ზოგი,
ვითარცა –
ღმერთი,
ნურავინ მიწყენს,
რომ ვთქვა:
ზოგი არის –
სატანა...

21. XI. 2018

თუკი გნამთ –

ღმერთი...

მანვალეებს კითხვა, –
დღედაღამე...
და... ეგ ზომ,
ცხარი, –
კითხვაც და
განცდაც,





ფიქრიც, ლამის,
ზე-კოსმოსს
ერთვის...
მგლის მეგობარი,
ვით იქნება –
ბეკეკა?!..
ცხვარი?!..
თუკი გნამთ –
ლმერთი,
ამიხსენით,
მითხარით, –
ერთი?!..
6. XI. 2018

ხომ, ხდება?!..

თუმც, –
ვისმენტ ძრახვას:
მინის და
ცისიც –
ავსულთ ათასი
ხრიკის და
ფანდის,..
ხან, –
ცხოვრებაში,
ხომ, ხდება –
ისიც:
საქვეყნოდ, –
ფანდი,
რომ გადის –
ბანდის?!..
17. XII. 2018

ხომ გახსოვთ?!..

ხომ გახსოვთ?!..
განძი
ვინ, რა გზით,
მკიან?!..
დრო, როცა იყო –
სინდისის
ლეჭვის...
ზეობდენ:
სიბრძნით,
ღირსებით –
კი არ?!..
ქვეყნის და
ხალხის –
ძარცვით და
ხვეჭით?!..
23. III. 2019



შეგონება...

გულზე –
ტკივილს და...
ურვას, რომ
ვისევთ,
მგელს –
რატომ ვაძლევთ
დავის უფლებას?!..
მგლისთვის –
აღვირი სჯობია, –
ისევ,
აღვირანყვეტილ
თავისუფლებას...
24. II. 2019

უფლის ტაძარში

მზესავით შეხვალ...

*ლექს-სანთელი –
მანანა ჯიბლაშვილის
მარადიულ ხსოვნას.*

სული –
სპეტაკი,
ღვთაებრივი, –
აროდეს ივნე...
უფლის ტაძარში –
სხივოსანი,
მზესავით შეხვალ...
ცის ქვეშ, –
მინაზე,
თუ არსებობს,
ქალღმერთი, –
ვინმე,
უსათნოესი, –
ერთადერთი,
ეს, –
მხოლოდ,
შენ ხარ...
31. X. 2006

აღამიანი – ღორი...

დღეს, კვლავ, –
რამდენი,
ვანდალი არი:
უნიღბოდ – ერთი
და... ნიღბით – ორი, –
სახე აქვს –
რამდენს,

აღამიანის,
მაგრამ...
სული აქვს –
ნამდვილი ღორის...
9. XII. 2018

შეწლომა ჩვენი:

დაგვცემს და...

დაგვცვრის...

ბედსა და
უფალს
ნუ ვემდურებით,
სიყვარულს –
მზე, თუ,
არ უძღვის
აზრის,
გზა ხდება:
ურვის, –
უბედურების...
შეცდომა ჩვენი:
დაგვცემს და...
დაგვცვრის...
13. II. 2019

ვიწოდეთ:

მართლის,

მარადის,

ერთი...

ვიცოდეთ:
მართლის,
მარადის,
ერთი:
რა გვშველის,
რა გვშლის,
რა გვტანჯავს,
რა გვსჯის?!..
გზა – სიყვარულის –
სიბრძნეა, –
ღმერთის,
გზა – სიძულვილის –
ქუფრეთი
ქაჯის...
14. II. 2019



ხან...

ხან, –
საშველი
არის – არსით,
ძმა – სად არი?!..
და – სად არი?!..
ხან, –
ცხოვრება
ხდება არსით –
ჯოჯოხეთის
დასადარი...
12. XII. 2018

ქართველი...

ქართველი მხნეა,
მამაცი, –
ოდით...
და... თანაც:
ბრძენი,
უბრალო,
სადა...
კომპეტიტი,
ტადრით,
ქობით, თუ –
ოდით,
მასპინძელს, –
მისებრს,
მონახავთ –
სადა?!..
1. X. 2018

თეატრში –

ნეტავ,

ვინლა შედის?!..

უკადრებელი, –
ცხოვრებაში,
რა აღარ –
გვკადრეს?! –
ცეცხლოდებული, –
განცდის,
ყველა
ნერვით ვენთები...
თეატრში –
ნეტავ,
ვინლა შედის?! –
ხომ, ვბრძანე, –
ადრეც?..

მსახიობებად,
რადგან, იქცნენ –
პრეზიდენტებიც...
9. III. 2009

ლექსი

მე მნამს...

სიბრძნე, –
ვითარ,
მზით ნაქარგი
მნამს აული...
განა, –
ლექსის –
ნისლ-ღრუბელი? –
ცად რომ წასვეს?!..
ლექსი
მე მნამს:
პოეზიის
სასწაული,
არ –
რეზუსის,
ინეგმების¹
ბინდით სავსე?!..
9. IX. 2018

ძალიან მიყვარს

პარიზელები...

ძალიან მიყვარს, –
ლმერთი და...
რფული, –
სულით
მზით სავსე
პარიზელები...
ტალიერანის –
არაფრით
ჯურის,
არც –
ფუმესავით
ფარისეველები...

P.S..

აქ, –
არვის უყვარს:
მონები –
ურვის, –
მსგავსნი ქარის და...
ქარის მძევლები...
24. XII. 2018

¹ ინეგმა, – ინეგმატიკური,
გამოუცნობი, საიდუმლოებით
მოცული, ანუ, პოეზიაში –
იქსი და იგრეკი...

იტალია...

ჩემი ფიქრ-განცდა
ამ მზის ცალია,
მსურს ავცდე –
გულზე,
კაემნის დახლას...
მსოფლიო მიყვარს
და... იტალია –
ჩემი ოცნების
სამოთხე გახლავთ...
3. III. 2019

ხომ, ვიცით?..

ხომ, ვიცით, –
როგორ,
უსამართლოდ,
დასაჯეს ბრუნო?..
გულში –
ეულკანი მინთია და...
ცეცხლს
ცეცხლი ერთვის...
ცხოვრების ეტლი –
უგნურთაგან,
უკულმა ბრუნავს...
ისიც, ხომ, ვიცით:
ხან, –
ათასებს,
სჯობია – ერთი...
9. II. 2019

ლექსს, როცა –

ვამბობ...

ტორტმანებს მინაც
და... ზეცაც, –
თითქოს...
ლექსს, როცა ვამბობ,
გული –
მზედ
მიცემს...
მინდა, რომ შუბლი –
ცვარ-ნამმა
ხვითქოს...
ლექს-ცეცხლით
ლამის
გადაწვა –
სივრცე...
3. X. 2018



მონები...

ეს მიწა, რაიც –
 მზეს, ირგვლივ,
 უვლის,
 ვინ ვართ? –
 ვინ – ღამის
 ვინ – მზის
 გონებით?..
 ვინ:
 ტახტის,
 სკამის,
 ჩინის და...
 ფულის?!..
 ვინ – სინდისის და...
 სიბრძნის
 მონები?!..
31. III. 2019

თუ, რამ, მწამს...

ღირსებამ, ოდით,
 ჯვარცმით იარა,
 მტერზე უმტრესი
 ესია, –
 ირგვლივ...
 თუ, რამ,
 მწამს, –
 ქვეყნად,
 მეფის კი არა,
 დაიდგამს ვინაც –
 ღირსების
 გვირგვინს...
7. I. 2018

ყური დავუგდოთ – ახლა, წიწრონს...¹

გული –
 მამულზე ფიქრში
 ილია,
 ჩემო დეკავ და
 ჩემო ცირცელო,

1 „ჩვენთვის, – ძვირფასია:
 მშობლები, შვილები,
 ნათესავები და ახლობლები,
 მაგრამ... სიყვარულზე
 წარმოდგენა თავს იყრის
 ერთ სიტყვაში: სამშობლო“...
 ციციერონი

ვიციტ –
 რაიც თქვა
 დიდმა
 ილიამ,
 ყური დავუგდოთ –
 ახლა,
 ციციერონს...
30. VII. 2018

რატომ?!..

ათასი – რატომ?!..

გენმა – ქართულმა
 ჯოჯოხეთის
 კალო გალენა, –
 რატომ ვაქრობდეთ?!..
 რატომ ვკლავდეთ?!..
 რატომ ვკრულავდეთ?!..
 ანდა, –
 რა ვუთხრა:
 ისეთ – ყაჩაღს,
 ისეთ – გარენარს? –
 ვისაც –
 მამული
 არ მოჰკიდებს
 გულზე – ჟრუანტელს?!..
18. VI. 2018

არსი –

სიწოცხლის...

ვარდია, სადაც:
 იქ, არის –
 ძეძვიც...
 ჩვენ –
 მოძრაობით,
 სიკვდილს ვიცოხნით...
 დრო გვებრძვის –
 ჩვენ და...
 ჩვენ კი
 დროს –
 ვებრძვით...
 ბრძოლა არსია –
 ჩვენი სიცოცხლის...
24. VII. 2018

მეფე...

სხივებს:
 ვის – სიბრძნე,
 ვის – ტახტის
 მზე გვფენს,
 ვის – აზრის ძალა,
 ვის – ძალა
 ლახტის?!..
 ვინ – სიბრძნით არის:
 დიადი,
 მეფე,
 ვინ – მხოლოდ,
 როგორც –
 პორფირი, –
 ტახტის...
11. IV. 2019

კმარა!!!..

სიმართლის:
 ჯვარცმა,
 გოლგოთა –
 კმარა,
 სულწამებულთა
 ბედით ვენთებით, –
 არიან, სადაც:
 ხალხის კი
 არა, –
 მგლებს,
 ტურების –
 პრეზიდენტები...
22. IV. 2019

საზრისი...

რამდენს, –
 ამ მზის ქვეშ,
 მოხვეჭისთვის,
 უწყდება –
 ქანცი...
 ძალას –
 რამდენჯერ,
 სიყვარულით,
 ვერვინ ერევა...
 ნურავინ მინყენს, –
 ტახტი,
 ფული,
 ჩინი და



განძი –
არ მიმაჩნია:
არასოდეს,
ბედნიერებად...

P.S..
უფალს ვთხოვ:
ღმერთო,
ჩვენს პლანეტას –
გაგება
მოეც, –
სათნოებაა:
გზა – უფლისა, –
„ანიც“ და...
„ჰოეც“...
10. VII. 2018

სანამდე?!..

სანამდე ვიყოთ:
სათელი, –
მტერთა?!..
ვილევით...
ექრებით...
დღითიდღე...
თან-თან...
ხომ, უნდა ვიყოთ
მართალი:
ღმერთთან?..
მამულთან...
მერე? –
საკუთარ
თავთან?..
20. VII. 2018

აყრილებლად, –

ღაფგება დრო... ღა...

ვფლობთ, ვინაც, –
აზრის:
ქობს,
სრას, თუ,
ოდას,
ჭეშმარიტება –
მზის თვალებს
ახელს...
აუცილებლად, –
დადგება
დრო... და...
დაარქმევს ყველას –
თავთავის
სახელს...
16. IV. 2019

ზოგჯერ...

იცოდე – სემ და
იცოდე – როჯერ,
ხან, –
იცვლის სახეს –
საქმეც, –
დიადი...
დემოკრატიის შუქურა,
ზოგჯერ,
დემოკრატიის ხდება –
წყვიდიადი...

P.S..
არც – ვუმატებ და...
არც – რამეს, ვუკლებ, –
ათენმა,
სპარტამ –
გვასწავლეს, – უკვე...
4. VIII. 2018

ნუთუ?!..

ნუთუ ღა...

ნუთუ?!..

არც – ტელესკოპი,
არც გვინდა – ლუპა,
ნუთუ?!.. და...
ნუთუ –
დღემდი ვერ ვხვდებით?! –
რომ –
საქართველოს,
ერს და...
ხალხს ლუპავს –
შემოგდებული
პრეზიდენტები...
13. VII. 2018

მინცივ...

იოტირ...

ყველა დაებმის,
რაიც არის –
დასაბამი და...
ვინაც მზაკვრობდა –
მალვით,
ანდა –
ყეფდის,
კიოდის...
ვინც –

თავს იტყუებს,
რაც კი მოხდა, –
დასაბამიდან,
გაურკვეველი
არ დარჩება –
მინცივ,
იოტირ...
20. IX. 2018

ჭეშმარიტება...

მინაზე, –
ვინ ვართ –
მზე და... ვინ ქრება?..
სიმართლის
რატომ ვიყოთ –
მქუფრალი?!..
ვერავინ მოკლავს
ჭეშმარიტებას,
რადგან, –
იგია,
როგორც –
უფალი...
27. IX. 2018

ხომ ხდება?..

დროში, ხან,
მეობს –
ულირსი კასტა,
დრო... მერე –
იმათ აღიკვალს
მოგვის...
ხომ ხდება? –
გაშლილ
რიყეზე ქვას და...
ცაზე –
ვარსკვლავებს
ვერ ხედავს, –
ზოგი...
20. IV. 2019

ყველაზე

ბედკრული...

მიზანი, ხან, ჰგავს –
დამსხვრეულ
მინას,



ცხოვრების წიგნით
დავრწმუნდი, –
კარგად...
ბედკრული არის –
ყველაზე, –
ვინაც –
ჭეშმარიტების
გაგებას
კარგავს...
30. IX. 2018

76



მკვდარი...

ვის, რა დრო –
შეხვდა?..
ვის, რა დრო –
ასცდა?..
რამდენ ჯოჯოხეთს
ჰქონია –
რიგი?!..
დაკარგა, ვინაც –
სირცხვილის
განცდა,
დარწმუნდით, –
შეპვი
მკვდარია –
იგი...
1. IV. 2019

სუყველაფერი – ჩვენა ვართ, – თვითონ...

ჩვენ გვინდა –
ჩვენი სიცოცხლე
ფლითონ,
ალარ ისხამდეს
ყანა –
თავთავებს...
სუყველაფერი –
ჩვენა ვართ, –
თვითონ:
ჯოჯოხეთის და...
ჭირის –
სათავე...
19. IV. 2019

თავისუფლება...

თავისუფლების
საზღვარს ეკვრის –
მინცივ,



სხვა ზღვარი,
იქით იწყება:
სისულელის –
ავი ქართა სვლა...
თავისუფლებას
აქვს ღირსების:
მიჯნაც,
საზღვარიც,
თავისუფლება
როდი ნიშნავს:
ზღვარზე გადასვლას?!..

10. II. 2019

გაზომე – ასჯერ...

იცოდე –
მინაც ხედავს და...
სუნთქავს,
გონების თვალით
ცა –
მზემდი ასჯერ...
ანდერძად, –
უბრძნეს წინაპარს
უთქვამს:
გაჭრიდე სანამ,
გაზომე – ასჯერ...
7. IX. 2018

რა ვთქვა?! – სიტყვები არ მყოფნის...

ქვაც კი ქვას
ველარ უკირავს, –
ვინ გახდა მონა,
ვის ზნესი?!..
ქვეყანას მოთხრის, –
თუკი, რამ:
ნარკო და...
სექსის ბიზნესი...

P.S..
დრო მოდის:
ყოფნა, –
არყოფნის,
რა ვთქვა?! –
სიტყვები
არ მყოფნის...
7. III. 2019

აროდეს, არვის...

ციმციმებს, სანამ,
სხივები –
ქარვის,
არსებობს, სანამ,
მზესიბრძნის
ღალა,
არ აპატიებს:
აროდეს,
არვის,
დრო, –
ხალხისა და...
სიმართლის
ღალატს...
3. IX. 2018

სულ, –

სიყვარულში

მინდა დავხარჯო...

არ მწამს:
ცრუ – ვარდი,
ცრუ – მზე,
ცრუ – პალმა,
ცრუ – სიცოცხლე და...
საქმე – სახვანჯო...
ერთი
სიცოცხლე მომცა –
უფალმა,
სულ, –
სიყვარულში
მინდა დავხარჯო...
2. IX. 2018

ქვეყანა კვდება...

მრისხანეა და...
სადაც –
აზრიც და...
სიტყვაც –
ერთი:
ქვეყანა კვდება,
სადაც
ფულმა შეცვალა –
ლმერთი...
18. IV. 2019

თუ, არის –
უფრო,
მაღალი ჭილღო?!..

ბევრია ჯილდო:
ალხის, თუ –
მაღლის...
და... უკვირთ:
ქაჯთაც,
ემშაკთ და...
ჯინთო, –
თქვით:
სიყვარულზე, –
ალალი
ხალხის,
თუ, არის –
უფრო,
მაღალი ჯილდო?!..
28. VII. 2018

„მე“ და
„ჩვენ“...

ჭეშმარიტების –
უნდა გვსურდეს
მზემდე ატანის, –
მითქვამს
ათასჯერ...
და... ვღალადებ
სიბრძნეს, –
უკლისად...
„მე“ არის:
ჩვევა – ბელზებელის,
ჩვევა – სატანის,
„ჩვენ“ არის:
სულის
სიდიადე
და... გზა –
უფლისა...
19. VIII. 2018

მიკვირს...

მაოჯებს...

საწყის –
სასრულით,
მინით,
მზით... ციან...

ანთია, თუკი, –
აზრის
სინათლე,
მიკვირს,
მაოცებს,
რად, არ –
იციან?!..
რომ...
არასოდეს კვდება –
სიმართლე...
23. III. 2018

ტვირთი –
წოდვისა...

რისხვის ისარი –
მიჯრით
მიესო,
იტვირთა ცოდვა –
ათას ერთი და...
მშობელმა ხალხმა,
როცა –
იესო,
გამოაძევა
ნაზარეთიდან...
17. VIII. 2018

იესო...

მშობელ ხალხს
უნდა აღევილინა –
მარადი
ლოცვა,
მაგრამ... გულგვამნი
დაემსგავსნენ –
ველურ
იელსო...
ნაზარეთიდან გააძევეს
უფალი,
როცა –
ლოცვა-კურთხევა
გაუგზავნა, –
მანც,
იესომ...
25. IX. 2018

უბედურება –
უფრო,
ის არი...

დრო:
ვისთვის –
ლამის,
ვისთვის –
მზის არი,
ყველა ეპოქა
იცვლის
იერსო...
უბედურება –
უფრო,
ის არი:
ისევ აკრავენ
ჯვარზე –
იესოს...
8. VI. 2018

უძნელესზე, –
უძნელესი...

საოცრება:
დაბლა – მიწის,
მაღლა – მრგვალი ცის...
ბევრი, რამ, არის:
უძნელესიც, –
ჰკითხეთ –
მზის ვარდებს,
უძნელესია, –
უძნელესზეც,
თუკი, არ იცი:
ვინ –
უნდა გძულდეს,
ან, –
არ გძულდეს,
ან, – ვინ –
გიყვარდეს?!..
16. IV. 2019

ჭახტზე –
ყაჩაღი...

ზოგია, ვითარ –
ჭერზე
ბრმა ქალი,
ვისაც თვალები
ემშამ აუბა...
ტახტზე, როდესაც



ჯდება –
ყაჩაღი,
უფლის სახელით
ინყებს საუბარს...
10. X. 2010

ქართველად ის მნამს...

ქართველად –
ის მნამს, –
კაემნის მკენეტი,
ვინც –
დარდით სჯობნის
ამ მიწის მკვიდრებს, –
მამულზე
რომ აქვს –
ტკივილი, – მეტი,
ვიდრე – განძი და...
სიმდიდრე – ვიდრე...
16. IX. 2018

არ მნამს – ქართველად...

ვერა გრძნობს,
ვინაც –
დღეის სატკივარს,
ვინ:
დაგვცა...
დაგვწვა...
გაგვცა...
გაგვთელა...
დღეს –
საქართველო,
ვისაც არ სტკივა,
არ მნამს –
ცოცხლად და...
არ მნამს –
ქართველად...

ვერ დაიძინებს ქართველი – ლოგინში...

მომხდური –
საქმით და...
მიზნებით მზაკვრულით,

მტაცებლის –
სურვილით,
საზღვრებს, რომ
მოგვიშლის,
დარდზე და
რისხვაზე
ვიქნებით გაკრული,
ვერ დაიძინებს
ქართველი –
ლოგინში...

ასი, საკირის წუწული მეღება...

თვალიც და გულიც
აქვსო –
ლოდებსაც,
მგლებს –
ზოგჯერ,
თავი მოაქვთ
მტრედებად?!..
უსამართლობა ხდება,
როდესაც –
ასი საკირის
ცეცხლი
მეღება...
30. III. 2010

ვფიწვ...

ვერც –
ერთი, წამი,
ჩემს სხივს
ვერ აშლის, –
ვფიწავ:
ამ მიწას,
ამ მზეს,
დილის მადლს...
ყოველ –
სიტყვაში,
ყოველ –
ბგერაში,
ვდებ:
სიყვარულის
უკვდავ
თილისმას...
14. IV. 2018

სიკეთისთვის – სიწრუესაწ ვენაწვალე...

სიკეთისთვის –
ზენა მოგვთხოვს
ყველას, – ვალებს,
დასაბამით, –
ბოროტება
კმარა...
სიკეთისთვის –
სიცრუესაც
ვენაწვალე,
ხოლო,
ბოროტ სიმართლეს კი –
არა...
20. VI. 2018

აზრი...

აზრს უნდა –
მზისებრ,
ენტოს, –
მიწაზე:
ამ ცის,
იმ ცის...
რა დიადია,
ღმერთო,
მაგრამ...
რა ცოტამ
იცის?!..
10. VI. 2018

დამნაშავეა – ათასჯერ, – უფრო...

ვინც დაამსხვრია
სიმართლის
მინა
არ დაიმალვის,
რაც უნდა
ფუფუნონ...
ავს,
დამნაშავეს
არ დასჯის,
ვინაც,
დამნაშავეა –
ათასჯერ, –
უფრო...



მოგვეტირის
როჯა...

ხან, –
მონატრება
დამაყრის –
ტაოს,
ველარ ვიკავებ
ცრემლების
მორევს...
მოგვეტირის,
როჯა –
კლარჯეთი,
ტაო,
მოგვეტირის,
როჯა –
ტაშირი,
ლორე...

1. P.S..
ფიქრებით ფიქრებს
ამ გულზე
ვფხოჭნი,
მზედ მენატრება
დავითის
დროცა...
მოგვეტირის,
როჯა –
ტუაფსე,
სოჭი,
და... საინგილო
მოგვეტირის,
როჯა...

2. P.S..
სამაჩაბლოს და
აფხაზეთს,
ახლა,
ვინც გვართმევს,
უდრის –
ტყვიების
დახლას...

3. P.S..
რა დაგვრჩა?! –
კუთხე,
კუნჭული,
არე?!..
ჩვენს –
ცეცხლში ყოფნას
დავტირი
მწარედ...
31. VII. 2018

წამი და
საუკუნე...

ცხოვრება ამბობს
ამას –
და... დიდი სიბრძნეც,
ძამა, –
წამს ვაქცევთ –
საუკუნედ...
ხან, –
საუკუნეს –
წამად...
1. VIII. 2018

რად უნდა –
ფიცი?!..

სულის მზე,
სულის სიდიადე
არ უნდა –
კარგო,
ვინც –
რასაც თესავს,
მასვე იმკის,
თუ, გნამს და...
იცი...
თუ, – უფლით მოდის:
სიყვარულიც,
სიმართლეც,
კარგო,
სიყვარულს, –
ნამდვილს
და... ქეშმარიტს
რად უნდა –
ფიცი?!..
16. IV. 2019

მაინც, – სადამდე?!..
მაინც, – როდემდე?!..

ას დარდს ვუსხლტები,
ახლა,
სხვა დამდევის...
და... ტკივილს უნდა –
მუდამ რომ მდევდეს...
განა, – როდემდე?!..
განა, – სადამდე?!..
მაინც, – სადამდე?!..
მაინც, – როდემდე?!..
14. VIII. 2018

ვნუსხვარ...

ცამ –
სიბრძნე, ვისაც
მიმადლა
უხვად,
სიფრთხილზე უნდა,
ვით, – ქვაზე –
მინას...
მე –
რაიც ვიცი,
იმ ცოდნით
ვნუსხვარ,
ბედნიერია,
არ იცის, –
ვინაც...
13. VIII. 2018

შური...

ჰიპერკატრენი –
ვერლიბრით...

შური:
სიავის,
ბოროტების,
შური
სიბნელის,
ნიშანიაო, – ამბობენ და...
ალბათ, ასეა...
ასე ჩათვალეთ,
იგი – ჩემში
მაინც, იბნევა...
და...
შურით სავსე,
გატეხილი,
ვდგავარ, – თასივით...

1. P.S..
არა! არა მშურს, –
არასოდეს,
ვფიცავ... საერთოდ,
სიმდიდრე – სხვისი,
ცოდნა – სხვისი,
და... სილამაზე...
არა! არა მშურს, –
არასოდეს,
ვფიცავ... საერთოდ,
ზევსობა – სხვისი,
პყრობა – ტახტის...
და... სიზვიადე...

2. P.S..
მაგრამ... მშურს, ხოლმე,
თუ,





სხვა არის:
ჩემზე უბრალო,
ალაღი – უფრო,
წრფელი – უფრო,
უფრო – კეთილი...

ტკივილი...

ეს ტკივილი –
მინისა და...
არი ცის,
დაჭრილ მამულს
რად არავინ
ამთელებს?!..
რალა ვუთხრა?!..
და... რა სიტყვა?!..
არ ვიცი:
სულგაყიდულ,
გულგაყიდულ
ქართველებს?!..
16. IX. 2018

უბედურება...

ცხოვრება არის –
ზოგჯერ,
ჯიქი და...
ჩვენ უფალს ვგავართ,
ხან კი –
ლონდრესაც...
უბედურება ხდება –
იქიდან:
განებებებას ვინყებთ,
როდესაც...
21. IX. 2018

სიმართლე...

სიმართლემ –
ავსულთ,
ყველას უყელა, –
სიმართლე მზეს ჰგავს, –
ცით, რომ
ინათლებს...
სიმართლე:
ვითომ,
უყვარს სუყველას,
მაგრამ...
რა ცოტას უყვარს –
სიმართლე?!..
22. IX. 2018



ნეტავ!!!..

*ქართველობის სახეს –
რომეო ფირცხელანს*

ქარ-ცეცხლს რომ
უშვერ –
მაგ, გულის
ფიცარს,
ყოფნა-არყოფნით
მინა რომ –
კივის,
მხოლოდ, –
ქართველი გაიგებს, –
ვფიცავ:
მაგ, გულისა და...
მაგ, სულის
ტკივილს...

P.S..
რამდენს –
ფულმა და
სკამმა უყელა, –
სიზმარშიც –
მხოლოდ,
თავის წრეს
უვლის...
ნეტავ, –
შენსავით,
ჰქონდეს, – სუყველას:
საქართველოსთვის
დამწვარი –
გული!!!..
1. I. 2019

უსაზღვრო

დარდი...

ვერა და...
ველარ დაგვიდგა –
დარი,
გულს ეფინება –
უსაზღვრო დარდი,
რადგან –
სინდისით,
ღირსებით
მკვდარი,
დედამინაზე –
მეფურად დადის...
13. IX. 2018

მე, –

თვითონ...

ჭემმარიტებით, –
ცხრა – მზით,
ცხრა – თვალთ,
მეასედ ვწონი:
ნაწონს და...
ნამზერს...
თუკი, –
მივხვდი, რომ:
არ ვარ –
მართალი,
ჩემ თავს –
მე, –
თვითონ,
გავაკრავ –
ჯვარზე...
23. IX. 2018

გაუზრდელო –

გამზრდელო...

ჭემმარიტება
ხან, არის –
მკაცრი,
მაგრამ... სიბრძნეა, –
ბგერაც კი –
თითო...
მითხარით:
შვილებს
ვით გაზრდის
კაცი?! –
გასაზრდელია,
როდესაც, –
თვითონ?!..
23. IX. 2018

თუ, – გვიყვარს –

წოტნე...

ჩენს პარლამენტარებს

თუ, – მართლა,
გვიყვარს:
მამულიც,
ხალხიც,
ტკივილის, – მათი,
რად არ ვართ
მცოდნე?!..

ხომ, მოგვწონს –
ცოტნე?..
ხომ, გვიყვარს –
ცოტნე?..
მაშინ, –
ჩვენ,
თვითონ,
რად არ ვართ –
ცოტნე?!..
5. X. 2018

რა –
უსაზღვრო და...
სასწაულია...

მინისტვის ხელი
ცას წაუვლია, –
მინიდან
წვდომა
არის – არ-სრული...
რა –
უსაზღვრო და...
სასწაულია:
ირგვლივ, –
კოსმოსის,
საწყის-სასრული?!..
2. IX. 2018

არარაობა...
ბრძენი უბრძენესი
ბრძანებს სიტყვას –
მარადის
მართალს,
ეს სიტყვა გახლავთ,
ვითარ –
უფლის
სიბრძნის
საარი...
ადამიანი –
საკუთარ თავს,
როცა ვერ
მართავს,
არარაობა არის
იგი,
აბა,
რა არი?!..
9. IX. 2018

ოლონდ...
ასეთი არის:
ზოგის – არსი
და...
ზოგის – მრწამსიც, –
სულ,
არ ანალვლებს:
ქვეყნის,
ხალხის –
ნესიც და...
რიგიც –
ოლონდ,
სახრავი მიუგდე და...
ოლონდ,
წინ – წასვი,
სატანავ,
შენი –
მეგობარი გახდება, –
იგი...
13. VII. 2018

სიტყვა და...
საქმე...
სიკეთისათვის –
სიტყვის ქართი,
ვინ –
წამწამს არ ხრის,
და... როდი ცდილობს
მზით შეცვალოს –
დღეები
თაღხი?!..
ვინ –
ვინ არ იბრძვის
დევიზით და
სლოგანით
ხალხის,
მაგრამ... საქმით კი, –
თქვით,
ვის ახსოვს:
ქვეყანაც,
ხალხიც?!..
5. VIII. 2009

ხომ ვიცი, –
ყველაში?..
ხომ ვიცი, –
ყველამ:
ვის – ყრუ-მუნჯი

და...
ვის – ბრმა უნდა?..
სავსეა მიწა:
სისხლისა და
ცრემლის
რუებით...
ხომ ვიცი, –
მისხლით,
მუშტის ქვეყნებს
ვისაც,
რა უნდა?..
უფლის წყალობით, –
არც –
ბრმები ვართ...
და...
არც –
ყრუები...
29. III. 2018

მოდის მტერი...
რაიც ხდება –
მზის ქვეშ,
ახლა,
რატომ გვიკვირს?!..
და... თვალები
რატომ გვაქვს –
ახვეული?!..
მოდის მტერი –
ფულითა და...
ნარკოტიკით, –
მამალმერთის
სამოსელში
გახვეული...
31. III. 2018

ვფიქვ...
რად უნდა:
ბრძენი, –
მისანი,
მოგვი?! –
ამ მიწას ვფიცავ
და... ზეცის –
ამ ქერს,
სიცოცხლეს ზოგის
და... ყოფნას – ზოგის,
სჯობს –
სიკვდილი და
არყოფნა, –
ასჯერ...
15. V. 2018





როდესაც, –
აზრმაც დაკარგა
აზრი?!..

ველარ გაარჩევ –
შინაურს,
ხიზანს...
დახლად ქცეულა
პლანეტა, –
ბაზრის...
და... აზრი
როგორ მიაღწევს
მიზანს?! –
როდესაც, –
აზრმაც დაკარგა
აზრი?!..
24. III. 2018

ყველამ იყოფეს!!!..

ყველამ იცოდეს, –
ვინაც მისდევს:
მიწყვიც,
ლეთის ნებას,
ვერ-რით აიტანს –
მონობას და...
მამულს
გათელილს...
ვინც ჰყიდის:
ნამუსს,
გულის მზეს და...
სულის –
ლირსებას, –
მხვეჭელს,
ქურდს,
ყაჩაღს,
არასოდეს ჰქვია –
ქართველი...
22. VII. 2018

გულანთებულნი
ქართველი
მიყვარს...

მინდა, რომ
რწმენით ვძერწავდე –
მერმისს, –



ერთი რომ გვექონდეს –
საქმეც და
სიტყვაც...
გულჩამქრალ ქართველს
ვერ ვიტან, –
ვერვის,
გულანთებული
ქართველი
მიყვარს...
17. VIII. 2018

ცხოვრების

წირკი...

რად ვერ ვისწავლეთ
გზა –
სიცოცხლის?!..
და... დროის
ზოგვის?!..
რად ვერ მოვრჩით –
უკუღმართი ცხოვრების
აღმართს?!..
საქმეს –
უკუღმა
და... უგულოდ
აკეთებს, –
ზოგი,
ლაპარაკით კი –
კორიანტელს აყენებს, –
ნაღმა...
16. VI. 2018

ღმერთიყ,
რომ იყო...

შურის და...
შხამის
იდებენ ალთა,
თუ, –
არ სურთ –
ხვითო
არ არის
ხვითო...
ღმერთიც,
რომ იყო, –
წინაშე თვალთა,
გხედავენ, მაგრამ...
არა ხარ, –
ვითომ?!..
15. IV. 2018

მესაფლავე...

სიყვარულია, სადაც,
სხივი –
სიცოცხლის, –
იქ დის,
როცა, –
სიკვდილზეც,
უკვდავებას დგამენ –
ძეგლებად...
გალაკტიონის მესაფლავე
დასცინის –
სიკვდილს,
რადგან –
სიცოცხლე, –
სიყვარულით,
ისევ,
გრძელდება...
12. VI. 2018

დაე...

მზე და... წყვილია
არ არსებობს, –
აროდეს,
ერთად...
ხან, –
ნაღმა ბრუნავს,
ხან, –
უკუღმა,
ცხოვრების –
ჩარხი...
სადაც ხარ,
თუ, ხარ,
დაე, სწამდე –
მინიერ
ღმერთად,
და...
ნახვალ, სადაც, –
მონატრება მოგდევდეს
ხალხის...
19. VII. 2018

ფიქრი და...

საქმე...

ზოგი –
მომავალს, –
შეცდომებით,

თვითონვე, იქრობს,
ბოლოს, –
თავს –
დიდი სინანულით,
სიმწარით,
აქნევს...
უნინ – აკეთებს საქმეს, –
ზოგი...
და... მერე –
ფიქრობს...
როცა –
ფიქრია, უწინარეს...
და... მერე –
საქმე...
24. VII. 2018

უმტრესი...

მოვა სიმართლით –
დროის
კარეტა,
რამდენჯერ იყოს
მუხა –
ნამუმლი?!
ვინც იმართება
აზრით, –
გარედან,
არის –
უმტრესი, –
ქვეყნის,
მამულის...
7. VI. 2018

სიღიადე...

თან გავყვებით –
ყველა,
დროის ზღვის თქემს,
წუთისოფლის
გრიგალთა და...
ქართა...
არა არის –
სიღიადე, –
მზის ქვეშ,
სიყვარულის
და... სიკეთის
გარდა...
14. VII. 2018

მთვრალს, ხომ, ზოგი რამ, ეპატიება?..

ფიქრების ზღვაში
მედეა ალი,
მთვრალი
ამ განცდას
შევკრავ ტივებად...
მე –
სიყვარულის
ღვინით ვარ მთვრალი,
მთვრალს, ხომ,
ზოგი რამ,
ეპატიება?..
16. VIII. 2018

მითხარით, – რატომ?!..

ვერ გავერკვიე, –
ვერაფრით,
ჯერაც,
ვაფეთქებ გულში –
ჩემს ფიქრთა
ატომს...
სიძულვილისთვის –
სასჯელი
მჯერა,
სიყვარულისთვის –
მითხარით, –
რატომ?!..
27. VII. 2018

პოეტი...

ავტობიოგრაფი

გალობდა, –
დარად ბულბულთა...
და... ჯადოსნურთა,
ებანთა...¹
მაგრამ... ვინ იყო –
გამგებნი?!..
ტაბტზე –
დრო იჯდა
ენებადა...

1 (რუსთ. 1122,3) ებანი, –
XII ს-ის სიმეზიანი,
მუსიკალური ინსტრუმენტი.

P.S..
სურდა:
საუფლო,
საქვეყნო –
სიბრძნის
საუნჯე
ებადა...
ნიგნზე... კალამზე –
ება... და...
შინ –
არაფერი
ებადა...
1. IX. 2018

სულ, მალდა! – მზემდე, სიტყვის ალამო!!!..

სულ, მალდა! –
მზემდე,
სიტყვის ალამო,
ხალხთა ტკივილი,
რადგან მარგუნე...
სიტყვა –
თუ,
ვერ ვთქვი:
გულთა მალამოდ,
თვითონ –
დავწავ და...
გავანადგურებ!!!..²
10. III. 2019

არარაობას

გავაქნე მინდა...

ვადიდე,
ვლოცე:
მზე –
ნათლის მჩენი,
სიმართლეს,
სიბრძნეს დავტოვებ –
მინდად...
ნამია, რადგან, –
სიცოცხლე ჩვენი,
არარაობას
გავექცე –
მინდა...
23. IV. 2019

2 მსოფლიოში ცნობილმა,
ცალკეულმა მწერლებმა,
ზოგი, – თავისი,
ნაწარმოებები, თვითონვე,
განადგურეს.



ზენაარს შევთხოვ...

რომ მოვიაროთ
დედამინა, –
კიდითი კიდე,
სასწორი მივცეთ –
ავ-კარგისა:
ცა-მინის მკივდრებს,
ადამის ძენი,
თუ, არიან,
მზეგულნი, – კიდევ,
ზენაარს შევთხოვ:
ვინც –
რას ვთესავთ,
იმასვე ვმკიდეთ...
24. III. 2019

სიყვარული...

თუ, –
სიყვარულით
და... სიკეთით –
სუნთქავ და...
ცხოვრობ,
უფლის მადლია –
სულშიც,
გულშიც, –
მზედ შენაფენი...
სიყვარული და...
სიკეთეა –
სიცოცხლე, –
მხოლოდ,
არარაობა არის:
მარტო,
სხვა, – ყველაფერი...
18. II. 2018

ათასჯერ...

საბრძანებელზე
რომ ვზეობდე –
დიადი
ზევისის,
რომ ვფლობდე –
მთელი დედამინის
საუნჯეს, –
განძთა,
რომ... გაიმალოს –
ჰორიზონტი, –
უსაზღვრო,
ზე-სვლის,

ათასჯერ მიჯობს:
შენთან ყოფნის –
ნეტარი,
განცდა...
30. XII. 2017

საქართველო

მტკივა!!!..

ღირსეულთა
ვიცით კილვა,
მერე:
ასი კი – ვა...
ფიქრი მტკივა
სიტყვა მტკივა
და...
მზეგული
მტკივა...
მაგრამ... უფრო,
ასჯერ,
უფრო,
საქართველო
მტკივა!!!..
19. XII. 2017

არ უყვარს, ვისაჯ –

სიკეთე, –

სხვათა...

თუ, გნებავთ,
ჰკითხეთ:
ასა და...
ათასს, –
პასუხი, ყველას,
ექნება –
ერთი:
არ უყვარს, ვისაჯ –
სიკეთე, –
სხვათა,
არა თქვას,
რომ სწამს
და... უყვარს –
ღმერთი...
2. V. 2017

მე, თუ – მკითხავენ...

რატომ გვჭირს –
სულშიც,
გულშიც იარა? –
ფულის მონავ და...
კვაჭო,
კვაჭილო...
მე, თუ –
მკითხავენ,
ფული კი არა,
სინდისი არის –
უფრო,
საჭირო...
12. XII. 2017

ეშმაკები

ვერ იტანენ –

ღმერთებს...

ფიქრით ვცხოვრობ...
და... ფიქრი მაქვს –
სახლად...
მინდა ვიყო:
დიდი სიბრძნის
მერთვლე...
ასე იყო...
ასე არის –
ახლაც:
ეშმაკები
ვერ იტანენ –
ღმერთებს...
12. XII. 2017

ჩემი

კრეფო...

მინდა, რომ –
ამ გულს
ცეცხლი შევეუნთო, –
სიკეთით –
თუკი,
ვინმემ,
გამასწრო...



სხვას მივუტევებ...
და... სხვას შევუნდობ...
მაგრამ...
საკუთარ,
თავს კი –
არასდროს...

რა სათქმელია – ჩემი ტკივილი?!..

თუმცა, –
მკერდ მინგრევს
გულის კივილი,
თითქოს, მოკვეცეს –
სხივების
ფრთა მზეს...
რა სათქმელია –
ჩემი ტკივილი?!
როცა –
ქვეყანა გვეტყევა, –
თავზე?!..
11. II. 2012

მწამს –

მხოლოდ, მაშინ...

ვინ არ ვართ
მომსწრე? –
„ა“-ურიეს, –
რამდენჯერ,
„ჰ“-აში?!..
ჭეშმარიტება –
დღისით,
მზისით,
რამდენჯერ,
აქრეს?!..
კანონიცა და
სამართალიც –
მწამს,
მხოლოდ,
მაშინ, –
ალარ აძვრენდნენ
ნემსის ყუნწი:
სპილოს და
აქლემს...
19. II. 2017

უნდა ვიცოდეთ...

ხან, –
ვერ ვისტუმრებთ:
სიცოცხლის და...
სიკეთის ვალებს,
დასაბამიდან, –
მტერ-მოყვარე
რამდენს შეშლია?!..
უნდა ვიცოდეთ:
ზოგჯერ,
ეშმა –
ავიბრახს თვალებს, –
მტერიც... მოყვარეც,
უპირველეს,
თვითონ, – ჩვენშია...
24. I. 2018

ახალი –

სამყარო...

სამყარო იქცა:
თეატრად,
დახლად, –
ვისთვის –
ნაღმა და...
უკუღმა მქროლი?!..
და... ამ თეატრში,
მგელსა აქვს –
ახლა,
მამაბრამის
ბატკანის როლი...
8. XII. 2017

ისევ, –

პარადოქსი...

ზოგი, –
ცხოვრებას მიითლის –
ყველად, –
ფუყე თავით და...
მეფის –
იერიტ...
მაძლარს
მაძლარი ჰგონია –
ყველა,
ხოლო,
მშიერს კი –
ყველა, –
მშიერი...
2. II. 2018

ფარად –

დედის და...

ფარად –

მამულის...

უდედ-მამულოდ,
დღე ვის აქვს –
დარად?...
ვარ –
ორივეზე,
ცრემლით
ნამული...
მამული მიყვარს:
მე –
დედის
დარად...
და... დედა მიყვარს:
დარად –
მამულის...
9. XII. 2017

მეც –

ლექსად ვდნები...

ვარ –
იმ მზის შვილი
და... იმ –
მინიდან,
სიმღერით დნება
სად – იადონი...
მეც –
ლექსად ვდნები,
ლექსით
ვინვი და...
მანთებს:
საქმენი –
სადიადონი...
17. IX. 2017

სიბრძნეთა

სიბრძნე...

სიბრძნეთა
სიბრძნე არის:
ჩუქჩის,
ტუნგუსის,
ინკის, –





ვინც –
დამთესია ქარის,
მუდამ, –
ქარიშხალს
იმკის...
19. IX. 2017

რა საჭიროა?!..

ტახტიც და
ჩინიც
რომ დაიდგი –
კამერის რქებად
და... გსურს –
ვუბეროთ, –
რაიც ძალგვიძს:
საყვირებს,
ბუკებს...
რა საჭიროა:
ზღაპრების და...
არაფრის ქება?!..
როდესაც –
საქმე ლაპარაკობს, –
ყველაზე,
უკეთ?...
14. X. 2017

სადამდე და...

როდემდე???!...¹

*ოთარ ხუციშვილის
უბრწყინვალესი წერილის:
„ყვავს რა ჰქონდა, ბუს
გაჰქონდას“-ს ექოდ...
(„საქართველოს
რესპუბლიკა“ №194, 2017
წ.)*

სატანა – სადამდე,
როდემდე მოგვდევდეს?! –
დრო –
სანამ ზეობდეს:
ხორცთა და...
სულთ კრეფის?! –
სადამდე?!..
სადამდე?!..
როდემდე?!..
როდემდე?!..
ტახტზეც და...

¹ „საქართველოში – ადამიანთა მოტყუება, ღალატი და მათი ბედით თამაში, ლამის არის ნორმად დამკვიდრდეს“ („ლიტ. საქართველო“ №33, 2017 წ.)



სკამებზეც –
მამალი ფუტკრები?!..
24. IX. 2017

ვინ აირჩია?!..

როგორ გვიშველის:
ახლა,
დავით,
თამარი,
შოთა?!..
სული რომ გვძვრება
და... დრო დადგა –
ქვე – თხრის და...
ქვე – რყენის?!..
ახლა, რომ ვტირით, –
ვაით,
ვუით,
ვღელავთ და...
ვშფოთავთ,
ვინ აირჩია
პარლამენტში –
დამქვევნი, –
ქვეყნის?!..
5. X. 2017

სუცელი –

სულ ელის...

პლატონობას რომ
სულ ელის,
სოკრატეს –
გვერდი
უარა...
„მე
რატომ ვარო
სულელი? –
მიხვდებიანო?
თუ, არა?!..“
18. IX. 2017

ახალი

ეპოქა...

ახალ ეპოქას –
ტკივილებიც
ახალი
ახლავს,
პოლიტიკაა:
ტაცებისა,

ხვეჭის და...
კუჭის...
იესოსავით
ცხოვრობს ვინაც, –
სიმართლით,
ახლა,
უჭირს – სუყველას, –
მზის ქვეშეთში,
და... ეგზომ,
უჭირს...
6. X. 2017

ნუთუ?!..

ვის ხელში არის –
ვისი ბედი
და...
ვისი მინდი?!..
სიცოცხლეს –
ლამის,
ფასი არ აქვს, –
უბრალო
ქაცვის...
არავინ იცის:
ცხოვრების გზა
საითკენ მიდის,
ნუთუ, –
ცა-მზის ქვეშ,
დაილია –
უბრძნესი
კაცი?!..
23. IX. 2017

ზოგი...

უაზრო... შარით,
ვინ –
საქმეს აშლის,
ეკალი
სხვას სთხოვს,
რომ იყოს –
ხვითო...
ზოგი, –
სხვას
ჭკუას ასწავლის, –
მაშინ,
როდესაც –
ჭკუა არა აქვს, –
თვითონ...
21. IX. 2017

სისულელეს კი...
არ აქვს –
საზღვარი...

ცეცხლი ედება
რაიც გვაქვს,
იმ ძნებს,
რეკავს ცხოვრების –
ახლა,
სხვა ზარი, –
დაედვა ზღვარი, –
აზრსა და
სიბრძნეს,
სისულელეს კი...
არ აქვს –
საზღვარი...
16. IX. 2017

სიყვარული...

სიყვარულია –
სარეცელი, –
ზოგისთვის,
მხოლოდ...
ვისთვის –
უსაზღვრო
და...
უვრცესი სულის
ტაიგა...
ვინ, –
ქვეყნად,
მხოლოდ,
ხორციელი ვნებისთვის
ცხოვრობს,
ვინ, –
სიყვარულით,
უდიადეს გვირგვინს
დაიდგამს...
10. XI. 2017

გაქრობას ნიშნავს...

გაქრობას ნიშნავს:
მეტის
ატანა,
ხალხს ხდიან –
სულს და...
მერე... წენავენ...
ერს ამარხვინებს:
ფული, –
სატანა –

პოლიტიკავებს,
ტელემედავებს...
9. II. 2012

მთავარზე –
უფრო,
უფრო მთავარი...

ხომ არის, –
ზოგჯერ,
ჩვენ, თვითონვე,
ვიჩინთ იარას,
თითქოს, –
საშველიც
ალარა ჩანს,
მაგრამ... თან, არი...
მე, თუ, მკითხავენ, –
უნინარეს,
მტერზე კი არა,
საკუთარ თავზე
გამარჯვება
არის მთავარი...
5. XI. 2017

სიყვარულის
ძეგლი...

დიდი გახლავთ –
სიყვარული, –
მეჩვენება
განა დიდად?...
ხმები მესმის:
ეგვიპტიდან,
ჩინეთიდან,
კანადიდან,
ქეგლს
ის იდგამს –
სიყვარულის,
ვინც
სიკეთე
განადიდა...
3. IX. 2017

მსურს...

მამულისათვის –
ვინც:
სიცოცხლე დახარჯა,
ვლოცავ...
ვინც:

მისხალ-მისხალ,
ალაგებდა, –
მიშლილს და...
მოშლილს...
პირქვე დამხობილ
საქართველოს
უყურებ, როცა –
მსურს დადენე:
ახალ,
დიდგორის და...
შამქორის
ომში...
4. IX. 2017

დარდი ვარ, –
მარტო...

მწუხარე განცდის
დავცალე –
თასი,
ფიქრის მექა და
მედინა
მალტობს...
ამ გულში მღერის
ღრუბლების
დასი,
დავდივარ –
მარტო,
დარდი ვარ, –
მარტო...
6. IX. 2017

მზე, – მომავლისა
განსჯის –
ყველაფერს...

ლაგდება, მიწყევ –
ავ-კარგის
ძვრად,
თავთავის ადგილს
მისცემს –
ყველა ფერს...
ვიყავით,
ვართ და...
ვიქნებით, –
რაიც,
მზე, – მომავლისა,
განსჯის
ყველაფერს...
9. XI. 2017



სიმართლეს

ვამბობ...

„მე“-ს
ვერ-რით გავცდით, –
ვერ ავმალდით,
დავეცით –
რამდე?!..
სიმართლეს ვამბობ,
მამა-პაპათ სულის
ცხოვნებამ...
რა, –
რა ვისწავლეთ?! –
წარსულიდან?..
და... ახლაც, –
რამდენს,
გამოქვაბულის აზროვნებით
გვინდა –
ცხოვრება...
8. XI. 2017

ყოველთვის...

გულო, –
ათასჯერ,
ფიქრით დაჭრილო,
სულ რომ...
დარდით ხარ –
გადავსებული,
ყოველთვის –
განსჯა
არის საჭირო, –
არსებულის და...
არარსებულის...

P.S..

განჭვრეტა უნდა, –
მუდამ,
შემდეგის:
რას,
რა მოყვება:
ბოლო...
შედეგი...
16. XII. 2017

ზოგჯერ...

არსით, –
შვილია ყველა:
ვინ –
მინისა და...

ვინ – ცის?..
მინდა, თუ, არა,
როცა –
დასაფიქრებლად
ვიცლი...
ზოგჯერ, –
არცოდნა მიჯობს,
ვწუხვარ,
როდესაც –
ვიცი...
19. XII. 2017

ვინ?!..

ვინ –
სამართალი:
დასცა,
დათარსა...
ვინ –
ლმერთსაც არ თვლის
მინაზე –
ლმერთად...
ვინ –
ერთს ასტყორცნის –
ცამდე,
ათასად...
ათასს –
ამცრობს და...
აკნინებს –
ერთად...
20. XII. 2017

ერთი კი – არა,

ათასი: რატომ?!..

*მსოფლიოს
გასაგონად...*

თუ, ვიცი:
ხალხის –
ვალცი... უფლებაც,
სიმართლეს
რატომ ვადინოთ
მტვერი?!..
დემოკრატიაც,
თავისუფლებაც –
რატომ ნიშნავდეს
გაქრობას
ერის?!..
რატომ???!!!!..
20. XII. 2017

იწოდეს უნდა:

ყველამ და...

ყველამ...

იცოდეს უნდა:
ყველამ და...
ყველამ, –
დრო – ნანატრია,
თუ,
შიშის
მგვრელი,
არ-რით ჩაისვან
უბეში –
გველი
და... არ დანიშნონ
ცხვრის მწყემსად –
მგელი...
24. XII. 2007

რატომ?!..

ვინც –
ტანტზე დაჯდა,
ყველა
ფუფალობს,¹
ვერ მორჩა:
შუღლი, –
საქმე სამტრონი...
რატომ მგონია, –
ნეტავ,
უფალო?! –
ამ ცას,
ამ მინას
არ ჰყავს –
პატრონი?!..
8. IX. 2017

არ უნდა შევრჩხვებს:

შენი –

წარსულის...

დრომ –
ემმას ცხენზე
არ უნდა
შეგსვას,

¹ (ძვ) ბავშვის ენაზე – უფლობს,
ლმერთობს...



თუ, გნამს –
უფლის და...
თუკი –
გნამს სულის...
რომ გადახედავ:
გზას, –
გავლილს,
შენსას,
არ უნდა შეგრცხვეს:
შენი –
წარსულის...
4. XII. 2017

ჩვენი სიბრმავე...

ვის –
წკებლა ეკუთვნის, –
სირცხვილის,
ვის – სარი...
რაც ხდება, –
სიმართლეს ვიტყვოდი –
ერთს:
ჩვენი სიბრმავე, –
ხანდახან,
ის არი –
ჩვენს თვალწინ, –
ვერ ვამჩნევთ,
ვერ ვხედავთ –
ღმერთს...
24. XI. 2017

უმთავრესი...

უაზროდ, –
უღვთოდ,
ბრძენთა ბრძენი
არ გახსნის –
წამწამს, –
გაარჩევს:
სპილოს,
ჭიანჭველას,
რწყილსა და
აქლემს...
ლაპარაკისთვის –
ლაპარაკი
მეფისაც
არ მწამს...
უმთავრესია:
წრფელი –
სიტყვა...
და... წრფელი –
საქმე...
7. XII. 2017

იქნებ, – ამიხსნათ?..

თავისუფლები
ხომ, ვართ,
ახლა? –
სინათლის სვეტად
თავს დაგვეტრიალებს:
ევროსაბჭო,
გაერო,
ნატო...
იქნებ, –
ამიხსნათ? –
ვერ გავიგე, –
რა ხდება, –
ნეტავ?! –
ნეტარ-ცხოვრებით, –
იმ, საზიზღარ,
წარსულს რომ –
ვნატრობთ?!..
8. XII. 2017

ჩემი –

ჩემად, დავიგულო... ნატვრა

სავარდევ და...
სავენახევ, –
ბალნარო და...
თაიგულო,
ჩემი –
ჩემად,
დამენახე,
ჩემი –
სრულად
დავიგულო...
6. XII. 2017

სჯობს...

რომ არ იხობო –
ქვეყნის
ალამდე,
საძრომს,
სახვეჭს და...
სახრავს, რომ –

ვერ თმობ,
რომ... არ –
გაქრე და...
რომ... არ –
დაღამდე,
სჯობს:
შენი საქმით,
მზესავით,
ენტო...
17. XI. 2017

ნეტავ, რამდენჯერ?!.. ნეტავ, სადამდე?!..

თქვით, – მოითმენდნენ?!..
ნეტავ, სად, ამდენს?!..
რაიც –
ამ მიწის
სვე იქუფრება...
ნეტავ, რამდენჯერ?!..
ნეტავ, სადამდე?! –
შემოგზავნილი
ხელისუფლება?!..
23. XII. 2010

რად არ ვთქვათ?!..

*მკვდარზე, ან, კარგს
იტყვიან,
ან არაფერსო...*

თუნდ, იყოს –
მონა,
და... თუნდაც –
ჰაჯი,
ვინც და...
რაც იყო,
რად არ ვთქვათ
ისე?!..
სულგამძვრალ
ქაჯზე
რად არ ვთქვათ –
ქაჯი?! –
სიმართლეს, ვინაც –
უგრეხდა
კისერს...
7. XI. 2017





თავვისთვის –
კატა ვეფხვია...

ქარით – მინის და...
ქარით – ცის:
ფოთოლი
ინყებს ზე-ფრთხიას...
ვის? –
რატომ უკვირს? –
არ ვიცი,
თავვისთვის –
კატა ვეფხვია...
19. IX. 2017

შვებაა, – ბევრით,
სიკვდილი, –
უფრო...

ზე – ვითარ იფრენს
არწივი – უფროდ?...
აქვთ, ეგზომ დარდი, –
ტკივილით
მდიდრებს...
შვებაა, – ბევრით,
სიკვდილი, –
უფრო,
უსიყვარულოდ –
სიცოცხლე, –
ვიდრე...
11. X. 2017

ვიცოდეთ
უნდა...

ვიცოდეთ
უნდა:
პურს – არსობის,
ვინ – აცხოვს?...
ვინ – ფქვავს?...
ხეს – სიყვარულის სიდიადის,
ქვეყნად,
ვინ რგავდა?...
სულის ლაყვარდი
და...
სულის მზე
ვის სწამს და...
ვინ თქვას:
სიცოცხლე –

სიბრძნის,
სიყვარულის,
ღირსების გარდა?!..
9. XII. 2017

დალუპულია –
ქვეყანა, როცა...

ვინ,
ვისზე,
ვისგან –
რას აღარ
კროცავს,¹
ბრძობას
ყრუობას
შეხვედებით –
რა ხშირს?!..
დალუპულია –
ქვეყანა, როცა...
ველარ არჩევენ:
მჭადას და
ნახშირს...
12. I. 2018

სიმართლე...

სიმართლე – მზეა,
მზით
ცრემლი შრება,
ვისთვის –
ცეცხლია,
ქვაც და... ქაცვებიც...
სიმართლე არის:
კაცისთვის –
შეება,
არაკაცისთვის –
თავზარდამცემი...
29. XI. 2017

ვინ?!..

ვისია?!..

დრო – გამეფდა, –
ლომის
დათვის ტორება,
ვინ?! –

¹ (კახ. დიალექტი) უაზროდ,
გაუგებრად, უთავბოლოდ,
აბდაუბდად ლაპარაკობს.

ვისია:
მონები, თუ –
მსტოვრები?!..
ორ ნაწილად
გამიჯნა
ცხოვრება, –
ორ ნაწილად:
ღმერთების და –
ლორების...
7. IX. 2017

უსიყვარულოდ –
უარესია...

სიყვარულს –
ყველა,
ვერ ხსნის, –
რა არი?..
გულს –
ცეცხლის ალი
თუ, არ ესია...
თუ, –
სიყვარული –
ზოგჯერ,
ბრმა არი,
უსიყვარულოდ –
უარესია...
1. XII. 2015

ნუთუ?!..

ბედნიერების, –
ხალხის სიკეთის,
ველარ გაიხსნა:
კარი – ერისთვის...
თეთრიც და...
შავიც –
ჰყვავის სიმკვეთრით,
ზეობს:
ყაჩაღი,
კარიერისტი...

P.S..

კვლავ, –
ველოდებით:
ათ და... ოც ვნებას, –
ნუთუ, –
ოცნება
დარჩა ოცნებად?!..
17. II. 2018



თუ, – გასრულდება?
ნეტავი?..

ვინ ზეობს –
მინის
მკვნიტავი?!..
და...
ვის აქვს –
ბრალი, –
ამაში?..
თუ, –
გასრულდება, –
ნეტავი? –
დემოკრატიის
თამაში?!..
9. VI. 2017

დიდი დუხჭირი...

საქვეყნო საქმე
როდესაც –
ქუფრობს,
აიშლებიან, ირგვლივ,
სამტრონი...
არა ყოფილა
დუხჭირი, –
უფრო,
ქვეყანას, როცა –
არ ჰყავს
პატრონი...
10. X. 2010

უფრორე, –

მაშინ...

სიბრძნეთა სიბრძნე
ფიქრს ფიქრზე –
მაშლის, –
ვის –
კიცხავს საქმე...
და... ვის კი –
ლოცავს?..
ვარ ბედნიერი –
უფრორე, –
მაშინ,
ბედნიერებას
სხვისთვის ვქსოვ,
როცა...
18. VIII. 2017

ჩვენ რომ გვგონია,
იმაზე წყდად...

მედება –
რისხვის
ცეცხლი და...
ალხი,
ზეიმი არის –
ფლიდთა და
ცრუთა...
ვით მოჩანს
ხვალე –
პლანეტის?..
ხალხის?..
ჩვენ რომ გვგონია,
იმაზე ცუდად...

ახალი –

წხოვრება...

ვისთვის, – თქეშია –
ფულის...
და... ჩვენთვის –
ნამსაც
ცრის კი?..
ცხოვრება, –
ეგ ზომ, რთული,
გახდა:
ნამდვილი,
ცირკი...
1. VI. 2017

უფრორე...

სიღარბაისლე
რარიგად გშენის, –
ყოველთვის სწონი:
ფიქრს,
აზრს და
სიტყვას...
თუ, რამე, მიყვარს,
უფრორე, – შენი –
ოლიმპიური
სიმშვიდე
მიყვარს...
X. 2017

მანერ, –
აროდეს,
არ მომწყინდები...

ოცნებამ –
ფიქრის კალო
მოლენა,
ჩემთვის –
მუდამ, მზედ,
ამობრწყინდები...
შენთან რომ ვიყო –
თუნდაც,
ყოველ წამს,
მანერ, –
აროდეს,
არ მომწყინდები...
15. VIII. 2016

უკვირს...

ადამიანი კვდება,
როდესაც,
არის:
ტირილი
და... ცეცხლთა
დება...
უკვირს:
ცას,
მინას,
უკვირს:
ლოდებსაც –
რად არ ტირიან
დრო, როცა –
კვდება?!..
2. III. 2017

ნეტავი...

ერთურთი –
რად ვბრძლვანთ?!..
და... რად
ვუბაზროთ?!..
როდემდე ვიდგეთ –
ცეცხლთან, –
მაზარით?!..
ნეტავი, –
სიბრძნე იყოს –
უსაზღვრო...
და...
სისულელეს –



ჭქონდეს
საზღვარი...
22. XI. 2016

სიბრძნე –

უღოევი...

ეს არის:
დიდი სიბრძნე, –
უღოევი, –
მზედ,
უფლის გზებით
ვინაც იარა...
უნდა დაიპყრო:
გულით –
გულეები,
მინა,
ტახტი და...
განძი კი არა...
3. XII. 2017

უძნელესია...

დასაბამიდან, –
ვინ,
ვის ბედს –
ართავს?!..
ვის აქვს ხელთ
ვისი ნავის
აფრები?!..
უძნელესია:
იმ ქვეყნის
მართვა,
ხალხს აღარ სჯერა,
როცა –
ზღაპრების...
9. IX. 2017

მხოლოდ, –

შენით...

მინდა –
გულს სევდა
შენით
ავყარო, –
სიყვარულია
ამის თავდებად...
შენით იწყება –

ჩემთვის
სამყარო...
და... ისევ,
მხოლოდ,
შენით მთავრდება...
10. IX. 2017

ბრძენი და...

სულოელი...

რაიც მოდიან –
დასაბამით,
ადამის ძენი,
ცხოვრება –
ზოგჯერ,
მაისია,
ზოგჯერ კი –
მარტობს...
თუ, საჭიროა, –
სიკეთის მზით,
აზრს იცვლის
ბრძენი,
აზრს არ შეიცვლის, –
სიკეთისთვის,
სულოელი, –
მარტო...
6. XII. 2017

სიყვარული...

სიყვარულია –
სარეცელი, –
ზოგისთვის,
მხოლოდ...
ვისთვის –
უსაზღვრო
და...
უვრცესი სულის
ტაიგა...
ვინ –
ქვეყნად,
მხოლოდ,
ხორციელი ვნებისთვის
ცხოვრობს,
ვინ –
სიყვარულით,
უდიადეს გვირგვინს
დაიდგამს...
25. XI. 2017

ნეტავ...

ნეტავ, როდემდე –
უცხო
თვალთვალი?!..
სანამ ვუყუროთ:
ქაჯთა –
ას ჯირით?!..
აღარ დავსაჯოთ, –
ნეტავ,
მართალი...
და...
დამნაშავე
ვნახოთ –
დასჯილი...
31. XII. 2017

ხვალ...

რატომ ვიმღვრევი?..
რატომ ვინვი?..
რად?..
რატომ ვჩივი?..
აღბათ,
ეს ტონი,
საკადრისი
არც არის –
მკაცრი?..
თავს რომ გვანონებს:
ბატის ფრთით და...
პრემიით,
ჩინით,
ხვალ, –
ამ კალმონის
ნამკითხველი –
მაჩვენეთ, –
კაცი...
9. XII. 2015

არავინ, –

არ თქვას...

სიმართლეს,
სინდისს
ვერ-რით ერევა:
ცხოვრების –
მგელი,
ფოცხვერი,
ჯიქი...
არავინ, –



არ თქვას
ბედნიერება –
სიმართლისა და...
სინდისის
იქით...
3. XII. 2017

ნუთუ?!..

ტრიალებს –
ოდით,
ათასი ტროა,
გვლუპავდა... მუდამ,
ხათრი, – ძიების...
XXI –
კვლავ,
ნუთუ,
დროა:
პლებეების და
პატრიციების?!..
22. II. 2018

სიტყვა...

სიტყვა –
ოქროა,
მარგალიტიც,
ზოგჯერ კი –
სიტყვაც...
ხან –
ნაზი არის, –
იასავით,
ხან –
ბასრი...
მკაცრი...
სიტყვა ფასობდა
წინაპართა,
ხან –
ხმალად ერტყათ,
სიტყვის გამტეხი, –
ასჯერ ვიტყვი:
არ არის –
კაცი...
31. XII. 2017

თუ...

ძირს თუ, მოვისვრით –
ნდობას, –
ჭილობად,

და...
ფიქრიც ფიქრებს
ურვით მიება,
ნდობა იქცევა –
უკვე,
ჭრილობად
და... სიყვარული –
შურისძიებად...
2. I. 2018

ანგელოსია – ყინწვისის...

მზით ინვის
დროის –
ქუშეთი,
რჩება – დიდება, –
იმ წვისი...
ასე მგონია:
თუშეთი –
ანგელოსია, –
ყინწვისის...
1. I. 201817

რამდენჯერ?!..

ხან, – გვაცლიან:
ძალას... იერს...
და...
სიტყვაც ვერ
დავძარი...
ეხ,
რამდენჯერ,
დაანგრიეს –
არტემიდეს
ტაძარი...
20. II. 2018

ასე ზრძანა

ყადი...

ასე ზრძანა, –
ამას წინათ,
მზეს ხატავდა
სანამ, ყადი,
ახლაც –
მზეზე მეტად,

ბრწყინავს –
ძველისძველი
სამარყანდი...
11. XII. 2017

როგორც, – ჰეტეფი გაფრენილ ყანჩას...

უსაზღვრო ფიქრი
და... სევდა
მახლავს, –
ნარსულში
რალაც, დიადი,
დამრჩა...
და... სიჭაბუკეს
მივტირი
ახლა,
როგორც, ჰეტეფი –
გაფრენილ
ყანჩას...
6. I. 2018

როდის?!..

როდის იქნება –
სწორად,
განსჯილი? –
სიმართლეს ჰქონდეს –
ძალა მთებური...
რომ:
დამნაშავე ვნახოთ –
დასჯილი,
ხოლო,
მართალი –
გამართლებული...
6. I. 2018

რა მათრებს?..

ღა...

რა მიკვირს?..

ამ ცხოვრების
ომში ვიყავ
და...
ჭრილობებს
ვითვლი...
რა მათრებს?..





და...
 რა მიკვირს? –
 წუთისოფლის
 მგზავრს? –
 ნამდვილია, –
 არ გეგონოთ:
 ლეგენდა, თუ –
 მითი,
 ზოგჯერ, –
 ბრძმები
 თვალხილულებს
 ასწავლიან –
 გზას...
31. XII. 2017

**პლანეტა –
 კლოუნადა?..**

იხვეჭენ –
 ღორულ, – ნადავლს,
 განა, –
 ვიცილებთ
 ჭირს კი?!..
 პლანეტა –
 კლოუნადა?!..
 პლანეტა –
 ნუთუ,
 ცირკი?!..
11. XII. 2017

**ღმერთო,
 რა კარგად
 გამოჩნდა...**

ვინ –
 გაორგულდა,
 გაოჩნდა...
 ვინ –
 ვარდად გვწამდა,
 ინარა...
 ღმერთო,
 რა კარგად
 გამოჩნდა:
 ვინ – ქართველია,
 ვინ – არა...
9. I. 2018



**როცა –
 თილისმად,
 მოყვია ოქრო...**

*ქართველი ქალის
 სახიერებას, –
 ზებრწყინვალეს, მზით
 სავსესა და...
 დიდებულ –
 მჭევრმეტყველს
 მაყვალა მიქელაძეს*

ნათდება, წამსვე,
 გული, –
 კრიალა...
 და... სათქმელს –
 რატომ
 დავადებ ბოქლომს?!..
 მაგ, – მზეპირიდან,
 სიტყვა¹
 კი არა, –
 ნამდვილ თილისმად,
 მოცვივა ოქრო...
12. I. 2018

არა მწამს...

ფუჭია ჭვრეტა –
 უმისნო, –
 დამიდასტურებს
 გერგეტიც...
 არა მწამს
 სიტყვაც –
 უმიზნო, –
 უნდო,
 უაზრო,
 ქერქეტი...
6. I. 2018

**გამოვსხივდები, –
 გამოვმზევდები...**

ვინვი –
 ლექსების
 გარმონზე, – ნთებით,
 სიბრძნის,
 სიქველის –

1 *„სიტყვა სულის სახეა“.
 პუბლიუსი
 „სიტყვაზე ძლიერი არაფერია“.
 მენანდრე
 „ალაპარაკდი, რომ დაგინახო“.
 სოკრატე

განთიადებით...
 გამოვსხივდები,
 გამოვმზევდები,
 გამოვბრწყინდები,
 გავდიადდები...
28. I. 2019

**ჭეშმარიტება –
 მარადი,
 სრული...**

ჭეშმარიტება:
 მარადი,
 სრული,
 ოდიდან,
 დღემდე,
 ხვალაც და...
 ახლაც –
 ადამიანის სიმაღლე, –
 სულის,
 მხოლოდ და...
 მხოლოდ,
 სიკეთე გახლავთ...
30. I. 2018

როგორ ვყსმინო?!..

არნივად ხედავს –
 ყვავს და...
 ბუს, – ვინო?..
 ხედ კი –
 ჩალას და...
 არა – ბაობაბს?!..
 როგორც – სოკრატეს,
 როგორ ვუსმინო, –
 ენაგატლეკილ –
 არარაობას?!..
3. II. 2018

**გაყიდულო,
 საქართველო...**

ძმათამკვლელი
 ომი მოშლის –
 შენს სავაზეთს,
 ბრმათა რთველო,
 გავიფანტეთ –
 მსოფლიოში, –
 სად ვალამოთ?!..

სად ვათენოთ?! –
განენილო,
განირულო,
გაყიდულო, –
საქართველო...
1. III. 2018

დამერწმუნებით, –

აღზათ,

ამაში...

ქეშმარიტების
და ზნეობის –
ისმის
გმინვები,
დამერწმუნებით,
რასაც ვამბობ, –
აღზათ,
ამაში...
დემოკრატია არის,
ახლა:
ლანძღვის,
გინების, –
გამოგონილი პარტიების:
ცირკით,
თამაშით...
18. II. 201220

რატომ?!..

*ხალხის არჩეულ – ხალხის
მსახურთ, ანუ –
ფიცი მწამს, მაგრამ...
მაკვირვებს –
ბოლო.*

ერთი, რომ იყოს:
საქმეც და –
სიტყვაც, –
ფიცი მწამს,
მაგრამ...
თუ, სიტყვას –
არ ხრი,
თუ, –
ხალხი გიყვარს...
და... მართლა –
გიყვარს,
რატომ
არ ცხოვრობ:
ცხოვრებით –

ხალხის?!..
რატომ?!..
22. I. 2018

ნუთუ?!..

გარეთ... და... შიგნით,
ყველა –
ამკლები?!..
ამ განცდის ცეცხლი
რა ბნედით ვწერო?!..
რომ... არ ვთქვა –
მეტი...
და... არც –
ნაკლები,
ნუთუ, –
დგას ჟამი –
საბედისწერო?!..

P.S..
ისევ – ლალატი?!..
ისევ – ავითა?! –
ყველა
ჩვენ მოგვდგა:
ბრმაც და... ურჩებიც?!..
ნუთუ, –
გაუძლებით?!..
ნუთუ, –
ავიტანთ?!..
ნუთუ, –
ყველაფერს,
გადავურჩებით?!..
4. II. 2018

ახალი დრო...

სავარძელშია:
ისტე,
მისტე,
სხვისტი და...
ქურდიც, –
მზე აღარ უნდათ,
დაღრუბლეს და...
ცა – იმად, ქუფრობს...
თეატრში –
ახლა,
რომ შეუგდოთ –
ძვირფასი
ქუდი,
ხელისუფლების
სპექტაკლები იზიდავთ, –
უფრო...
13. XII. 2002

ნუთუ, –
ვერ ვხვდებით?!..

რატომ ჩამოვრჩით?!..
რატომ გვიჭირს?!..
რატომ ვფერხდებით?!..
ფებით
ვინ სდგება:
ვის გზას,
ვის აზრს,
მიზანს,
ვის ქცევას?..
ნუთუ, –
არ ვიცით?!..
ნუთუ, –
ვერ ვგრძნობთ?!..
ნუთუ, –
ვერ ვხვდებით?!
სიმართლე –
მიწყვი,
ვისით იწვის...
და... მტვრად
იქცევა...
8. XII. 2017

სიმართლე
გიტხრათ...

დევიც გავძვრებით
ნემსის ყუნწში,
თუ, უფლის –
მზე გვფენს...
თუ, საჭიროა –
ჯოჯოხეთის
წლებსაც
ავიტანთ...
სიმართლე გიტხრათ,
იყოს – თუნდაც,
მეფეთა
მეფე,
უნდა იწყებდეს –
ნესრიგს, –
ყველა,
თავის
თავიდან...
26. I. 201821

მთავარი...

ფოლადის ფრთებით,
კაცი, როცა –





კოსმოსში მიქრის,
დაშრიტეს, –
თითქოს,
სიბრძნისა და
აზრის თალარი...
სასაცილოა:
ერთი ქვეყნის –
ავ-კარგზე ფიქრი,
ახლა, –
პლანეტის
გადარჩენა
არის მთავარი...
23. I. 2017

**უსიყვარულოდ, –
არავინ,
არ მნამს...**

ვინაც მნამს:
ყველას,
სულს და გულს
ვუშლი,
უსიყვარულოდ, –
არ გავხსნი
წამნამს...
მზე
არ უნთია –
ვისაც კი, –
გულში,
რა ვქნა, –
არავინ,
არავინ –
არ მნამს...
24. I. 2018

**ქვეყანავ, –
მოყვრის დაჭრილო...**

ფიქრო, –
ზეცამდე აჭრილო,
სევდა გასხია –
გირჩებად...
ქვეყანავ, –
მოყვრის დაჭრილო,
ტკივილი
ალარ
გირჩება...
13. I. 2018



თქვენ შეაფასეთ...

თქვენ შეაფასეთ –
სულის მზე, –
არსთა,
ვინც –
კარგად არჩევს
საქმის
ყველა ფერს...
ვინც –
არ შეუნდობს
იოტ ნაკლს
სხვას და...
თავისთავს –
რაც კი ნებავეს,
ყველაფერს...
12. I. 2018

დიდი სიბრძნე...

რაც გვაქვს –
სათქმელი,
დიდი სიბრძნე, –
ყოველთვის,
ის არს:
ჭეშმარიტებას
არ დაედვას –
ლახვარ – ხუნდებად...
სიფრთხილე უნდა:
სიტყვასა და...
გასროლილ –
ისარს,
რადგანაც ვიცით,
უკან –
ერთიც
ალარ ბრუნდება...

**თუ, რამ,
მნამს...**

ღირსებამ, ოდით,
ჯვარცმით იარა,
მტერზე უმტრესი
ესია, –
ირგვლივ...
თუ, რამ,
მნამს, –
ქვეყნად,
მეფის კი არა,
დაიდგამს ვინაც –

ღირსების
გვირგვინს...
7. I. 2018

**ასგზის
ვლოყავ!!!..**

ვინც –
მოსხივდა
უფლის აფრით,
ვინც –
ამ გულში
ზის...
ასგზის ვლოყავ –
14 აპრილს, –
შვა, ვინც:
მსგავსი –
მზის...

**ალარ არის –
საქართველო?!..**

გაიფანტა ქართველობა, –
ირგვლივ, მთლიან –
პლანეტაზე,
მშიერს,
ტიტველს
ვინ შეხვდება?!..
სად აღამოს?!..
სად ათენოს?!..
ისევ, –
ბევრი ტოვებს:
კერას,
ამ ცას,
მინას,
ამ, – ნეტარ მზეს,
დაიცალა,
სადღა არის?!..
ალარ არის –
საქართველო?!..

P.S..
დარდთან,
დროსთან,
დავრჩით მარტო,
ერთ ტირანს ცვლის –
სხვა ტირანი...
ამ ყოფაში –
სიკვდილს ვნატრობთ,
სიცოცხლე გვაქვს –
სატირალი...

გაზაფხული...

მოკისკისდა:
 მზე – ნანატრი, –
 მინავლული,
 გაზაფხულის:
 ეს, –
 სიცოცხლის –
 გზა, – უზვანჯო...
 ენძელად და
 იად მოდის –
 გაზაფხული...
 სიყვარულის
 გაზაფხულსაც –
 გაუმარჯოს!!!..

მზე...¹

დასაბამიდან, –
 შულლი,
 მტრობა
 გვიკიდებს ალთა,
 გოდება – ჩვენი,
 ჯვარცმა – ჩვენი
 ციურეთს
 ერთვის...
 თუ, –
 რამეს ვხედავ, –
 უდიადესს,
 წინაშე – თვალთა,
 ეს, –
 მზეა:
 ჩვენი –
 სიცოცხლის და...
 სიკეთის
 ღმერთი...
4. II. 2017

ნატვრა...

სიცოცხლევ,
 სუნთქვავე...
 და...
 ნატვრისთვალთ, –
 მამულო,
 როდის გამზინდები?...
 საერთო მიზნით,
 საერთო საქმით,
 როდის გნახავ და...
 გაფრთიანდები?..

¹ „ღმერთი, რომელსაც მე თვალთ
 ვხედავ, ეს, – მზეა“...
 ნაპოლეონ ბონაპარტი

რწმენის,
 სიკეთის,
 სიყვარულის და...
 სიბრძნის,
 იმედის
 განთიადებით,
 როდის ახდება:
 ნატვრაც,
 ოცნებაც, –
 ნეტავი,
 როდის –
 გამთლიანდები?..
26. V. 2016

ხილვა...

ნუთუ, –
 საშველი
 აღარ ჩანს, –
 არ – სით
 და... ვშლით
 პლანეტას –
 მშვიერ ქანებად?!..
 ნუთუ, –
 სამყარო:
 სულით და...
 არსით,
 დასაბამისკენ
 მიექანება?!..
21. VIII. 2017

ფული...

წარსულს ჩაბარდა:
 ძველი ომი...
 და...
 ძველი დრონი...
 ახალი ომის
 თაოსანი –
 პლანეტას
 უვლის...
 რის –
 ატომური?!..
 რის –
 წყალბადი?!..
 რის –
 ნეიტრონი?!..
 უფრო მრისხანე
 იარაღი –
 დღეს, არის:
 ფული...

ახალი

დედამინა...

ვის –
 სული სძვრება...
 ნეტარების:
 ვინ –
 ზღვაში ცურავს, –
 ბაზარი გახდა –
 ეს პლანეტა, –
 ცა –
 ვნების ქართა...
 იყიდი,
 რაც გსურს, –
 ამ მინაზე,
 არსებობს თუ, რამ,
 სიმართლის,
 რწმენის,
 სინდისის და...
 ღირსების გარდა...
14. IV. 2017

პლანეტა –

დღეის...

ფულია –
 დღეის:
 ომიც და
 ჯვარიც...
 პლანეტა, –
 ირგვლივ,
 იცვლის –
 იერსო...
 დღეს, –
 გოლგოთაზე,
 ფულია –
 ჯვარი,
 ხოლო,
 სიმართლე
 არის –
 იესო...
20. II. 2017





პოეტი – ზევსი¹

სიბრძნეა, უნინ, –
 ლეთიური
 რაც არს,
 სიბრძნეა – კიბე, –
 გენის ზესვლის...
 დროს და წლებს
 ფანტავს,
 ვით, ქარი –
 ნაცარს,
 მზე არის სიბრძნის –
 პოეტი, – ზევსი...
14. VII. 2017

ძალიან, –

წოტა...

სიცოცხლე –
 განა,
 სუყველას
 მზით ჰყვა? –
 კისრით
 რამდენი ატარებს
 ცოდვას?!..
 პირიდან –
 ბევრი ამოდის
 სიტყვა,
 მაგრამ...
 გულიდან –
 ძალიან,
 ცოტა...

სიმართლე

სად არს?!..

არარაობა არის, –
 ვიცით,
 სიმართლის
 იქით,
 სიმართლეს ვეძებთ, –
 უფლისა და...
 ცაზე მზის
 სადარს...
 სიმართლეს ვლოცავთ:
 ჯამით,
 ყანწით,

ლოქით, თუ –
 ჭიქით,
 სიმართლეს ვეძებთ, –
 დასაბამით,
 მაგრამ... თქვით:
 სად არს?!..

9. IV. 2017

მაგრამ...

არისლა?!..

ეს, – მზესიტყვები –
 თამადისა,
 გულზე დამადნა, –
 გაუმარჯოსო –
 საქართველოს, –
 ბრძანა თამადამ...
 გაუმარჯოსო, –
 მაგრამ...
 ბედმა –
 რატომ გვარისხა?!..
 დაილოცოსო –
 საქართველო,
 მაგრამ... არისლა?!..
10. V. 2017

ვერ დამავინწყებს...

ხან, –
 უსასრულოდ,
 ავად,
 კარგად
 გავყვები ფიქრებს;
 სიცოცხლედ
 არ ვთვლი,
 თუ, მამულზე –
 არ ვფიქრობ,
 იმ წამს...
 მე –
 ჩემი თავიც
 დამავინწყდეს, –
 ხანდახან,
 იქნებ,
 ვერ დამავინწყებს:
 სიკვდილიც კი,
 ჩემს –
 ცას და
 მინას...
23. I. 2017

რად მეჩვენება – ნეტავი, ასე?!..

ღამეა, –
 კუპრი,
 კუნაპეტი,
 სულს
 ფიქრით ვავსებ, –
 პაექრობა და
 ჭიდილია –
 ეპოქის ქართა...
 რად მეჩვენება?!..
 რად მგონია,
 ნეტავი, ასე?! –
 სუყველას
 სძინავს –
 პლანეტაზე,
 ამ გულის
 გარდა...

ასი წლის

შემდეგ...

თუმც, –
 ბევრს ამოვხსნით –
 იქს-იგრეკს, თუ,
 ომეგას,
 ალფას,
 მე – ვერ განვჭვრიტე
 ყველაფერი
 და... განგებ,
 შევდექ...
 აღარ გვეყოფა –
 ფანტაზიაც, –
 მისანთა,
 ალბათ,
 თუ, რა იქნება:
 პლანეტაზე,
 ასი წლის
 შემდეგ...
28. III. 2017

ვერავინ შეწვლის ჭეშმარიტებას

ცხოვრება გახლავთ:
 ცოდნის,
 შრომის,
 გამოცდილების, –
 ლაგდება მიჯრით:



¹ გადატანითი მნიშვნელობით, –
 ზევსი დიდ შემოქმედს ნიშნავს. გერცენი
 გოეთეს ხელოვნების ზევსს უწოდებდა.

ავიც,
კარგიც, –
ნელთა რიტმებად...
ყველაფერს შეცვლი
სამყაროში, –
ძალმოსილებით,
ვერვინ,
ვერასდროს,
ვერ-რით შეცვლის –
ჭეშმარიტებას...
8. I. 2017

ჩემი ტკივილი რა არი?

თუმცა, – მოველ
სიბრძნის
ვენახად,
ჩემი ტკივილი
რა არი?...
ღმერთიც რომ ვიყო,
ვერ მნახავს, –
ვინც უნდა მნახოს, –
ბრმა არი...
16. III. 2017

თუ, გნებავს...

თუ, გნებავს
იყო –
ნადავლიანი, –
მზისებრ,
ბრძენი და...
მზისებრ,
მართალი,
ჯერ, –
უნდა იყო –
ადამიანი,
მერე –
მეფე და...
მერე –
სარდალი...
4. III. 2017

სასწაული...

კავკასიონი –
ორფეოსი, –

მზისებრ უშრეტი,
მინისთვის –
თითქოს,
უფლის ხელი
ცას წაუვლია...
საარწივეთი,
საჯიხვეთი, –
ჩემი თუშეთი:
სილამაზის და
სიდიადის –
სასწაულია!..
5. III. 2017

კაცს – გული რომ სტკიოდეს...

მიხვდებიან?
კი?... ოდეს?..
სხვა, რა ვუთხრა –
ქონდრებს?..
კაცს –
გული რომ
სტკიოდეს,
გული უნდა
ჭკონდეს...
17. III. 2017

როგორ?!..

განა, – ჭამაა –
ლეღვის?!..
განა, – ჭამაა –
კივის?!..
მამული, როცა –
კივის,
როგორ გაუძღლო –
ტკივილს?!..
22. VII. 2017

ვინ?!..

ვინ – ძერა არის,
ვინ – ქორია,
ვინ კი – ნიბლია,
ვინ დადის აზრით –
სატანურით,
და... ვინ – განგების?!.

შენ ილაღადე:
თუნდაც,
ერთად,
ასი ბიბლია,
ვინლაა მისი:
ან – მომსმენი,
და...
ან – გამგები?!..

ზოგი...

წევრია, ვინაც –
კოლტის, თუ,
ჯოგის,
სურს, ვისაც –
ყოფნით,
სანუთრო –
ბოლოს...
სიცოცხლეს
ისე ამთავრებს –
ზოგი,
ვერ იგებს
არსის –
თავსა და
ბოლოს...
26. III. 2017

გაიღვიძე – საქართველო!!!..

მტრებით სავსე
ქართველი რომ
აქართველო,
სულგაყიდულთ
გულგაყიდულთ:
ალი, – ბლინძებს!!!..
გაიღვიძე, –
ბედდამწვარო,
საქართველო,
ბედისწერის
ჟამი დგება,
გაიღვიძე!!!..
10. VIII. 2008

ცხოვრება – ტელესკოპი...

ვინ არის –
ქვეყნის:
მტერი, თუ –
მრჩენი,





ვინ არის –
 ვინ და...
 ხვეჭავს, თუ –
 კარგავს?..
 ტელესკოპია –
 ცხოვრება, –
 ჩვენი:
 ჩანს –
 ყველაფერი, –
 ათასჯერ
 კარგად...
29. IV. 2017

ფულს –
საქართველო, –
ფულს!!!..

ველარ ვიცილებთ –
 მტვერს,
 ველარ ვიცილებთ –
 ბულს...
 ვურევთ:
 მოყვარეს,
 მტერს...
 დულს – საქართველო, –
 დულს!!!..
23. VII. 2017

რა ეშველება? –
არ ვიცი, –
უკავ...

ქვის სროლას –
 ჩვენთვის,
 არავინ უკლებს,
 ჩვენ –
 არ ვუბრუნებთ, –
 უკანვე,
 იმ ქვებს...
 რა ეშველება? –
 არ ვიცი, –
 უკვე,
 ამ – ჩემს ქვეყანას, –
 დამხობილს –
 პირქვე...
3. VIII. 2017

ბედნიერები –
უფრო...

ხომ არის –
 ზოგჯერ,
 წყალს ვეძებთ
 ზღვაში,
 მზეს ვხედავთ –
 ცაზე, –
 შავი
 სათვალთ...
 ბედნიერები ვართ –
 უფრო;
 მაშინ,
 სინდისის ღმერთთან:
 თუ, ვართ –
 მართალი...
16. V. 2017

უნდა –
ღმერთი
იყო და...

მომოძვრავს:
 ხანძთა,
 იკორთა,
 ღამეს –
 სიბრძნის
 მიწვავს მზე, –
 უნდა –
 ღმერთი
 იყო და...
 დადიოდე –
 მინაზე...
9. III. 2017

ოდიდან...

ვართ –
 მეუფენი,
 განა მდგმურები?!..
 და...
 ჩვენი ჭვრეტა
 როდია –
 საგა?!..¹
 ჩვენი –
 მოთხრის და...

1 ძველი, – სკანდინავიური და
 ირლანდიური ხალხური,
 საგმირო თქმულება,
 ლეგენდა...

განადგურების
 სცენარებს წერდნენ, –
 ოდიდან,
 სხვაგან...
4. IV. 2017

რომ გადავრჩეთ...

დღეს, –
 პლანეტა რომ ქცეულა –
 გლობალ
 სახლად,
 რომ ვარჩევდეთ:
 რწყილს და
 სპილოს,
 ბუზს და
 აქლემს, –
 რა გვჭირდება,
 რომ გადავრჩეთ –
 უნინ,
 ახლა? –
 მეტი – აზრი,
 მეტი – ხედვა,
 მეტი – საქმე...
12. IV. 2017

ხილვა...

პლანეტას, –
 თითქოს,
 ეშმა დაღავს და...
 სურს:
 ცოცხალს –
 გულზე,
 მინა აყაროს...
 რად მეჩვენება?!.. –
 თითქოს, დაღამდა, –
 უკუღმა ბრუნავს
 მთელი სამყარო?!..

P.S..
 რად მეჩვენება?!..
4. III. 2017

იყოფე უნდა...

ავით და...
 კარგით,
 ვინ... და...
 რა –



იგრძნეს?
რად კვდება
ლამე?...
მზე –
რატომ იწვის?..
იცოდე უნდა:
სიბრძნეთა
სიბრძნე, –
ფილოსოფია –
ცისა და...
მიწის...
5. V. 2017

იმისტები,
ამისტები, –
ტახტისტები,
სკამისტები,
ხვეჭისტები,
ჭამისტები...
ნუთუ, – ქრება
ქართველობაც,
ვართ:
ერთურთის –
ლამის, მტრები...
26. VIII. 2017

ვფიქრობ –
ამ სევდით,
ოკეანეს და...
ზღვას ვავსებო...
ვარ მონყენილი
უშენოდ და...
ასე
მგონია:
უშენოდ... თითქოს,
ეს სამყაროც
აღარ არსებობს...
23. VII. 2017

რაჭომ?!..

სატანა, –
ხან, ჰგავს –
სახით,
ნიმფასო,
გვაქეზებს:
გავქრეთ, –
დარდით ნახარშით...
რატომ ვერ ვსწავლობთ,
ხალხო, –
ძვირფასო?! –
რამდენჯერ შევძვრეთ
ლომის ხახაში?!..
19. VIII. 2017

დროის სარკეში...

ვიყოთ:
მამულის თვალნი, –
უთვლესნი...
და...
ნუ ვიქნებით –
ნურავისტები...
დროს შერჩებიან:
ვითარ –
უმტრესნი, –
ფულით ნაყიდი
ჟურნალისტები...
13. IV. 2017.

იქნებ?..

იქნებ, –
გონების
ვერ მიჭრის
თვალი? –
სიბრძნე და
აზრი
შევკრა ტივებად...
მე –
სიყვარულის
ღვინით ვარ –
მთვრალი,
მთვრალს, ხომ,
ზოგი რამ,
ეპატიება?..

სად ხართ, ხალხო?!..

თითქოს, –
ქრება –
მალა, მზე...
შველას ითხოვს:
ქვე – ყანა...
სად ხართ,
ხალხო?! –
მაყვალზე?!..
ვის დარჩება
ქვეყანა?!..
17. VI. 2017

ავაჰმე!!!..

როდემდე –
დარდის ბორანო?!..
როდემდე –
ჭირო, – მალულო?!..
ავაჰმე, –
ნადიდგორალო,
ნაშამქორალო,
მამულო?!..
16. VI. 2017

სიყვარული...

რად ვიყოთ
კენტი?
როცა –
ნეტარ ვიქნებით
ლუნნი?..
უსიყვარულოდ, –
რატომ გვქონდეს:
მნუხრი და
გლოვა?!..
სიყვარულია:
თუ, რამ არის,
სიკეთე, –
უნინ...
და... არა:
ფუჭი, –
ფარისევლის
სიტყვების –
გროვა...
2. VIII. 2017

ნუთუ?!..

აღარ – აღარ
დაილია:

უშენოდ...

ჩემთან რომ
არ ხარ,
სევდის ურჩხულს
ვებრძვი, –
გოლიათს,





როგორც – სიზმარში...

თითქოს, – გვეახლა –
სიზმარი უხნო,
თუმც, –
გაგვიფრინდა –
წამსვე,
უთმენი...
სიტყვა არ გვითქვამს, –
ვიყავით უხმოდ,
არაფერი კი
დაგვრჩა –
უთქმელი...

შემირჩხენია...

ვინც –
სულზეც,
გულზეც
გადიკრა ნისლი,
ქცეულა ვინაც –
ლოდად და...
ხედა,
შემირჩხენია –
სიცოცხლე მისი:
„მე“-ს იქით, ვინაც –
ვერაფერს
ხედავს...
31. VII. 2017

რად გვენატრება?!..

რად ვერ ველევით:
დროს, –
ცბიერს,
თარსულს?! –
სინდის-ნამუსიც
ვაქციეთ
დახლად...
ხომ, გახსოვთ? –
როგორ ვთათხავდით
წარსულს?!..
რად გვენატრება, –
ნეტავი,
ახლა?!..
5. VIII. 2017



რად გვიკვირს?!..

რად გვიკვირს?! –
რატომ გვატყდება
რისხვა?! –
სიცოცხლის ვარდი
რად ხდება –
ძევი?! –
სხვებს რომ ვაბრალებთ, –
ვინ – სხვა და
რის – სხვა?!
სუყველა, –
თვითონ,
თავის თავს
ებრძვის...
18. III. 2017

ჯეშმარიტების – ჯეშმარიტება...

თუ, – გნებავთ,
ჰკითხვით:
ასსა და...
ათასს,
პასუხი, ყველას,
ექნება –
ერთი:
არ უყვარს, ვისაც –
სიკეთე, –
სხვათა,
არა თქვას,
რომ სწამს
და... უყვარს –
ღმერთი...
26. IV. 2017

სიცილით

კვლავ...

წავიდა ბევრი,
ვინაც –
მზის ქვეშ,
მზესავით ენთო,
ტკივილი – ხალხის,
ჭმუნვა – ხალხის
გულზე რომ –
ება...
ვსაუბრობ, როცა:
გულზე,

ხალხზე,
მამულზე,
ღმერთო,
სინდისდამწვარი, –
გარენარი –
სიცილით
კვდება...
30. I. 2017

მაჩვენეთ – ერთი!!!..

მაჩვენეთ სარკე, –
ამ ცხოვრების,
ნამდვილი,
რაც არს:
სიმართლე –
ვის სწამს,
ხალხი –
ვის სწამს
და... ვის სწამს –
ღმერთი?..
ხალხს და ქვეყანას:
თვალეში რომ
აყრიან –
ნაცარს,
ხალხის – ცხოვრებით,
ხალხის – ბედით
თუ, ცხოვრობს –
ერთიც?!..
3. II. 2012

ხომ, ხდება, – ახლაც?!..

ცით –
კუნაპეტი ანათებსო, –
ელვარებრ,
მზისებრ,
და... გულის გულზე,
არის –
განცდის ტყვიების
დახლა...
თვალეში:
ნაცარს,
მტვერს და
ლამსაც
გაყრიან, –
ისე,

ღმერთს რომ
სწამებენ უღმერთობას,
ხომ, ხდება, –
ახლაც?!..
7. V. 2012

ფანტე...

ქვესკნელი ფარავთ
პოეტის –
მკვდარ მტრებს,
ზიზლით ვიგონებთ
სულებს –
დანრეტილს...
კოცონზე
უნდა დაენვათ
დანტე,
დღეს –
იტალია მზეობს
დანტეთი...

ის –

ვით იქნება

სახელით კარგად?!..

სიცოცხლე, ვინაც –
ნილაბით
ქარგა,
გაქრება, რადგან –
არსებით,
ქარს გავს...
ვინაც –
სამზეო ღირსება
ქარგა,
ის –
ვით იქნება:
სახელით,
კარგად?!..
27. VIII. 2017

დასაბამით...

არავინ არის –
დასაბამით,

სულ, –
მზით ნათალი,
ვინ – რით
ესუნთქავთ და...
რისთვის ვიბრძვით,
ვინ – რის
მსურველი?!..
ვისაც ჰგონია:
ყველაფერში
არის მართალი,
იგი – ბრიყვია,
ან – რეგვენი,
ანდა – სულელი...
2. VIII. 2017

მტერი, როდესაც – ვერაგობს...

წინაპართ –
ჯაჭვის პერანგო,
ბევრჯერ, –
ნაცადო –
ომითა,
მტერი, როდესაც –
ვერაგობს,
კვლავ, –
შენი ჩაცმა
მომინდა...
6. VIII. 2017

ბრძენი და...

სულელი...

მოვდივართ, რაიც, –
დასაბამით,
ადამის ძენი,
ყოველთვის, – ვცდილობთ:
გავარჩიოთ –
ვარდი და...
ლოლო...
როდესაც ცდება,
აზრს შეიცვლის:
ჭკვიანი,
ბრძენი,
აზრს არ შეიცვლის –
არასოდეს,
სულელი, –
მხოლოდ...
7. VIII. 2017

ხატად ვინამებ...

ხატად ვინამებ,
ლამე, რომ რიყოს, –
დრო –
სისხლის,
ცრემლის, –
კუშტი და...
ცხარი...
ზოგ-ზოგი ცდილობს:
შიგ,
მგელი იყოს,
ხოლო, – გარედან –
მაცხოვრის
ცხვარი...
8. VIII. 2017

ასჯერ – გაზომე...

ერთხელ – გადაჯერ...

სიჩქარემ –
როდის?..
და... ვის, რა –
არგო?..
წინაპართ სიბრძნეს
ვანთებ –
ათასჯერ...
რომ... აღარ შეცდე –
იცოდე,
კარგათ:
ასჯერ – გაზომე,
ერთხელ – გადაჯერ...
10. VIII. 2017

ნული აქვს –

ფასი...

რაიც გვჭირს –
ავი,
რა – ვერ გავლიეთ? –
დამთავრდეს უნდა:
ფაფხური,
ფარსი...
ტახტ-სკამ-სავარძლებს
და რეგალიებს –
ღირსების იქით,
ნული აქვს –
ფასი...
21. XI. 2016



თუ...

უნდა იცოდე –
სიბრძნე, –
ლერწამო,
რომ არ გეგონოს
ჭიკჭიკი –
მერცხლის,
თუ, ხარ –
იესო,
უნდა ენამო,
თუ, ხარ –
იუდა,
აილო ვერცხლი...

7. II. 2015

წარმოსახვა, –

უძენოდ...

უშენოდ ყოფნა:
წამითაც, არ ღირს,
შენ –
ზღვაზე ხარ და
მე ვგავარ
ეულს...
მე მშურს:
იმ – ზღვის და..
იმ – ლურჯი ტალღის,
რომელიც, –
ვნებით,
გიკოცნის
სხეულს...
20. XI. 2016

გული და...

სიტყვა...

ენა – მზაკვრული
და... მოთაფლული,
თქვენ გინახიათ
ალაგმული სად?!..
ზოგს სჯერა –
სიტყვის,
განა – გულისა?!..
რამაც:
გამცრა და...
გამაგულისა...
2. VIII. 2017



საქართველოს,
ანუ -
და.. უკვდავებაც
შენა ხარ!!.

ესაა -
უფლის წყალობა, -
სამოთხე
ჩვენთვის ენაბა,
ჯერ იყავ -
ვაზის მტვევანი,
მერე... გაქციეთ -
ვენახად...
შემოგვრჩი -
ზღაპრად,
ლეგენდად, -
სანთლით ვლოცავდით
ყველა ხარს, -
გვეხნა,
გვეთესა,
გველენა,
მინა
მსუბუქად გველაბა!..
ვინა ხარ?
სიბრძნე დავითის,
შოთას
გრძნეული
ენა ხარ,
„მხოლოდ -
გმირს ჰქვია

ქართველი,“ -
ჩამოგვძახოდა
ზენა ხმა...
ეჰე! -
ბევრს სურდა:
ეგ ხატი -
ფეხქვეშ გართხმული
ენაბა, -
ეჯიჯგნა,
ეჭრა,
ეკუნა,
ენამა,
ენვა,
ელახვრა...
მახვილით,
სულის
ლაჟვარდი,
მაინც,
ვერავენ შელაბა...
შენა ხარ:
ჩვენი ცრემლები...
და...
უკვდავებაც -
შენა ხარ!!!

ფარნა რაინა



2021 წელს, დიდგორის ბრძოლის გამარჯვების 900 წლისთავთან დაკავშირებულ პატრიოტული პოეზიის კონკურსში „ძლევაი საკვირველი“ გაიმარჯვა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა ბატონი ფარნა რაინა.

